ბატონი და ქალბატონი ბეი, როგორც
ღირს მსახურ ერიკ ფოლის გაეცნენ

ეს არის
შთამომავლობა

ამბავი, თუ როგორ შეასრულა ერთმა ჩრდილოკორეულმა ოჯახმა დიადი დავალება ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში ქრისტიანობისადმი ყველაზე მტრულად განწყობილ ქვეყანაში, რომელიც კი კაცობრიობის ისტორიაში ოდესმე არსებულა

ეს არის შთამომავლობა

ამბავი, თუ როგორ შეასრულა ერთმა ჩრდილოკორეულმა ოჯახმა დიადი დავალება ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში ქრისტიანობისადმი ყველაზე მტრულად განწყობილ ქვეყანაში, რომელიც კი კაცობრიობის ისტორიაში ოდესმე არსებულა

ბატონი და ქალბატონი ბეი, როგორც ღირს
მსახურ ერიკ ფოლის გაეცნენ

The Voice of the Martyrs

ეს არის შთამომავლობა
ღირსი ერიკ ფოლის

Originally published in English under the title:
These are the Generations
© 2012 The Voice of the Martyrs Ltd.
All Rights Reserved.

Copyright © 2012 .W Publishing Published by .W Publishing, Colorado Springs, CO დაგვიკავშირდით შემდეგ ვებგვერდზე:
www.dotheword.org
დაგვიკავშირდით მისამართზე: **www.dotheword.org**. ყველა უფლება დაცულია.

თუ მეტის გაგება გსურთ ქრისტიანული დამოწაფებისა და დევნის საკითხზე ან წიგნში გადმოცემული მასალის საკუთარ ეკლესიასა და მსახურებაში გამოყენება გსურთ, დაგვიკავშირდით შემდეგი გზებით:
www.vom-ru.org
https://vomkorea.com/en/

ISBN 978-0-615-67835-1
ქართულ თარგმანში გამოყენებულია ციტატები ბიბლიის შემდეგი ვერსიიდან: „ახალი გადამუშავებული გამოცემა - 2015“.

წინასიტყვაობა

როცა მედაჩემი ცოლი დასავლეთის ღონისძიებებზე ჩრდილოეთ კორეას ვახსენებთ, ხალხი ყოველთვის გვეკითხება: „როგორ უნდა ვილოცოთ ჩრდილოკორეელი ქრისტიანებისთვის?“ ამრიგად, ეს კითხვა იქაური იატაკქვეშა ქრისტიანების ჯგუფს დავუსვი. მათ მიპასუხეს: „ჩვენთვის ლოცვა? ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის!“

როცა მიზეზით დავინტერესდით, ასე გვიპასუხეს: „იმიტომ, რომ დასავლელ ქრისტიანებს ჯერ კიდევ აქვთ სიმდიდრე, თავისუფლება და ძალაუფლება. ბევრმა მათგანმა არც იცის, როგორია, როცა ცხოვრებაში მხოლოდ ღმერთი გყავს.“

ბატონი და ქალბატონი ბეის ამბავი იმ ჭეშმარიტების მოწმობა გახლავთ, რომ ჩრდილოეთ კორეის ქრისტიანებს არც სიბრალულის გამოწვევა სურთ და ძირითადად, არც განთავისუფლებას ითხოვენ. ამის ნაცვლად, გამუდმებით საფრთხის ქვეშ რჩებიან კაცობრიობის ისტორიაში არსებულ ერთადერთ საზოგადოებაში, რომელიც ქრისტიანობის წინასწარგანზრახული დამახინჯების მიზნით აშენდა, თუმცა მაინც ღმერთს ეძებენ და მისკენ ილტვიან.

შესაძლოა, უცნაურად გვეჩვენებოდეს, რომ ჩრდილოეთ კორეა ასე დაჟინებით ცდილობს ქრისტიანთა მოშორებას. ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანას ხომ სხვა არაფრის ეშინია! მას დედამიწაზე სიდიდით მეოთხე მოქმედი არმია ჰყავს, სადაც 1.1 მილიონი ჯარისკაცია გაერთიანებული.[1] მათ სპეცდანაყოფების უდიდესი კონტინგენტი ჰყავთ მსოფლიოში[2] – უფრო მეტი, ვიდრე შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს. ეკონომიკური სანქციებიც მათზე დიდად არ მოქმედებს, რადგან მათი ეკონომიკის 80

---

1 International Institute for Strategic Studies; Hackett, James (ed.) (3 February 2010). The Military Balance 2010. London: Routledge, 411-413.

2 Defence Forum India, *“New Threat from N.Korea’s ‘Asymmetrical’* Warfare,” April 29, 2010, http://defenceforumindia.com/showthread. php?t=9887&page=1.

პროცენტი არალეგალურია.[3] ისინი წელიწადში ერთ მილიარდს გამოიმუშავებენ ფულის გათეთრებით და ნარკოტიკების უკანონო გატარებით.[4] ამ ორომტრიალში იარაღის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს არც კი ითვლიან. მაშ, რატომ იღწვიან ასეთი გულმოდგინებით ქრისტიანთა დასახოცად?

ამაზე პასუხის გასაცემად უარი უნდა ვთქვათ ჩრდილოეთ კორეის, როგორც კომუნისტური და შესაბამისად, უღმერთო ქვეყნის სტერეოტიპზე. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ჩრდილოეთ კორეა ყველაზე რელიგიური ქვეყანაა დედამიწის ზურგზე. ფაქტობრივად, ჩრდილოეთ კორეის რელიგია ძალიან ჰგავს ქრისტიანობას.

ამ რელიგიას (ისინი ტერმინ „იდეოლოგიას“ ამჯობინებენ) ჯუჩე ჰქვია, რაც „თვითუზრუნველყოფას“ ნიშნავს.[5] ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობის 100 % ყოველ კვირას ერთად იკრიბება, ყოველ სოფელში, სპეციალურ შენობებში, რომ თვითკრიტიკის შეხვედრებად წოდებული თაყვანისცემის მსახურება გამართონ.[6] ჯუჩეს თავისი სამებაც კი ჰყავს - კიმ ირ სენი, მისი ცოლი და ვაჟი, კიმ ჩენ ირი[7]. ამ უკანასკნელის თაყვანისცემა მისი სიკვდილის შემდეგაც არ შენელებულა იმის მიუხედავად, რომ ძალაუფლებაში მისი ვაჟი, კიმ ჩენ ინი მოვიდა. ყოველკვირეული თვითკრიტიკის შეხვედრებზე ჩრდილოეთ კორეელები ექვსასი საგალობლისგან შემდგარი წიგნიდან კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირის განსადიდებელ

---

3 *"The Underground Economy,"* January 8, 2011, http://www.offshore-advisors.com/the-underground-economy.html.

4 Bill Powell and Adam Zagorin, *"The Tony Soprano of North Korea,"* Time, July 12, 2007, http://www.time.com/time/magazine/ article/ 0,9171,1642898,00.html.

5 *"Discussion of Why Juche Is Classified as a Major World Religion,"* April 23, 2005, http://www.adherents.com/largecom/ Juche.html.

6 Andrei Lankov, North of the DMZ: Essays on Daily Life in North Korea (Jefferson, NC: McFarland & Company, 2007), 33-37. See also Kondgan Oh, *"North Korea: The Nadir of Freedom,"* Foreign Policy Research In stitute, Ma y 2 0 0 7 , http:// www. fpri .org/ footnotes/1216.200705.oh.northkorea.html.

7 World Center for North Korea Missions, *"A Look at Christianity in North Korea,"* April 15, 2002, http://www.crosswalk.com/1135128/.

ჰიმნებს მღერიან.[8] 1998 წელს ჩრდილოეთ კორეა ამ ჰიმნების მთელი მსოფლიოსთვის გაზიარებას შეეცადა, როცა დედამიწის ორბიტაზე სატელიტი გაუშვა ჯუჩეს ჰიმნების შეუწყვეტელი ტრანსლაციისთვის. მათდა სამწუხაროდ, ის უკანვე ჩამოვარდა.[9]

ჩრდილოეთ კორეელები ლოცვისას მოწიწებით შესცქერიან კიმის დინასტიის ლიდერების პორტრეტებს, რომლებიც ყოველი სახლის საუკეთესო კედელზე უნდა ეკიდოს.[10] პირველი კიმი, კიმ ირ სენი, 1994 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ჩრდილოეთ კორეელები მას ქვეყნის პრეზიდენტს ეძახიან და ქვეყნის უკვდავ ღმერთად მიიჩნევენ.[11] ერთმა ჩინელმა რეპორტიორმა ახალგაზრდა კორეელ სტუდენტს ჰკითხა:

– გამოჰყოფთ თუ არა დღის რაღაც ნაწილს, ვთქვათ, ძილის წინ, რომ კიმს [ირ სენს] მიმართოთ? მას ელაპარაკებით? ის გელაპარაკებათ?

– დიახ, – უპასუხა სტუდენტმა.[12]

რაც შეეხება კიმ ჩენ ირს, ამბობენ, რომ თოვლიან ზამთარში მისი დაბადებისას ვარსკვლავი გამმოჩნდა მოკრძალებული მორებით აგებული ქოხის თავზე. როგორც ერთი ჟურნალისტი წერდა: „ამ სურათს მხოლოდ სამი მოგვი და მათი აქლემები აკლია“.[13]

---

8 The Voice of the Martyrs, *"This Is Our Victory,"* October 2008, http://www.persecution.com/uploads/media/downloads/117_ThisisOurVictory-October2008.pdf.

9 SatBytes, *"Did North Korea Launch a Satellite?,"* 2006, http://www.spacetoday.org/Satellites/SatBytes/NoKoreaSat.html

10 *"North Korea Religion,"* 2009,http:// www.north koreanchristians.com/religion-north-korea.html.

11 *"North Korea Religion,"* 2009,http:// www.north koreanchristians.com/religion-north-korea.html.

12 Michael Bristow, *"North Korea: Life in Cultural Isolation,"* BBC News Magazine, December 20, 2011, http://www.bbc.co.uk/news/ magazine-16243995. See also Sunny Lee, "God Forbid, Religion in North Korea?," Asia Times Online, May 12, 2007, http://www.atimes.com/atimes/Korea/IE12Dg01.html.

13 Anne Penketh, *"God Is Dead. Long Live Kim Il Sung,"* The Independent (UK), September 17, 2004, http://www.rickross.com/ reference/nkorea/nkorea27.html.

თუ ჯუჩე ქრისტიანობის იმიტაციად გეჩვენებათ, მიხვდებით, ასე მონდომებით რატომ ესწრაფვის ჩრდილოეთ კორეა მის გაქრობას: მხოლოდ ქრისტიანობას შეუძლია ჯუჩეს ყალბ რწმენას ნიღაბი ჩამოხსნას. სწორედ ამიტომ ცდილობდა ჩრდილოეთ კორეა მისი საზღვრებიდან ქრისტიანების ყოველი ძალისხმევით აღმოფხვრას.

ქრისტიანობა ჩრდილოეთ კორეაში უფრო ადრე შევიდა, ვიდრე სამხრეთში. 1941 წლისთვის, დაახლოებით, სამასი ათასი ჩრდილოკორეელი თავს ქრისტიანად მიიჩნევდა.[14] თუმცა ამ ქვეყნის პირველი ქრისტიანი მოწამის სისხლი კიმ ირ სენის ბრძანებით არ დაღვრილა. ეს იაპონელებმა ჩაიდინეს, რომლებმაც კორეა 1910 წელს დაიპყრეს და მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე პარპაშებდნენ. კორეელი ქრისტიანების უმეტესობამ თავიანთი პასტორების რჩევით ქედი მოიდრიკა იაპონური სინტოისტური სალოცავების წინაშე. ამაზე ყველა ეკლესია არ დათანხმდა და მოწინააღმდეგენი უმოწყალოდ დევნეს. ზოგიერთმა მათგანმა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი გადალახა, მაგრამ იაპონიის იმპერიული ჯარების წინსვლა კორეელი ქრისტიანების ჩინეთში დევნის გაგრძელებას მოასწავებდა.

იაპონიის ბატონობისგან კორეის განთავისუფლების შემდეგ ქვეყანა პირობითად გაიყო ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ადმინისტრაციულ ზონებად. ჩრდილოეთი საბჭოთა კავშირის კონტროლის ქვეშ მოექცა. ამ ახალი ჩრდილოური ტერიტორიის ქრისტიანები კომუნისტურ გავლენას დაუპირისპირდნენ და თავდაპირველად, მათი რაოდენობა საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას ქმნიდა. რა თქმა უნდა, კიმ ირ სენი მიხვდა, რომ ქვეყანაში კომუნიზმის დასამყარებლად აუცილებელი იყო ქრისტიანობის ამოძირკვა.

მთავრობამ ეკლესიას ჯერ ფინანსურად შეუტია და ქრისტიანთა ქონების კონფისკაცია 1946 წლის მიწის რეფორმით

[14] ამ პუნქტიდან მოყოლებული ამ თავის დასასრულამდე მოცემული ინფორმაცია სეულის აშშ-ს, *"The History of the North Korean Underground Church,"* 2012, http://www.seoulusa.org/mediafiles/2012-03-susa-knewsletter.pdf.

მოახდინა. 1949 წელს ჩრდილოეთი ომისთვის ემზადებოდა, ამიტომ კიმ ირ სენმა ყველას დაპატიმრება ბრძანა, ვინც რელიგიურ საქმიანობაში იყო ჩართული. ქრისტიანული სისხლი კიდევ ერთხელ დაიქცა. ათასობით ისტორიისთვის დაკარგული მორწმუნე ეწამა ქრისტეს გამო.

ომის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეამ საეკლესიო შენობები დაანგრია ან კიმ ირ სენის კვლევით ცენტრებად გადააკეთა. ქრისტიანები, რომლებმაც ომის დროს სამხრეთში გაქცევა ვერ მოახერხეს, კონტრრევოლუციონერებად შერაცხეს, საჯაროდ დახვრიტეს ან შრომისა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს. 1959 წელს მთავრობა ანტიქრისტიანული ლიტერატურის პროპაგანდას შეუდგა. რატომ უარვყოფთ რელიგიას? იყო ერთი ასეთი წიგნი. ის ამტკიცებდა:

ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩოსანისა და სამხრეთ ჩოსანის ომები ღვთის სახელით დაიწყეს და ამერიკელების მიერ იმართებოდა, რომლებმაც ხოცვა-ჟლეტა, ხანძრები და ძარცვა წაახალისეს არაადამიანური მოქმედებების შედეგად. ეს იმას მოწმობს, რომ რელიგია ამ ყველაფრის მიზეზია.

1960-იანი წლებიდან ომის წამოწყებასა და საძულველი ამერიკელების თანამზრახველობაში ბრალდებული ჩრდილოკორეელი ქრისტიანების მზარდი რიცხვი ამოჟლიტეს და ფორმალური ეკლესია საბოლოოდ დასამარდა. მცირეოდენმა გადარჩენილმა მორწმუნეებმა რწმენის შენარჩუნება იატაკქვეშა ეკლესიის დაფუძნებით შეძლეს.

იატაკქვეშა ეკლესიას, საჭიროების შესაბამისად, ორგანიზებული ქსელის სახე არ ჰქონდა. მორწმუნეთა შორის კავშირები სასიკვდილო საფრთხის მატარებელი გახლდათ. არც პასტორული სწავლება და ზედამხედველობა იყო შესაძლებელი. ქრისტიანთა უმრავლესობა ღმერთს თაყვანს ფარულად სცემდა მხოლოდ ოჯახის წევრების თანდასწრებით. ვინც ქრისტე კორეის ომამდე ირწმუნა და საფუძვლიანი ქრისტიანული განათლება მიიღო, ხანდაზმულები იყვნენ; ქრისტიანთა საშუალო ასაკი სამოც წელს აჭარბებდა. მათ რამდენიმე დაზიანებული ბიბლიის თავები

და ჯვრები შემორჩათ. მშობლები ღვთის შესახებ თავისუფლად საკუთარ შვილებთანაც ვერ ლაპარაკობდნენ; ამ შემთხვევაში ბავშვებს საჯარო სკოლის მასწავლებლები გამოტეხავდნენ ხოლმე, რომ მათი ოჯახი ქრისტიანობას აღიარებდა. თუ ქრისტიანი ბავშვის მშობელი იქამდე გარდაიცვლებოდა, სანამ მას თხუთმეტი წელი შეუსრულდებოდა, ვერც კი გაიგებდა, რომ ქრისტიანულ ოჯახში იზრდებოდა.

ადრეულ 1980-იან წლებში ჩრდილოეთ კორეის მთავრობის კორეულ-ქრისტიანულმა ფონდმა პირველი ცრუ ეკლესია გახსნა უცხოელი ვიზიტორებისთვის საჩვენებლად, თითქოსდა ქრისტიანებს რელიგიური თავისუფლება ჰქონდათ. ფონდი გულმოდგინედ დგამდა მსახურებებს, ხოლო სახელმწიფოს მიერ გაწვრთნილი მსახიობების პატარა ჯგუფი 1930-იანი წლების კორეის პრესვიტერიანული ეკლესიის ფსალმუნებიდან შედგენილ ჰიმნებს გალობდა. 1984 წელს ჩრდილოეთ კორეის კომუნისტებმა მცირე ოდენობით ბიბლიები და ჰიმნების კრებული გადათარგმნეს და დაბეჭდეს. 1988 წელს მათ ეკლესიის შენობა აღმართეს ფასადის დასასრულებლად. 1989 წელს ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ორი ყალბი ეკლესია გახსნა - ბონგსუ და ჩილგოლი - და რელიგიური აქტივობებიც დადგა, როგორიცაა შობისა და აღდგომის მსახურება, რომელსაც ვიზიტორებიც ესწრებოდნენ.[15]

თუმცა ამ პერიოდშივე დაიწყო ნამდვილი სულიერი მოძრაობა, რამაც ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა ძალიან გააკვირვა. ჩინეთი უფრო გახსნილი ქვეყანა გახდა. ადრეულ 1990-იანებში სამხრეთ კორეელი მისიონერებისგან აღძრული ჩინეთში მცხოვრები ეთნიკური კორეელები ჩრდილოეთ კორეაში წავიდნენ სახარების გასაზიარებლად. შემდეგ გასაჭირის მარშის მოვლენების დროს, როცა ქვეყანაში უპრეცედენტო შიმშილობის პერიოდი იდგა, ათასობით კორეელი გამოიქცა

[15] Park Hyun Min, *"Believers at Pyongyang Bongsu Church are Members of Chosun Workers Party,"* Daily NK, June 8, 2007, http://www. dailynk.com/english/read.php?cataId=nk01600&num=2194.

ჩინეთსა და რუსეთში, სადაც ქრისტიანმა მისიონერებმა ისინი ქრისტესთან მოიყვანეს. ბევრი მათგანი ერთგულ ქრისტიანად ჩამოყალიბდა და ჩრდილოეთ კორეაში იქაური ეკლესიის აღდგენის ხედვით დაბრუნდა.

რამდენადაციატაკქვეშაქრისტიანთარაოდენობაიზრდებოდა, იმდენად მეტი იყო მოწამეთა რიცხვი. ჩრდილოეთ კორეამ ქვეყანაში დაბრუნებული ეს ახალი ქრისტიანები შპიონაჟის ბრალდებით დააპატიმრა. თავდაპირველად, ინტეგრაციის დეპარტამენტმა ცალკეული პიროვნებები დაკითხა სხვა ჩრდილოკორეელი მოქალაქეებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლებმაც მთავრობის შიშით თავიანთი მეზობლები გასცეს. გამოძიების დასრულების შემდეგ ისინი სახალხოდ დასაჯეს ან საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს.

დღესდღეობით, კიმ ჩენ ინი 40 000 ჩრდილოკორეელს 40 სხვადასხვა ქვეყანაში აგზავნის ასე საჭირო მყარი ვალუტის შემოსატანად.[16] ამით იზრდება ჩრდილოელთა სახარებით დაინტერესება და ვალუტასთან ერთად ქრისტიანობის შემოტანის შესაძლებლობაც. და მაინც, ჩრდილოეთ კორეის მოქალაქეებისთვის სახიფათოა რწმენის საჯაროდ აღიარება, თუ სხვა ქვეყნის, მეტწილად კი, სამხრეთ კორეის მოქალაქეობას არ მიიღებენ. ახლა სამხრეთში ოცდასამ ათასზე მეტი ჩრდილოკორეელი ლტოლვილია.[17] მათგან 1 პროცენტზე ნაკლებმა იცოდა, რომ ჩრდილოეთ კორეაში სხვა ქრისტიანებიც ცხოვრობენ. უმეტესობამ ღვთის შესახებ ჩინეთში გაიგო და ახლა ბევრი ცდილობს მშობლიურ ქვეყანაში სახარების მიტანას ან ამ მსახურების დახმარებას. ყველაზე სანდო წყაროებით, დღეს ჩრდილოეთ კორეაში ასი ათასამდე იატაკქვეშა ქრისტიანია.

---

16 Chosunilbo, *"More N.Korean Workers to Earn Valuta for Kim Jongun,"*english.chosun.com, April 27, 2012, http://english.chosun.com/ site/data/html_dir/2012/04/27/2012042701255.html.

17 Paula Hancocks, *"North Korean defector stands for South Korean election,"* CNN U.S., April 10, 2012, http://articles.cnn.com/2012-04-10/asia/ world_asia_north-korea-defector_1_cho-north-koreadefectors?s=PM:ASIA.

ეს გახლავთ ჩრდილოკორეული ქრისტიანობის ისტორიის საერთო ხაზი - თარიღები, დეტალები და სტატისტიკა. ბოლო ათი წლის განმავლობაში მე, ჩემი ცოლი, ჰიუნ სუკი და ჩვენი ძმა DH, რომელიც სეული აშშ-ს მთავარი ოპერაციული დირექტორი გახლავთ, ამ ისტორიებს ერთმანეთს ყველა კონტინენტზე ვუზიარებდით. გასულ წელს რაღაც მოხდა და ამან ისე გამაკვირვა, რომ ახლა თქვენთვის მოყოლაც გადავწყვიტე. ერთ წყვილს შევხვდით. ამ ცოლ-ქმარს ბატონ ბეის და ქალბატონ ბეის ვუწოდებთ, რომ მათი ნამდვილი ვინაობა დავფაროთ. მათ ოჯახს გრძელი ისტორია აქვს იაპონელთა დევნიდან დაწყებული ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფოს ფორმაციის ღრმა წყვდიადის დადგომისას სრული სიჩუმის, იზოლაციისა და ტერორის წლების გავლით, რომელიც ჩინელ მისიონერებთან დაკავშირებით და მათი მეშვეობით სამხრეთ კორეაში გადმოსახლებით გაგრძელდა, რომ თავიანთი ამბავი მთელი მსოფლიოსთვის მოეყოლათ. მათი ოჯახის ისტორიაში ნახავთ სასწაულებრივ უზრუნველყოფას და ღამის შიმშილით სიკვდილს; ბოროტებისგან დახსნას და მის ხელში ჩავარდნას. ისეთ გაბედულ რწმენას, რომელიც სოფლებს აზანზარებდა ან წყნარი და შეუმჩნეველი რჩებოდა, თუმცა ერთგულებას მუდმივად ფხიზელი სახელმწიფოს ცხვირწინაც ინარჩუნებდა.

ეს გახლავთ ამბავი, რომელიც მსოფლიოს პირველად ეუბნება, რაოდენ განსხვავდება ჩრდილოეთ კორეის იატაკქვეშა ეკლესია მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ეკლესიისგან და შესაბამისად, რა საოცრად ძვირფასი, მშვენიერი და ყურადსაღებია.

მრავალი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეის იატაკქვეშა ეკლესიას (არასწორად) ვთვლიდით ჩინეთის ფარული ეკლესიის უფრო ექსტრემალურ ვარიანტად, სადაც მორწმუნეებს ჩუმად გადააქვთ ბიბლიები და ზურგსუკან ფარულად აპარებენ მზერას ერთმანეთისკენ, როცა ღამის საფარქვეშ ათეულობით იკრიბებიან გამოქვაბულებსა და მორწმუნეთა სახლებში. წინამდებარე წიგნში ბეის ოჯახის თითქმის საუკუნოვანი ცხოვრებიდან დავინახეთ, რომ სიმართლე ჩრდილოეთ კორეის ეკლესიაზე

საოცრად განსხვავდება ჩვენი შეხედულებისგან. როგორც ხედავთ, ჩრდილოკორეელი ქრისტიანები გვანან ადამიანებს, რომელთაც ასაწყობი თავსატეხის კიდეებგადაღუნული და ფერგადასული ნაწილების პატარა გროვა ერგოთ, ამიტომ მათ არ იციან, როგორია მთლიანი სურათი, რომელსაც ყველა ნაწილის ქონის შემთხვევაში ააწყობდნენ. ამ ნაწილებს საკუთარი ცხოვრებით ინახავენ და სინამდვილეში, ეს ყველაფერი მათ ხელთ არსებული ნაწილების გაგებით შემოიფარგლება, რომლებიც სხვებს უნდა გადასცენ და თან ახალი ნაწილები და ინფორმაცია მოიპოვონ თავსატეხის ყუთზე გამოსახული სურათის შესახებ.

თითქმის ყველა ის ჩრდილოკორეელი, რომლებზეც გსმენიათ, არ არის ამ ტიპის ქრისტიანი. ისინი ცალკეულ ინდივიდებს წარმოადგენენ, რომლებმაც ახლახანს გაიგეს ქრისტეზე ჩინეთში და ის – საკმაო ოდენობის სისტემატური სწავლება და რესურსები – უკან, ჩრდილოეთ კორეაში ჩამოიტანეს. ბეის ოჯახი სამწყსოს სრულიად სხვა ნაწილია. ისინი ნატამალს, დაბადებით წამებულებს, თავიანთი წინაპრების რწმენის გაბედულ მემკვიდრეებს, მსოფლიოს ყველაზე ბნელ კუთხეში სახარების დამცველებს და იმ ღვთიურ შვიდ ათასში შემავალ ადამიანებს წარმოადგენენ, რომელთაც ღმერთმა სრულიად წარმოუდგენელი დავალება მისცა – მუხლი არ მოედრიკათ ბაალთა წინაშე[18] კაცობრიობის ისტორიის, ალბათ, ყველაზე კერპთაყვანისმცემლურ ქვეყანაში.

„ეს არის შთამომავლობა“ – ლაპარაკია დაბადების წიგნის თითქმის ყოველ თავში. შესაბამისად, ეს არის ჩრდილოეთ კორეის ეკლესიის შთამომავლობა. მათ შესახებ თითქმის არაფერი ვიცით თარიღების, დეტალებისა და სტატისტიკის გარდა, რომლებიც მათი დანატოვარი ნაკვალევია. ახლა ისინი ხასხასა ფერებში წარმოგვიდგნენ – არა როგორც სიცოცხლის შემდგომ აღიარებული წმიდანები, არამედ ბიზნესმენები და პურის მცხობელები, პატიმრები და წინასწარმეტყველები, მახარებლები და შეურყეველი სამეფოს უხილავი სვეტები.

[18] იხილეთ 1 მეეთა 19:18.

ბატონი ბეი და ქალბატონი ბეი ახლაც მისიას ასრულებენ, თუმცა ეს არ გახლავთ მათი პირადი მსახურება ან ხედვა, რომელიც მათგან დაიწყო. ეს გახლავთ მათთვის მემკვიდრეობით გადაცემული ნდობა, რომელიც უნდა გაამართლონ და სისრულემდე მიიყვანონ. მაკვირვებს და თავმდაბლობისკენ მიბიძგებს ასე ძვირფასი და სრული ერთგულების წარმოჩენის ხარისხი, მიუხედავად იმისა, რომ თავსატეხის გაცილებით მცირე ნაწილები შეხვდათ, ვიდრე მე, რომ არაფერი ვთქვათ ყუთის თავსახურზე, სადაც მათი ასაწყობი სურათია გამოსახული. ახლაც მესმის ჩრდილოკორეელი იატაკქვეშა ქრისტიანების ნათქვამი ჩვენს კითხვაზე: „თქვენ ლოცულობთ ჩენთვის? ეს ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის!“ შესაძლოა, ჩვენ თავსატეხის ყველა ნაწილი გვაქვს და არც სურათიანი ყუთი გვაკლია, როცა მათ მხოლოდ ერთი ფერგადასული მონაკვეთი უპყრიათ მთრთოლვარე, მაგრამ მოკრძალებით მომუჭულ მუშტში და მაინც ისე იცნობენ, ეთაყვანებიან და ენდობიან თავსატეხის ავტორს, რომ ასეთი დამოკიდებულება ჯერ კიდევ მისაღწევი მაქვს. შედარებით მეტი სიმდიდრით, ძალით და თავისუფლებით მეტისმეტად ხშირად ვეხვევი თავსატეხებში, ამიტომ მიჭირს, დავინახო ის ერთადერთი, რომელიც ნამდვილად ძვირფასია.

ღირსი ერიკ ფოლის,აღმასრულებელი დირექტორი
ორგანიზაცია “წამებულთა ხმა”
22 ივნისი, 2012 წელი,
სეული, სამხრეთ კორეა

1. ბაბუა

ნამდვილი ჩრდილოკორეელი „იესოს ფანატიკოსი“

ბატონი ბეის მონათხრობი

რწმენის ზოგიერთი ისტორია იმდენად გასაოცარია, რომ ერთი სული გაქვთ, სანამ ამბის დასასრულს შეიტყობდეთ. ბაბუას ისტორიების მოსმენისას მუდამ ასეთი განცდა მეუფლებოდა. ჩრდილოკორეელი თერთმეტი წლის ბიჭი ვიყავი, რომელიც ბაბუის სიკვდილს გლოვობდა და ბებიას ეხვეწებოდა, რომ ჩურჩულით ეამბნა მისი ისტორიები ზამთრის ბნელ ღამეებში. ორივემ ვიცოდით, რომ მათი მოყოლა ან მოსმენა ღალატის ტოლფასი იყო და მთელ ჩვენს ოჯახს საფრთხეს უქმნიდა. წლების შემდეგ, როცა ჩრდილოეთ კორეის ციხის ცივ ზედაპირზე ყოველდღე ერთ პოზაში ჯდომა მიწევდა დილიდან საღამოს 10 საათამდე და ასე მთელი წელი გრძელდებოდა, იმ ისტორიებიდან რომელიმე ერთის უმცირეს დეტალებს გონებაში ათასგზის ვატრიალებდი. და ახლა, როცა სამხრეთ კორეის ავტოსამრეცხაოში ვმუშაობ და ღვთის მოწოდებას ვემორჩილები, რომ საკუთარი ქალიშვილი ჩვენი დაძაბუნებული და გაყოფილი ერის მკურნალად გავზარდო, ზეციურ სანახებში გონების ნავარდისას სწორედ ბაბუას ისტორიები მახსენდება.

ვისურვებდი, რომ ეს კაცი გცნობოდათ. ფაქტობრივად, როცა მისი ამბის მოყოლას დავიწყებ – თუ როგორ დაელაპარაკა ღმერთი ისე ხმამაღლა, რომ კინაღამ დაყრუვდა... ღვთის მადლით,

დროდადრო როგორ იხსნიდა ხოლმე თავის სოფელს მისთვის გაუგებარი ბრძანებების მორჩილებით (ყოველი მომდევნო წინაზე უფრო დამაბნეველი რომ იყო)... როგორ უქადაგებდა მძარცველებს და დამპყრობელ არმიას საკუთარი სხეულის გაწირვით, ეკლესიის შენობის დაწვისგან დასაცავად (მაშინ როცა ხუცესი თვალთახედვის არიდან უსაფრთხოდ გაქრა) - ვფიქრობ, ბოლო თავზე გადახტომის ცდუნება შემოგიტევთ, რათა სწრაფად გაიგოთ ამბის დასასრული.

ამ განსაცდელისგან გიხსნით და ბაბუის ამბის თხრობას ბოლოდან დავიწყებ: მან ღვთის მითითებისამებრ დაწვა ყველა ბიბლია და ამით ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება გააცურა, მაგრამ სახარება მაინც განაგრძობდა გავრცელებას.

ეს შეიძლება ძალზე უჩვეულო დასასრულად მოგეჩვენოთ ქრისტიანული ერთგულების თაობებისათვის გადაცემის საქმეში, მაგრამ ჩრდილოეთ კორეა ნამდვილად უჩვეულო ადგილია ერთგულების გამოვლენისათვის. ჩრდილოეთ კორეაში ქრისტიანები ერთგულებას მხოლოდ მაშინ არ იჩენენ, როცა სხვადასხვა ქრისტიანული საქმეებით არიან დაკავებული. ეს არის ის, რასაც მთელი გონებით და სულით, სხეულით და ძალით აკეთებენ და რაც თითქმის ყოველთვის სიცოცხლის ფასად უჯდებათ. ამრიგად, ეს ძალზე ძვირფასი რამ გახლავთ და ნიშნავს, რომ ჩვენს ისტორიებს, ხშირად, უჩვეულო დასაწყისი და დასასრული ექნება ქვემომოყვანილი ამბის მსგავსად.

ბაბუაჩემის ისტორია ჩრდილოეთ კორეაში არ იწყება. რა თქმა უნდა, იმ დროს კორეა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად არ იყოფოდა - მხოლოდ ერთი კორეა არსებობდა იაპონიის იმპერიის სასტიკი ბატონობის ქვეშ, რომელიც მთელი ჩინეთის გასწვრივ ტაიფუნივით მძლავრად მიიწევდა. შეიძლება თქვენთვის მოულოდნელი იყოს იმის გაგება, თუ როგორ უბრძანა ღმერთმა ბაბუას ტაიფუნის წინააღმდეგ მთელი ძალით დგომა და იესოს სახელით დაწყნარება.

ვგონებ, მოვლენებს ძალიან გავუსწარი! მოდით, თავიდან დავიწყებ!

წიგნის მთავარი მოქმედი პირი თქვენთვის ლეგენდარულ ფიგურად ისახება, მაგრამ ის მხოლოდ ბაბუა იყო ჩემთვის - დედაჩემის მამა და ეკლესიის უხუცესი, თუმცა უპირველეს ყოვლისა, ღვთის მსახური, ბოროტ დროს და ადგილას.

ის ერთდროულად გახლდათ მოსიყვარულე და გულწრფელი და ამასთან ერთად, ჭკვიანი და კეთილი. მას დღის ნებისმიერ დროს ხალხის გარემოცვაში ნახავდით, თუმცა ბევრი შორიახლოს დაჰყვებოდა დიდი უხილავი წრის პერიმეტრზე, რომელიც ბაბუას ყველგან თან სდევდა, სადაც არ უნდა წასულიყო. იმ ადამიანთა სახეები, რომლებიც ბაბუას ესალმებოდნენ, უფრო მეტად მახსოვს, ვიდრე თავად ბაბუას სახე. როცა ჩრდილოეთ კორეელმა ახალგაზრდამ დავინახე, როგორ ეპყრობოდნენ მას ხელისუფლების წარმომადგენლები, გული მოზარდის სიამაყით ამევსო. თვითონ არასოდეს ყოფილა ქედმაღალი - ყოველთვის ჩერდებოდა გაჭირვებულთა დასახმარებლად, მუდამ გამამხნევებელ სიტყვას უზიარებდა ადამიანებს და ნიადაგ რწმენის ქონისკენ მოუწოდებდა.

ჩემი ოჯახი იმ დღეებს წარმავალ ოცნებასავით იგონებს - ნუთუ მართლა არსებობდა დრო, როცა ჩვენს გვარს პატივს სცემდნენ? ხორციელი თვალით, ის იყო ხალასი ოქროს წლები. თუმცა ბაბუა მაშინაც და მოაგვიანებითაც გვამხნევებდა, რომ ღმერთი ყოველთვის იზრუნებდა ჩვენზე, რა საშინელ განსაცდელშიც არ უნდა ჩავვარდნილიყავით.

დაახლოებით, მეორე მსოფლიო ომის დროს ბაბუამ პირველად გაიგონა ღვთის ხმა. მას ამის მოსმენა ტანკებისა და ნაღმსატყორცნების ხმაურში მოუხდა, რადგან იაპონელები სტაბილურად მიიწევდნენ წინ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის იმ ნაწილის გავლით, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობდა. როცა ბებია იაპონელებისა და ბაბუას ისტორიას მიამბობდა, ყოველთვის მაინტერესებდა, სად ისწავლა ბაბუამ ასე კარგად იაპონური ენა კორეულთან და ჩინურთან ერთად. იაპონიის არმიის ნაწილს, რომელიც იმ დღეს ტაძრის დასანგრევად მოვიდა, იგივე კითხვა აწუხებდა.

იაპონელები ჩინეთში ადგილობრივებს უფრო მეტად ავიწროებდნენ, ვიდრე იქ ჩასახლებულ კორეელებს. მათი აზრით, ჩინელები უფრო არაცივილიზებულები და ბინძურები იყვნენ ვიდრე კორეელები, მაგრამ ბაბუასთან შესახვედრად მზად არ აღმოჩდნენ.

ბაბუა რამდენიმე დღე მარხულობდა, როცა ბებიაჩემის თქმით, გაიგო, როგორ დაუძახა ღმერთმა სახელით და თან ისე ხმამაღლა, გამაყრუებლად ხმამაღლა, რომ მყისიერად დაიხშო ყველა სხვა ხმა სიჩუმის ჩათვლით.

„სანგ დო! სანგ დო! სანგ დო! - გაისმა ხმა, - „იაპონელები არაფერს დაგიშავებენ. მიუახლოვდი მათ.»

სასტიკ ადამიანებთან მიახლოება, რომლებიც ქრისტიანებზე ნადირობენ, კლავენ და თან მათ საეკლესიო შენობებს ანგრევენ? როგორც ბებიამ გვითხრა, პირველ ჯერზე ბაბუას ეგონა, რომ რაღაც არასწორად გაიგო. ამრიგად, იქვე დარჩა და ლოცვა გააგრძელა. ხმამ იგივე მოწოდება სამჯერ თუ ოთხჯერ გაიმეორა.

მან დაასრულა ლოცვა და მარხვა; დაასკვნა, რომ მართლაც გაიგო ღვთის ხმა; და რომ გაქცევის ნაცვლად უნდა დარჩენილიყო და იაპონელებთან ურთიერთობა დაემყარებინა.

სიგიჟე! ასე უნდა ეფიქრა იაპონურ ბატალიონს, როდესაც იმ დღეს ეკლესიის დასანგრევად მოვიდა. ეჭვი მაქვს, ეკლესიის პასტორიც იგივეს ფიქრობდა თავისი სამალავიდან. თუმცა ბაბუაჩემი მშვიდად აეფარა კარს საკუთარი სხეულით და იაპონელებს მეგობრული ტონით თავიანთ ენაზე სთხოვა, რომ ეკლესია არ დაენგრიათ.

ისინი სხეულის ფარის დანახვამ გააოგნა, რომ აღარაფერი ვთქვათ იაპონურად მოლაპარაკე ადამიანზე. „ამ ბინძურებს შორისაც ყოფილა კაცი, რომელიც იაპონურად კარგად ლაპარაკობს!" ისინი გაკვირვებული იყვნენ. იაპონელები შეჩერდნენ და უმოძრაოდ დადგნენ ცულებითა და ურობებით შეიარაღებულნი, ხოლო ბაბუაჩემმა მშვიდად და სრულყოფილი იაპონურით აუხსნა მათ, თუ რატომ იკრიბებოდა ხალხი ეკლესიაში, ვინ იყო ღმერთი და რატომ უნდა მოენანიებინათ

და მიეღოთ ღვთის მოწოდება ქრისტეში, რათა მას სამუდამოდ შერიგებოდნენ. ბებიაჩემმ აღნიშნა, რომ იმ დღეს ბევრი იაპონელი ჯარისკაცი გაქრისტიანდა და ეკლესიამ არსებობა გააგრძელა.

ზოგი მორწმუნე სოფლიდან გაქცეულიყო, სხვები კი ბაბუაჩემის გამო დარჩნენ. ის არ იყო პასტორი, მაგრამ მაინც გაყვნენ მას და სიბერემდე „იესოს ფანატიკოსს“ ეძახდნენ (დიახ, ფაქტიურად, ეს იყო მისი მეტსახელი).

არ ვიცი, ბაბუას ოდესმე მართლა სურდა თუ არა ღვთის ხმის მოსმენა, მაგრამ ყოველი ასეთი შემთხვევა იმის ნიშანი იყო, რომ რაღაც ძალიან ცუდი უნდა მომხდარიყო. ბაბუაჩემს საკუთარ თავთან ჭიდილი სჭირდებოდა, რომ დაპირისპირებოდა მოქმედებებს, რასაც ადამიანს საღი აზრი და გონიერება უკარნახებდა იმ ამბისა არ იყოს, როცა ღმერთმა ეკლესიის გადასარჩენად გამოიყენა. ბაბუა თავმდაბალი ადამიანი გახლდათ, მაგრამ ვფიქრობ, შინაგანად მაინც კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო იმით, რომ იაპონელებთან შეჯახებას ასეთი კარგი შედეგი მოჰყვა. მაინტერესებს, ცოტათი მაინც თუ მოიხიბლა, როცა ყურისმომჭრელმა ხმამ კიდევ ერთხელ გაიმეორა მისი სახელი.

და როცა ხმამ თქვა: „თუ არ გინდა შენს ქალაქში მცხოვრები ხალხი მოკვდეს, დატოვე სოფელი და სამუშაოდ წადი!“, რა თქმა უნდა, ბაბუა შეცბა. სამუშაოდ წავიდე? მან მეტი დეტალის გაზიარება ითხოვა, რადგან არ იყო დარწმუნებული, როგორ უნდა ემოქმედა. თუმცა, რაც მეტი გაიგო, სიტუაცია ნაკლებად სანუგეშო გამოდგა.

- წადი და ყველა ქრისტიან თუ არაქრისტიან თანასოფლელს სთხოვე, მოგცენ ყველაფერი, რაც გააჩნიათ, - ხმამ ბაბუას დავალება მისცა, - ამის გაკეთების პროცესში ღმერთი არ ახსენო. წამოიღე ყველაფერი, რასაც მოგცემენ შორეული სოფლებიდანაც კი. მოახდინე ინვესტირება და ორმოც დღეში სოფელში დაბრუნდი.

ამ მოთხოვნის შესასრულებლად კარდაკარ სიარული მისთვის დამამცირებელი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, სოფლის ზოგიერთი მცხოვრები მას დასცინოდა და აბუჩად იგდებდა,

მაგრამ შეიძლება გაგიკვირდეთ, რამდენად მცირე იყო მათი რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ მას ყველა - ქრისტიანი და არა ქრისტიანი - „იესოს ფანატიკოსს“ ეძახდა, ეჭვი არ ეპარებოდათ მის გამბედაობასა და უნარში, რომ ღმერთის მადლით იაპონელი დამპყრობლების თვალში კეთილგანწყობას მოიპოვებდა. დარწმუნებული ვარ, ღმერთმა ბევრის გული მოალბო, რომ ბაბუა თანხის მოკრძალებული ოდენობით გამოესტუმრებინათ. ზოგიერთებს მცირემოსავლიანი წელიწადი ჰქონდათ, მაგრამ მაინც მას მიანდეს ყველაფერი, რაც გააჩნდათ. თითქმის ორმოცი დღის შემდეგ, რაც ბაბუაჩემმა დაბა დატოვა, სოფელში მძარცველები შემოიჭრნენ. ისინი დასახლების ახლომდებარე მთებიდან დაეშვნენ, კალიებივით მოედვნენ მთელს სოფელს და ყველა და ყველაფერი გაძარცვეს. როგორც ბებიამ თქვა (ის და ჩვენი ოჯახის დანარჩენი წევრებიც იქ იყვნენ მაშინ), სოფელში პატარა წიწილაც კი არ დატოვეს. შეუძლებელი იყო სოფლის მაცხოვრებლებს არ შეემჩნიათ, რომ ბაბუაჩემი ქალაქიდან მძარცველების წასვლის მეორე დღეს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ის არსად ჩანდა.

მეორე დღეს, სოფლის ერთი მცხოვრები ჩვენთან სახლში მოვიდა და შექმნილი სიტუაციის გამო ბებიას დაუწყო ჩხუბი. კაცი იმდენად განრისხებული იყო, რომ ბებიას კედელზე არტყმევინა თავი.

არც სხვა სოფლელები იქცეოდნენ უკეთესად. ყველანი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ მძარცველების მოსვლამდე შიმშილობდა მოსავლის უკმარისობის გამო. ბებიაჩემის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ სოფელი კარდაკარ შემოიარა, დარჩენილი საკვები ყოველ ოჯახს გაუზიარა და თან გაამხნევა, რომ ბაბუას დაბრუნებამდე მოეთმინათ. ზოგიერთის გულს ბებიას სიტყვები შეეხო და თქვეს, რომ იმედით დაელოდებოდნენ, თუნდაც მის მოსვლამდე მომკვდარიყვნენ კიდეც, მაგრამ სხვეები მაინც წუწუნებდნენ.

ბოლოს, ბებიამ მთელი თავისი საკვები რომ დაარიგა და თვითონაც დღეების განმავლობაში საერთოდ არაფერი უჭამია,

დასუსტდა და იმედი დაკარგა. ბაბუას წასვლიდან ორმოცდასამი დღე გავიდა. ბებიამ გადაწყვიტა, თავი მოეკლა, თუ ბაბუა იმ დღეს არ დაბრუნდებოდა. ამ მტკიცე გადაწყვეტილებით, შვილები ქვემოთ, ნავსადგურზე ჩაიყვანა.

ბაბუა ყელზე ყოველთვის თეთრ შარფს ატარებდა. განთიადისას, სანამ ბებია შვილებთან ერთად იცდიდა, მზე ამოიწვერა.

ნაპირს გემი უახლოვდებოდა, მაგრამ მზის ბრწყინვალების გამო ძნელი გასარჩევი გახლდათ, ვინ იყო ბორტზე. მალე გემბანზე მდგომი ფიგურის გარჩევა შეძლო, რომელსაც რაღაც თეთრი ემოსა და ბებიას შარფი გაახსენდა. შემდეგ დაინახა ფიგურა, რომელიც თეთრ შარფს აფრიალებდა. ბებიამ მოსასხამი მოიხსნა და საპასუხოდ ჰაერში ააფრიალა. ეს ბაბუა იყო!

როგორც კი გემი სანაპიროს მიუახლოვდა, მან და მისმა შვილებმა ცეკვა და ტირილი დაიწყეს. ბებიას მეზობლების დაძახება სურდა, მაგრამ ვერ შეძლო. ის მშიერი იყო და სიარულის თავი აღარ ჰქონდა.

ბაბუა ორმოცდასამი დღე იყო წასული. იქ, იმ დღეს ნავსაყუდელზე ზოგიერთი მოხუცი და ახალგაზრდაც მოვიდა. მათი ერთადერთი იმედი ბაბუაჩემი იყო. ბებიამ თქვა, რომ ხალხს იმის ნახვა სურდა, რამე საჭმელი ხომ არ მოიტანა, თუ არა და, ისინიც იქვე აპირებდნენ სიკვდილს. ბებიას თქმით, პორტი თეთრ ქვიშას ჰგავდა სანაპიროზე შეკრებილი ხალხის სიმრავლის გამო, როცა ბაბუამ ნავსაყუდელზე გემის ღუზა ჩაუშვა.

ამდენი ხალხის დასწრებისა და ზეწოლის გამო, პირადი მისალმების ან ინფორმაციის გაცვლისთვის ვერ მოიცალეს. ვიღაცას სიტყვით უნდა მიემართა ამ აგზნებული, მშიერი ბრბოსთვის და ბებიამ, სიტუაციის კურთხეული და იღბლიანი შემობრუნებით გაძლიერებულმა, თავის ხელში აიღო ამ ამოცანის შესრულება.

იგი გემის კიჩოზე დადგა სოფლის მაცხოვრებლების პირისპირ, რომლებიც ცოტა ხნის წინ მის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი. პირველი, რაც მან თქვა, ის იყო, რომ გემიდან

სურსათს არ გასცემდა მათ მიერ გამოჩენილი სისასტიკისა და ძალმომრეობის გამო. მან ხალხი გაკიცხა მისი და მისი ქმრის უნდობლობისა და იმის გაუთვალისწინებლობისათვის, რომ შესაძლოა, ბაბუა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო და სრულიად გასაგები მიზეზით დაეგვიანა. მან აღნიშნა, რომ გემი საკვებით იყო სავსე, მაგრამ იმ გულქვა ადამიანებს არაფერი დაურიგდებოდათ, რომელთაც თავი კედელზე არტყმევინეს. ყველა ჩუმად ტიროდა და პატიებას ითხოვდა. ბებიამ განაგრძო და შეახსენა მათ, რომ სოფლის მოსახლეობა არასოდეს მოუტყუებია, პირიქით, საკუთარი თავი და საკვები შესწირა მათ კეთილდღეობას.

შემდეგ, ბაბუა ნაზად შეეხო ბებიას მხარზე და უთხრა:

– მოიცადე, ნება მომეცი დაველაპარაკო მათ!

ბაბუა ბრბოს მიუბრუნდა და სიტყვით მიმართა. თქვა, რომ მისი მსახურება ხალხის ღმერთთან მიყვანაში მდგომარეობდა და არა ფულის შოვნაში. არწმუნებდა მათ, რომ ღმერთის მორჩილების უნარი გამოემუშავებინათ. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ღმერთმა, უპირველეს ყოვლისა, თანასოფლელების გადარჩენად გაგზავნა! ყველას წინაშე ხმამაღლა განაცხადა, რომ ქრისტიანი იყო და იცოდა, რომ მისი ნათქვამი არაქრისტიანებისთვის ძნელი გასაგები იქნებოდა. ამიტომ აუხსნა ხალხს, რომ ამ საქმეზე რომ არ წასულიყო, თანასოფლელებისგან მიღებულ ფულს მძარცველები წაიღებდნენ. ამით კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ სწორედ ღმერთმა გაგზავნა სოფლის მცხოვრებთა გადასარჩენად და ამის საპასუხოდ ყველას ხმამაღლა უნდა ეღიარებინა ღვთის რწმენა. მან უთხრა ხალხს, რომ ღმერთმა იმდენი თანხის შოვნის საშუალება მისცა, რითაც სოფლის მოსახლეობას საკმარისი სურსათით მოამარაგებდა მომდევნო რამდენიმე წელი. ყველა მორწმუნე და ურწმუნო მოწონების ნიშნად თავს ხრიდა მისი სიტყვების მოსმენისას. შემდეგ მათ, ვინც ენდო და ფული მისცა, სთხოვა, ერთ მხარეს დამდგარიყვნენ. მან გამოაცხადა, რომ თითოეული ეს ინვესტორი მიიღებდა ასჯერ მეტს, ვიდრე გაიღო. ერთი ასჯერ!

დანარჩენებს შერცხვათ და ბებიას ბაბუას გადარჩენისათვის ხვეწნა დაუწყეს. ისინი ერთხმად ჩურჩულებდნენ: „გვიშველე!

გვიშველე! გვიშველე!” ბაბუაჩემმა თქვა, რომ მხოლოდ მათ ენდობოდა, ვინც ნდობა გამოუცხადა, მაგრამ ხაზი გაუსვა, რომ ღმერთმა წასვლა მთელი სოფლის გადარჩენის მიზნით სთხოვა, ამიტომ სოფლის დანარჩენ მოსახლეობას ჰკითხა:

– ახლა გწამთ ღმერთის?

მათ უპასუხეს:

– დიახ! დიახ! ჩვენ გვჯერა ღმერთის!

მათი შეძახილები სულაც არ ჰგავდა მოშიმშილე ადამიანების ხმას, როდესაც ხელებს იქნევდნენ და ფილტვების სრული სიმძლავრით გაჰყვიროდნენ.

ამის შემდეგ მომხდარმა ყველა გააოცა. ბაბუამ ყველა ზუსტად ერთი და იგივე რაოდენობის საკვებით უზრუნველყო მიუხედავად იმისა, მხარი დაუჭირეს თუ არა. სწორედ ასე დაიწყეს სოფლის მკვიდრებმა ეკლესიაში სიარული. ამ ყველაფრის შემდეგ ადვილი წარმოსადგენი იქნება, რომ ბაბუა სოფელში შეუდარებელი პოპულარობით სარგებლობდა. როცა მისი დაბრუნებიდან ძალიან მალე ყრუ ხმამ კიდევ ერთხელ დაარღვია ლოცვის სიჩუმე და მარხვა და თან ბაბუას სახელით მოუხმო, ალბათ, დამალვა ენდომებოდა. მესმის, რატომ გაუწია თავიდან წინააღმდეგობა, როცა ხმამ უბრძანა, სასწრაფოდ დაეტოვებინა სოფელი და ოჯახიც თან წაეყვანა. ბოლოს და ბოლოს, მან სოფლის მოსახლეობაში უნაკლო რეპუტაცია მოიპოვა – ეკლესიის დამცველი! კარგი ბიზნესმენი! შეუდარებელი მახარებელი!

და მაინც, ხმა დაჟინებით მოითხოვდა, რომ სოფელი კიდევ ერთხელ უნდა გადაერჩინა, ამჯერად, მისი დატოვებით. ბაბუაჩემი თავისი ოჯახით ნელ-ნელა გავიდა დასახლებიდან, ხოლო დაბნეული სოფლის მოსახლეობა გაოცებული აკვირდებოდა მის გადაადგილებას.

– რა უცნაური კაცია! – ფიქრობდნენ ისინი, – ყველაფერს რომ მიაღწია, ახლა მიდის არაფრის გულისთვის.

ალბათ ბევრს ფიქრობდნენ ამ უცნაურ ადამიანზე და მისი უცნაური ღმერთის შუამდგომლობაზე სოფლის გადასარჩენად. ბაბუაჩემის წასვლიდან დიდი დრო არ გასულა, რომ ტიფის

ეპიდემიამ სოფელი თითქმის მთლად გაანადგურა. ბევრი დაიღუპა ან უუნარო გახადა, თუმცა ჩვენი ოჯახი დაცულ იქნა, ღვთის მადლით.

მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ დაპირების შესახებ, რაც სოფლის გადარჩენას შეეხება? ამის პასუხი შესაძლოა ყველაზე უცნაურ ამბად მოგეჩვენოთ. როდესაც ბაბუა წავიდა, ის და მისი ოჯახი ბიძაშვილის სოფელში გადავიდნენ საცხოვრებლად. ეს სოფელი საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა - მდიდარი მეზობლები, მძარცველები, ქურდები და გარშემო უამრავი ბოროტი ადამიანი. ეს იყო ნამდვილი სოდომი და გომორა.

მათ ჩანთები ამოალაგეს და იმ სოფელში ცხოვრება დაიწყეს. მომდევნო დღეების განმავლობაში, ჩვეულებისამებრ, ღარიბების დახმარების შემდეგ, ბაბუა და მისი ოჯახი რთულ პირობებში აღმოჩნდნენ. მათი სახლი გატეხეს და გაძარცვეს. ბებიაჩემი მოთქვამდა, ბაბუა კი ლოცვას აგრძელებდა. მას სჯეროდა, რომ ღვთიურ გამოცდას გადიოდნენ, რათა გამოვლენილიყო სწამდათ თუ არა მისი.

კიდევ ერთი წლის შემდეგ, ბაბუას კვლავ მოესმა ღვთიური ხმა. შეტყობინება უწინდელივით იგივე იყო: „შენ გადაარჩენ სოფლის მოსახლეობას“. სამჯერ მოისმინა და თან ისე ხმამაღლა, როგორც არასდროს.

ბაბუამ ეს საკითხი მეუღლესთან ერთად განიხილა. ბებია კი ძალიან ღელავდა, რადგან თავის გამოსაკვები საჭმელიც კი არ ჰქონდათ. როგორ შეძლებდნენ საკუთარი თავის გადარჩენას, ძველ თანასოფლელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ? ბებიამ ჩათვალა, რომ ბაბუა კვლავ ბიზნესის მიზნით წასვლას გადაწყვეტდა და ვფიქრობ, აღარ სურდა, ვინმეს მისთვის კედელზე თავი ერტყმევინებინა. ბაბუამ დარჩენის პირობა დადო. ამბობდა, რომ ღმერთს სადმე წასვლა ან რაიმეს გაკეთება არ უბრძანებია. მისი აზრით, უბრალოდ უნდა დაეჯერებინათ, რომ ღმერთს მათთვის მიზანი და გეგმა ჰქონდა. და ისინიც ელოდნენ.

მთისამსოფლებშიმძარცველთაბანდებისთარეშიჩვეულებრივი ამბავი იყო. ზოგიერთ ბანდას თითქოს განსხვავებული სინდისი

ჰქონდა - მხოლოდ მდიდრებს ძარცვავდნენ, სხვები კი, უბრალოდ, გამწარებული იყვნენ და ყველას ყველაფერს პარავდნენ. ერთ დღეს სოფელში „კარგი“ ყაჩაღების ჯგუფი შემოვიდა, რომლებიც მზად იყვნენ მხოლოდ მდიდრების გასაძარცვად. წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როდესაც ერთმა ღარიბმა კაცმა - ბაბუაჩემმა - მათ ძარცვა შეაწყვეტინა ჭკუის სწავლების მიზნით და უთხრა, რომ ცოდვა იყო ნებისმიერი ადამიანის გაძარცვა. ეს არ იყო ქადაგება. ის არ მოუწოდებდა მათ ღმერთის მისაღებად, მაგრამ ბანდიტები გაჩერდნენ, დამუნჯდნენ და საკმაოდ დიდხანს იდგნენ სიტყვის მოსასმენად.

შემდეგ მძარცველთა მეთაურმა (ალბათ ტვინს რომ იჭყლეტდა იმის ასახსნელად, თუ რატომ რისკავდა ღარიბი თანასოფლელი თავის სიცოცხლეს მდიდარი მეზობლების დასაცავად, რომელთაც დიდი დახმარება აშკარად არ გაუწევიათ მისი ღარიბი ოჯახისთვის) ჰკითხა ბაბუას ამ სოფელში თუ იყო დაბადებული. ბაბუამ აუხსნა, რომ ამ სოფელში არ იყო დაბადებული. თავი ისე წარუდგინა მძარცველთა მეთაურს, თითქოს გამორჩეულ სტუმარს ესაუბრებოდა და უთხრა, რომ ამა და ამ შორეული სოფლიდან იყო.

როცა მძარცველთა მეთაურმა ბაბუაჩემის სოფლის სახელი გაიგო, ვიღაცის გახსენებას შეუდგა და ბაბუას (და ბებიას, რომელიც ახლაც მისთვის ჩვეული ცხოველი ინტერესით აკვირდებოდა ყველაფერს) უთხრა, რომ მისმა ჯგუფმა ცოტა ხნის წინ გაძარცვა იმ სოფლის მდიდრები. იქაურმა მცხოვრებლებმა უამბეს კაცის შესახებ, რომელმაც ერთხელ სოფელი შიმშილისგან იხსნა, ვიდრე ტიფის ცხელება შემოუტევდათ. მეთაურმა ჰკითხა, იცნობდა თუ არა ბაბუა იმ კაცს.

ამაზე ბებიაჩემმა თავი ვეღარ შეიკავა. „ეს ის არის! ეს არის ის კაცი!” იყვირა მან. ამან კიდევ უფრო გააკვირვა მძარცველების მეთაური.

- რატომ? - იკითხა უფროსმა, - რატომ დატოვებდა ასეთი კაცი სიმდიდრეს და რეპუტაციას, რომ გადასულიყო სოფელში, სადაც მხოლოდ სიღარიბე და უყურადღებობა ელოდებოდა?

ბაბუაჩემმა იგრძნო მძარცველთა მეთაურის ღმერთთან მიყვანის ოქროს შესაძლებლობა. მან უამბო მძარცველს, როგორ გაუშვა ღმერთმა სოფლიდან მისი გადარჩენის მიზნით. ამბის მოსმენამ ბანდიტებს ღიმილი მოჰგვარა, რადგან ფიქრობდნენ, რომ ისეთ ღარიბ კაცს, როგორიც ბაბუაჩემი იყო, ბევრი არაფრის გადარჩენა შეეძლებოდა, მაგრამ ის უშიშრად განაგრძობდა დამოწმებას. ბაბუაჩემი დარწმუნებული იყო, რომ ღვთის სიტყვა იყო მისი სიცოცხლე და ამჟამინდელ თანასოფლელებსაც გადაარჩენდა. მართალია, ამ მომენტში მას არაფერი ჰქონდა სხვისთვის მისაცემი, მაინც დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი აუცილებლად დაელაპარაკებოდა და ეტყოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

ეს თქვა თუ არა, ბანდის მეთაურს სიცილი აუტყდა. მან ბაბუას მხარზე ხელი დაადო და ცერა თითი დიდი და მძიმე ბრინჯის საფქვავის მიმართულებით გაიშვირა, რომელსაც რამდენიმე მისი თანაგუნდელი მოათრევდა.

– ჩვენ გავძარცვეთ ამ ტერიტორიის ახლო-მახლო ყველა სოფელი, – თქვა მან, – და ახლა სხვაგან უნდა წავიდეთ. ეს ბრინჯის საფქვავი მანქანა ჩვენთვის ძალიან მძიმეა სატარებლად. ღმერთმა დაგაყენა ჩემს გზაზე ზუსტად შესაფერის მომენტში. ახლა შეგიძლია გადაარჩინო მთელი სოფელი!

მძარცველებს სიცილი აუტყდათ, თუმცა წინამძღოლი ზუსტად იმას გულისხმობდა, რასაც ამბობდა.

ბაბუა საფქვავის შესამოწმებლად წავიდა. მძარცველებმა, რომლებიც დოლაბს მოათრევდნენ, ბაბუას უთხრეს, რომ ადრე ბრინჯის საფქვავის ქონა ძალიან კარგი საქმე იყო. მათ ბაბუას ცხენიც აჩუქეს. ასე რომ, ის უცებ გადაიქცა შეძლებულ კაცად – ბრინჯის საფქვავი მანქანისა და მასთან ერთად მშვენიერი, სასარგებლო პირუტყვის მფლობელად.

თუმცა ბაბუაჩემს უფრო მეტად მძარცველების სულების დახსნა აინტერესებდა, ვიდრე საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება. ასე რომ, საფქვავს თავი ანება და მძარცველთა მეთაურს მონანიებისა და ცოცხალი ღმერთის რწმენისაკენ მოუწოდა.

– დააბრუნე ის, რაც მოიპარე! – ევედრებოდა მას.

მეთაურმა სწრაფად მოიშორა ღვთიური აზრები და დაიჟინა, რომ მოპარული ხორცი და სხვა ნივთები მოსალოდნელი გრძელი მოგზაურობისათვის დასჭირდებოდათ. თუმცა დათანხმდა გამოსამშვიდობებელ საჩუქარზე, რომ სოფლის ყველა მცხოვრებისთვის აბრეშუმის ქსოვილი დაეტოვებინა გადატანილი განსაცდელის სანაცვლოდ. ისინი მეგობრებივით დაშორდნენ ერთმანეთს, როგორც ამას ბაბუა ხშირად აკეთებდა თავის მტრებთან. მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ ბაბუაჩემი მართლაც გადაარჩენდა ორივე სოფელს მისივე უცნაური ღმერთის დახმარებით.

ბებიამ თქვა, რომ მძარცველების მეთაურმა უკან დაბრუნების პირობა დადო, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა. ღმერთის მადლითა და დახმარებით, ბაბუამ მართლაც დაიცვა ორივე სოფელი. ბებია და ბაბუა გამდიდრდნენ ბრინჯის საფქვავი დოლაბის მეშვეობით. ბრინჯის დაფქვით კარგ თანხას გამოიმუშავებდნენ საკუთარი თუ სოფლის საჭიროებისათვის.

დიდი ხანი არ გასულა, რომ ზებუნებრივმა ხმამ დაიძახა: „სანგ დო! „სანგ დო! „სანგ დო!“

ბაბუაჩემი ადრინდელივით ლოცულობდა. ღმერთმა უთხრა მას:

– დროა დატოვო ჩინეთი! იჩქარე და ნებისმიერ ფასად წადი ჩრდილოეთ კორეაში, რაც შეიძლება მალე!

ბაბუამ თავისიანებს მომხდარის შესახებ აცნობა. ამ დროს ოჯახს დედაჩემის უფროსი ძმა მართავდა და ბებია-ბაბუაზეც ის ზრუნავდა. ბებიამ შვილებს დაუძახა და უთხრა:

– ვერ გაიძულებთ, რომ დატოვოთ აქაურობა, მაგრამ მე მივდივარ. თქვენ აირჩიეთ.

ასე რომ, ჩემმა მშობლებმა, დედაჩემის ორმა უფროსმა და ერთმა უმცროსმა ძმამ იქაურობა დატოვეს ბებია-ბაბუასთან ერთად. მხოლოდ ორი შვილი არ გაყვა მათ – ერთი დედაჩემის უფროსი ძმებიდან და ერთიც მისი უფროსი დებიდან.

ღმერთმა მათ წასვლა სთხოვა და ასეც მოიქცნენ. მათი ქვეყნიდან გასვლისთანავე კულტურულმა რევოლუციამ ჩინეთში

ძალადობრივი გზით იფეთქა. ეს ამბავი ათი წელი გაგრძელდა და წარმატებით მიაღწია დასახულ მიზანს - ჩინეთის ძალაუფლების პოზიციებიდან ყველა განათლებული ადამიანის ჩამოშორებას. თქვენ ალბათ იცით, რომ მაო ძედუნი, რომელიც დიდი ხანი ხელმძღვანელობდა ჩინეთის კომუნისტური რევოლუციის პარტიას, წარმოშობით მიწათმოქმედი გლეხის შვილი იყო. მისმა მეოთხე მეუღლემ, მსახიობმა ცზიან ცინმა, ლიუ შაოცის პოპულარობა შენიშნა და შეშფოთდა, როცა ეს უკანასკნელი მაოს შემცვლელი გახდა სახელმწიფოს პრეზიდენტის პოსტზე მას შემდეგ, რაც მაომ თავისი ლოზუნგით, „დიდი ნახტომი წინ“, რეალურად, ქვეყნის განვითარება უკან დასწია. ცზიან ცინმა მაოს ეჭვი აღუძრა და ამტკიცებდა, რომ ლიუ შაოცი უნივერსიტეტის ლექციების მეშვეობით სტუდენტებს შორის მაღალი შეფასებითა და პატივისცემით სარგებლობდა, რითაც მისი აზრით, ზღვარს გადავიდა.

შაოცი არამხოლოდ თანამდებობიდან გაათავისუფლეს, არამედ თავს დაესხნენ ნებისმიერს და ყველას, ვინც ინტელექტუალად ითვლებოდა. ჩემი მშობლები მასწავლებლები იყვნენ კულტურულ რევოლუციამდე, ხოლო ჩემი ერთ-ერთი ბიძა - ექიმი. ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს ინტელექტუალების კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული - ყველას, იმ ორის გარდა, რომლებმაც ჩინეთში დარჩენა არჩიეს. ასე რომ, ვისაც ჩემს ოჯახში ჩინეთში მოკლავდნენ, უკვე წასულები იყვნენ ჩრდილოეთ კორეაში ღვთის ხმითა და ბაბუაჩემის მეშვეობით გადარჩენილები. დარჩენილი ოჯახის წევრები, რომელთაც ჩინეთში გადარჩენის შანსი ჰქონდათ, არ წამოსულან. ახლა ვიცით, თუ რა გზას გაივლიდა ჩვენი შთამომავლობა ათწლეულების გამანადგურებელი რეპრესიების მეშვეობით ჩრდილოეთ კორეაში, ამიტომ ვხვდები, რომ ღმერთმა თავისი წყალობით ჩვენი ოჯახის ნაწილი ჩრდილოეთ კორეაში გადაიყვანა და ნაწილი ჩინეთში დატოვა - თითოეული იმ ქვეყანაში, სადაც, მიუხედავად საშინელი გაჭირვებისა ორივე ადგილას, მისი მადლით გავუძლებდით და შევინარჩუნებდით ჩემი ბაბუის ღვთის რწმენას.

კულტურული რევოლუციის დროს სოციალიზმი უფრო სწრაფად გავრცელდა, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს ჩინეთში, საბჭოთა კავშირსა და ჩრდილოეთ კორეაში და ეს ქრისტიანებისთვის მძიმე გასაჭირს მოასწავებდა. კორეა იაპონიის ბატონობისგან 1945 წლის 15 აგვისტოს გათავისუფლდა. ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს და ვრცელი დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დასახელებულიყო ამ ახალგაზრდა სახელმწიფოს მმართველად. საბოლოოდ, კიმ ირ სენი აირჩიეს, რადგან ის იაპონიის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში მონაწილეობდა და ჩრდილოეთ კორეაში კარგად იცნობდნენ. კიმ ირ სენი ცხებულ „დიდ წინამძღოლად“ ითვლებოდა, რამაც ქრისტიანებს ახალი სადარდებელი გაუჩინა და მათი შიშების ახდენამაც არ დააყოვნა.

იმ დროს, სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტმა სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ადამიანები ზღვაში ჩაახრჩო ყელზე ქვებმიბმულები. ქრისტიანებს განსაკუთრებული სასჯელი ერგოთ. ჩრდილოეთ კორეამ კიმ ირ სენი კერპად აქცია და მისი ძალაუფლების ზრდის კვალობაზე ყველა სხვა რელიგია დაამხო.

ვინაიდან 1958 წელს დავიბადე, დევნის პირველ წლებში მომხდარის გასააზრებლად მხოლოდ ბებია-ბაბუის ისტორიები მაქვს შემორჩენილი. ბებიაჩემი ჩუმი და ფრთხილი ხმით საუბრობდა იმაზე, თუ რა დაუნდობლად დადიოდა მთავრობა კარდაკარ და ნაპოვნ ბიბლიებს წვავდა, ხოლო ეჭვმიტანილ ქრისტიანებს აკავებდა. მან მიამბო, თუ როგორ დააყენა მთავრობამ ათობით ქრისტიანი კლდის პირას და აიძულებდა პასუხი გაეცათ კითხვისთვის:

- ამხანაგ კიმ ირ სენის ერთგული იქნებით თუ ღმერთის გწამთ?

ვინც სიკვდილის შიშით „კიმ ირ სენი“ თქვა, „გადარჩა“. ისინი, ვინც „ღმერთი“ ახსენა, კლდიდან გადაყარეს ზღვაში დასაღუპად განწირულნი.

- ეს 1960-იან წლებში დაიწყო, - მითხრა მან.

ჩრდილოეთ კორეის გათავისუფლების რეპრესიებგამოვლილი უფროსი თაობის მორწმუნე და-ძმებისგან გავიგე, რომ იმ დროს,

ვინც ბიბლიას ან თუნდაც ბედისწერის სამკითხაო წიგნს ფლობდა, დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. მთავრობამ მოსახლეობას ყველა წიგნი წაართვა და ხეების გროვისაგან გაჩახჩახებულ დიდ ცეცხლში დაწვა. კიმ ირ სენს იმის გაფიქრებისაც კი ეშინოდა, რომ რომელიმე ჩრდილოეთ კორეელი სხვას ემსახურებოდა, რადგან ნებისმიერი ღმერთი აშკარად ემუქრებოდა მისი სიტყვის უფლებას, დარჩენილიყო ჩრდილოეთ კორეის ერთადერთ ღვთაებრივ ხმად.

ცოტამ თუ იცის, რომ კიმის დედის ბაბუა პასტორი იყო და მის ოჯახში ყველას ჰქონდა ღვთის რწმენა. მამამისი, კიმ ჰიონ ჯიკი სუნგსილის კოლეჯში, ფიონგიანგის (ფხენიანის) ქრისტიანულ სკოლაში სწავლობდა. კიმ ჰიონ ჯიკი ბავშვობიდან იცნობდა ღმერთს ისევე, როგორც კიმ ირ სენი.

თუმცა რაღაც შეიცვალა. კიმ ირ სენი სწორედ იმ წიგნის კონფისკაციას განაგრძობდა ჩრდილოეთ კორეის ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე, რომელსაც მისი ორივე მშობელი, ბაბუა და მთელი ოჯახი დიდ პატივს სცემდნენ. მან გამომძიებლები გაგზავნა ყველა სახლში, რომ ეს წიგნი ეპოვათ, დაეწვათ და დაესაჯათ ყველა, ვისაც მას აღმოუჩენდნენ. ჩრდილოკორეელმა ხალხმა სახალხოდ დაიწყო ყველა რელიგიის „ცრურწმენად“ გამოცხადება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადამიანები თავიანთ რწმენას სახლებში მალავდნენ. მიკვირს, როგორ მოახერხა ამის გაკეთება ჩემმა ოჯახმა. სავარაუდოდ, ამ ამბავს მხოლოდ ერთი ახსნა მოეძებნება. ის ხმა!

ბაბუაჩემმა ოჯახთან ერთად ჩრდილო კორეაში გადასვლის შემდეგ ექვსი წელი იცოცხლა. სამი წლის ვიყავი, კორეაში რომ ჩავედით და თერთმეტის - როცა ბაბუა გარდაიცვალა. იმ წლებში, ბაბუასთან სახლში ხშირად მივდიოდი. მას სიმინდი მოჰყავდა, ამიტომ მასთან სტუმრობა განსაკუთრებით მიყვარდა სიმინდის მწიფობის დროს. კვირადღეობით მასთან ვრჩებოდი და ის თავის ამბებს მიყვებოდა. ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრების ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ბაბუა დროის დიდ ნაწილს მარხვა-ლოცვაში ატარებდა. მას აშკარად ბევრი რამ უტრიალებდა გონებაში - სავარაუდოდ, ოჯახის მომავალი და იმ გზავნილის

შენარჩუნება, რაც მას ჰქონდა მინდობილი. ბებიაჩემმა თქვა, რომ ბოლო წლებში საღამოობით ხშირად ესმოდა ღვთის ხმა. ერთ ასეთ საღამოს ის სასწრაფოდ შევიდა მეუღლესთან.

– მისი ხმა მოვისმინე! – სწრაფად ჩასჩურჩულა მას, – დრო აღარ გვაქვს! მოიშორე წიგნები! საკმარისი დრო არ გვაქვს!

ჩემს სახლსა და ბებიაჩემის სახლს შორის ოთხი კილომეტრი იყო. სასწრაფოდ გამაგზავნეს და გიჟივით გავიქეცი დედაჩემის ბიბლიის წამოსაღებად. სუნთქვაშეკრული დავბრუნდი და წიგნი ბებიას გავუწოდე. ბებიამ ის ჩვენი ოჯახის სხვა ორი ბიბლიის – ბაბუაჩემის დიდი, ძველი და ბიძაჩემის კუთვნილი ბიბლიების – თავზე დადო.

ბებიაჩემმა მტკივნეული გადაწყვეტილების ამსახველი გამომეტყველებით სამივე ბიბლიიდან სათითაო გვერდის ამოხევა დაიწყო და თითო-თითოდ წვავდა მთელი ღამის განმავლობაში. დილამდე ბიბლიების კვალიც აღარსად ჩანდა. ბაბუაჩემი ამ დროის განმავლობაში კართან დარაჯად იდგა.

მეორე დილით ჩვენს სახლთან სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის გამომძიებელი მოვიდა. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენი მეზობლებისაგან ინფორმაცია მიიღო სახლში იარაღის არსებობის შესახებ. საინტერესოა, რომ „იარაღს“ წიგნების თაროზე ეძებდა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ის კაცი ისე ცივად წავიდა სახლიდან, როგორც მოვიდა.

ბაბუას ხშირად ვთხოვდი ამ ისტორიის განმეორებით მოყოლას. დედაჩემი იმ დროს, დაახლოებით, ოცდათერთმეტი თუ ოცდათორმეტი წლის იქნებოდა, მე კი ამ ყველასგან პატივდებული, წყნარი და თავაზიანი კაცით მოხიბლული პატარა ბიჭი ვიყავი. ყველაზე მეტად მისი ისტორიები მაოცებდა.

– რა მოხდა იმ ღამეს? – ასჯერ ვკითხე. ის იმ ხმას დაემორჩილა, რომელიც ხშირად მოუხმობდა ხმამაღლა.

„სანგ დო! სანგ დო! სანგ დო!“

– დიახ! – უპასუხა ბაბუამ ხმას იმ ღამით. ხმამ სამჯერ დაუძახა და ყოველ ჯერზე ბაბუა პასუხობდა:

– დიახ!

შემდეგ ღმერთმა თქვა:

- აღარ არის გარეგნული რწმენის დრო, ახლა შინაგანად გჯეროდეს. ბიბლიები, რომლებიც გაქვთ, უნდა დაიწვას! დრო გეწურება! სწრაფად იმოქმედე! - დაიგრგვინა ხმამ. 1967 წელი იდგა.

ასე რომ, ბაბუამ დაწვა ყველა ბიბლია, როგორც ღმერთმა უბრძანა და ამით ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება გააცურა.

და სახარებამ გავრცელება განაგრძო.

2. ვაჟი

კარტოფილის ქურდი ქრისტიანი

ბატონი ბეის მონათხრობი

ჩემი ადრეული მოგონებები ხუთი წლის ასაკიდან იწყება. თვალდახუჭული და თავდახრილი ბებია და ბაბუა ჩურჩულით ლოცულობენ. ამან შიში მომგვარა.

მათმა ლოცვამ კი არ დამაფრთხო, არამედ ბებიაჩემის ნათქვამმა, როცა თვალები გაახილა და დამინახა, რომ მათ ვაკვირდებოდი. მან წყნარად, მაგრამ მტკიცედ მითხრა: „არავის უთხრა ამის შესახებ. არავის არ უნდა უთხრა. თუ ვინმეს ეტყვი, ცუდი კაცები მოვლენ და წაგიყვანენ.“ რა თქმა უნდა, არასოდეს არავისთვის გამიმხელია, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, უცხოების თანდასწრებით ეკლები მჩხვლეტდა.

პირველად ათი მცნების შესახებ ბაბუაჩემისგან მოვისმინე. ათ მცნებას არასოდეს უწოდებდა, არც არასოდეს უთქვამს საიდან მოდიოდა ან ვინ მოგვცა ის. ეს უბრალოდ ათი რჩევა იყო, რომელსაც დედაჩემს და მამაჩემს, ბიძაჩემს და ოჯახის სხვა წევრებს გამუდმებით უმეორებდა, როცა ბაბუასთან ვიკრიბებოდით ხოლმე ყოველ კვირა დღეს მზის ჩასვლამდე. არ მოიპარო! არ ინდომო! არ იცრუო! პატივი ეცი დედასა და მამას! მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორი სირთულისაც არ უნდა ყოფილიყო პრობლემა – ეს რჩევა ყოველთვის გამოსავალი იყო.

ჩრდილოკორეელები ყოველ კვირა დღეს მუშაობდნენ, მაგრამ ჩვენ ყოველ კვირას ოთხ კილომეტრს გავდიოდით ჩვენი ქალაქის მეორე სართულის ბინიდან ბაბუას სახლამდე, რომელიც ქალაქის

განაპირას მდებარეობდა. ვიდრე ბებია საუზმეს ამზადებდა, ბაბუა უფროსებს ესაუბრებოდა, მათ მიერ კვირის განმავლობაში ჩადენილ კეთილსა და ბოროტ საქმეებს განიხილავდა და ურჩევდა, როგორ ეფიქრათ და როგორ მოქცეულიყვნენ განსხვავებულად მომდევნო კვირას. არ მოიპარო! არ ინდომო! არ იცრუო! პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა!

შემდეგ ბებიას საკვები მოჰქონდა, ოჯახის ყველა წევრი თავს ხრიდა და თვალებს ხუჭავდა, ხოლო ბაბუა რაღაცას ბუტბუტებდა ჭამამდე. ამას საუბარსაც არ ვეძახდით. ოდნავ თუ ისმოდა, რადგან ჩურჩულზე ხმამაღლა სიტყვა არასოდეს წარმოთქმულა. სხვა დროს ყველასგან იგივეს გაკეთებას მოელოდნენ ჩემი ჩათვლით. ბავშვი ვიყავი და გარდაუვალი იყო თავი არ ამეწია და თვალები არ დამეჭყიტა. რას ბუტბუტებდა ყველა? მერე დედაჩემის ხელს ვგრძნობდი თავზე, რომელიც კეფაზე მაწვებოდა და თავს ისევ დაბლა ვხრიდი.

ბავშვები ასეთ სიტუაციაში კითხვებს არ სვამენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გრძნობენ, რომ უფროსებს ეშინიათ, არავინ მოუსმინოთ და ახსენდებათ, რომ ბოროტი ბიძები მოვლენ და ბევრის მცოდნე ბავშვებს ყველაფერს ათქმევინებენ, რაც იციან. ცხრა თუ ათი წლის ვიქნებოდი, როცა ჩემმა ინტერესმა შიშს აჯობა და დედას ვკითხე, თუ რატომ უნდა მებუტბუტა.

- ზეცა ყოველთვის გვიცქერს, - თქვა მან ყურადღების გამახვილებით, - ფანქარიც რომ მოიპარო. როცა არასწორს გააკეთებ, ზეცის წინაშე უნდა აღიარო, თუ არა და დაისჯები. როცა საკვების მიღებას აპირებ, მადლიერება უნდა გამოხატო.“

აი, ასე ვისწავლე ლოცვა. სიმართლე რომ ვთქვა, მცირედი წარმოდგენა მქონდა მისი მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ბავშვს რა უნდა ექნა? ვიცოდი, რომ მნიშვნელოვანი იყო და თანაც - საშიში, მაგრამ ეს ყველას ერთად, როგორღაც, ზეცასთან გვაკავშირებდა.

ბებია-ბაბუას სახლში მხოლოდ ამ შემთხვევებში არ ვიკრიბებოდით. ჩვენი სახლიდან არც ისე მოშორებით იყო ზღვის შესანიშნავი სანაპირო, ქვიშითა და ნაძვნარით. ბაბუა

იქ სათევზაოდ დადიოდა ხოლმე და დედა, მამა და ოჯახის სხვა წევრებიც მის გარშემო ვიკრიბებოდით, რასაც „კითხვა-პასუხის დროს“ ვეძახდით. სწორედ იმ დროს გავიგე პირველად ღმერთის სახელი ხმამაღლა: ჰანანიმ – კორეული სიტყვა, რომელიც „ერთ ღმერთს“ ნიშნავს. ეს არის სიტყვა, რომელსაც სამხრეთ კორეელები მუდამ იყენებენ ღმერთის აღსანიშნავად, მაგრამ ამ სიტყვას თითქმის ვერასოდეს გაიგებდით ჩრდილო კორეაში. როდესაც ჩრდილოკორეელები საუბრობენ ღვთაებრივი ძალების ცრურწმენაზე, მაშინ ღმერთს მოიხსენიებენ ჰანულნიმ – რაც ნიშნავს „ზეციერ უფალს“ და ღვთაების ზოგადი სახელია. მაშინაც კი, როცა ჩვენი ოჯახი ბაბუასთან იკრიბებოდა ყოველ კვირას, ამ სიტყვას ვიყენებდით – ჰანულნიმ. მაგრამ იმ დღეს, ზღვის ნაპირზე, ბაბუას ბაგიდან გამოსულმა სიტყვამ ისარივით გააპო ჰაერი: „ჰანანიმ!“ ვიფიქრე, რომ მომესმა.

როცა ბაბუა ცუდად იყო, ბებიას მიყავდა საკვირაო შეხვედრები. ბაბუა ბებიამდე ექვსი თვით ადრე მოკვდა; მათი შთამბეჭდავი ცხოვრება წყნარად დასრულდა შინაგანი რწმენის პერიოდში. არც ერთი მათგანი ცუდად არ გამხდარა მოხუცებულობით არც სკლეროზით. ორივენი მშვიდად მოკვდნენ ძილში.

„მოჩვენებებზე იდუმალები“- ასე უწოდეს ჩემმა მშობლებმა ბებია-ბაბუას. გასაგები განმარტება გახლდათ მათი წარსულის ისტორიების, რა თქმა უნდა, ბაბუაჩემის ღმერთთან სიარულისა და მასთან რეგულარული საუბრის გათვალისწინებით ჩრდილო კორეაში ცხოვრების ბოლო წლებშიც კი. ჩემთვის ბებია-ბაბუა იდუმალებზე მეტი იყვნენ. ისინი ყოველთვის მემახსოვრება როგორც ნაზი, თავაზიანი და პატივსაცემი ადამიანები. ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც მოკრძალებით მავსებდა მათი თვისებები.

ისინი რომ გარდაიცვალნენ, თერთმეტი წლის ვიყავი. ამ ამბიდან მალე ცუდი ხალხი მოვიდა და ჩვენც იდუმალ მოჩვენებებად ვიქეცით.

ჩრდილოეთ კორეა ყოველთვის ამაყობდა ეთნიკური და რასობრივი სიწმინდით. ამის გამო, კორეელ ემიგრანტებსაც კი, ჩრდილოეთ კორეაში ჩინეთიდან ჩამოსულებს – ჩემი

ოჯახის მსგავსად, რომელთაც კორეა იაპონიის ოკუპაციის წლებში დატოვეს - არასოდეს ჰქონდათ წინსვლის დიდი შესაძლებლობა ჩრდილო კორეაში. მასობრივ შიმშილობამდეც კი, ემიგრანტებს სახალხოდ მიიჩნევდნენ „ცუდ“ ხალხად და მოკლებული იყვნენ საზოგადოებრივ მზრუნველობასა და კეთილგანწყობას. ჩრდილო კორეის მთავრობისგან არასოდეს მიგვიღია საკმარისი მიწა ან სამუშაო და თან გულდასმით აკვირდებოდნენ ჩვენს გადაადგილებას. სკოლაში ყოველთვის „ჭუჭყიან ბიჭს“ მეძახდნენ. იმაზე უარესად გვექცეოდნენ ვიდრე მათ, ვინც მთელი ცხოვრება ქვეყნის საზღვრებს შიგნით ცხოვრობდა. ყოველდღიური დაშინების ქვეშ ვცხოვრობდით-და მთავრობასაც სწორედ ეს უნდოდა.

ცივი, საშინელი ტერორი პირველად მეოთხე კლასში ვიგრძენი, ბებია-ბაბუის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში. ერთხელ, დღის პირველ თუ ორ საათზე, ერთი ქალბატონი - დედაჩემის ყოფილი კლასელი ჩინეთში-მოულოდნელად გვესტუმრა. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ბინაში მოსვლისას მას მხოლოდ საცვალი ეცვა. გვითხრა, რომ ქურდებმა ყველაფერი წაართვეს, ტანსაცმლისა და ფულის ჩათვლით. დედას შეეცოდა, შინ შემოიყვანა, აჭამა და ღამე გაათევინა.

სამწუხაროდ, ჩრდილო კორეაში სტუმართმოყვარეობა და იმ ადამიანისთვის კარის გაღება, ვისაც სახელმწიფო არასასურველად მიიჩნევს, შეიძლება სასიკვდილო შეცდომა აღმოჩნდეს. მეორე დღეს, გათენებამდე - ხუთ თუ ექვს საათზე - ძაღლების ყეფის ხმამ გამოგვაღვიძა. ნახევრად მღვიძარს ეს უცნაურად მომეჩვენა, რადგან ქალაქში ვცხოვრობდით - არც ფერმები იყო ახლოს და არც ძაღლები. ძილი კარზე ატეხილმა ბრაგა-ბრუგმა დამიფრთხო და მალევე დაუპატიჟებელი სტუმრები შინ შემოიჭრნენ. სახელმწიფო უშიშროების აგენტები პატარა სახლში შემოცვივდნენ. მათი ძაღლებისა და ფეხსაცმელების ხმამ და იარაღის დანახვამ სამუდამოდ დამავიწყა უსაფრთხოებაზე ჩემი ბავშობის ასაკიდან გამომდინარე სულელური წარმოდგენა. ახლაც კი შიშის ჟრუანტელი მივლის იმ ამბის გახსენებაზე.

დედა და მამა წამოხტნენ და ოროთახიანი ბინის მისაღებ ოთახში გამოვიდნენ, ვიდრე მე და ჩემი და-ძმები საერთო საძინებელში ძალით გაღვიძებულები ვიცდიდით. ეს იდუმალი ქალი, ჩვენი ახალი სტუმარი, ინსტინქტურად აეკრა საძინებელში შესასვლელი ოთახის კედელს, სადაც ყოველ დილით საბნებს ვინახავდით.

აგენტებს დიდი ხანი არ დასჭირვებიათ ჩვენი პატარა ბინის ყირაზე დასაყენებლად. ერთ წამში დაინახეს ჩვენი სტუმარი და ხელი ჩაავლეს. ჩვენთვის ერთი კითხვაც კი არ დაუსვამთ - მამაჩემს მიუბრუნდნენ, მოგვიანებით პოლიციაში მისვლა უბრძანეს და მყისიერად დატოვეს ბინა ქალთან, ძაღლთან, იარაღთან და თავიანთ მძიმე ფეხსაცმელებთან ერთად.

როცა მამაჩემი მოგვიანებით პოლიციის განყოფილებაში მივიდა, გაბრაზებული ტონით ლანძღვა დაუწყეს, რომ ყველა მოქალაქის ვალია, მთავრობას აცნობოს ნებისმიერი სტუმრის შესახებ სახლში შეშვებამდე. დასახლებისა და ქვეყნის უსაფრთხოება სასწორზე იდგა! მათ იმის გაგება სურდათ, რატომ მალავდა მამაჩემი ამ ქალს სახლში. მას არავინ დაუმალავს, რა თქმა უნდა, უბრალოდ, დედას ნება დართო ამ მოხეტიალე ქალს დახმარებოდა გაძარცვის შემდეგ მისი უხერხულობის დამალვაში და ჰკითხეს, ქალმა საათი თუ მოგვცა.

იმ დროს საათს ოქროს ფასი ჰქონდა. „რამდენი საათი მოგცათ ქალმა?“, - დაჟინებით კითხულობდნენ ისინი, - „რამდენი ოპიუმი“? არც დაელოდნენ მამისგან პასუხის გაცემას. იქნებ რას ამბობდა? ქალის შესახებ არაფერი იცოდა იმის გარდა, რომ დედაჩემის კლასელი იყო ჩინეთიდან, რომელსაც მაღაზიაში შემთხვევით შეხვდა სამი თვის წინ. ქალებმა ერთმანეთი იცნეს და მოიკითხეს. დედამ უთხრა, სადაც ცხოვრობდა, თუ ოდესმე დროს გამონახავდა ძველი ნაცნობის სტუმრობისათვის. გაფრთხილების გარეშე ისე გამოგვეცხადა კართან შუაღამისას საცვლებით, რომ ნამდვილად არ შეეძლო საათის ან ოპიუმის შემოთავაზება.

ჰქონდა თუ არა სტუმარს ან ჩვენ მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობა? უყეფდნენ პოლიციელები. იმისათვის, რომ სტუმრად მიგეღო ვინმე სხვა სოფლიდან ან ქალაქიდან ჩრდილო კორეაში,

ორივე მხარეს სტუმრობის ნებართვის ფორმა უნდა წარედგინა მთავრობაში. თუ სტუმრობისათვის აუცილებელი დოკუმენტები ორივე მხარეს არ ექნებოდა მოწესრიგებული, სასჯელს ყველა მიიღებდა.

მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში, ჩემი მშობლები ყოველდღე უნდა გამოცხადებულიყვნენ სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტში დაკითხვაზე ერთი და იგივე კითხვებზე პასუხის გასაცემად – და ეს ყველაფერი მხოლოდ იდუმალი საცვლებიანი ქალის გამო. აგენტები ამტკიცებდნენ, რომ ჩემი მშობლები ტყუოდნენ. მივხვდით, რომ ქალი ოპიუმის ბიზნესსა და საათების არალეგალურ ვაჭრობაში იყო ჩართული; ერთიც კი სერიოზული დანაშაული იყო, ხოლო ორივე ერთად საშინელებას წარმოადგენდა – მისთვისაც და ჩვენთვისაც. სწორედ ამიტომ გამოაგზავნეს სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის აგენტები ჩვენს სახლში: ქალი ციხიდან გამოქცეულა, ტანისამოსი გადაუყრია აგენტებისათვის კვალის არევის მიზნით და ბოლოს, მის მძებნელებს ჩემი მშობლების კართან მოუძღვა. ეჭვი მაქვს, მშობლებს მისთვის უარი რომ ეთქვათ სახლში შემოსვლაზე, შედეგი მაინც ანალოგიური იქნებოდა; ჩვენ ემიგრანტები ვიყავით, „ცუდი ხალხი“ – და ასეთი ადამიანები ვერაფერს მიიღებენ ამ ქვეყანაში. ამის გამო ათი დღის შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის აგენტებმა სახლის კარი კიდევ ერთხელ შემოამტვრიეს. ამჯერად გვიბრძანეს დაუყოვნებლივ შეგვეყარა ჩვენი ბარგი მათ სატვირთოზე და სახლი სამუდამოდ დაგვეტოვებინა.

მთავრობამ ფერმერთა სოფელში გადაგვიყვანა ბინიდან ორი საათის სავალ გზაზე, მთაში, სადაც გზა ჯერ კიდევ არ იყო მოპირკეთებული. სამწუხაროდ, აქამდე არასოდეს გვიმუშავია ფერმაში, სწორი მიწაც კი არასოდეს დაგვიმუშავებია. ჩინეთში მიწას ვფლობდით, მაგრამ ყოველთვის ქალაქში ვცხოვრობდით. ეს სოფელი კლდის ფერდობზე იყო დასახლებული. ექსპერტი აგრონომისთვისაც კი წარმოუდგენლად რთული იქნებოდა ამ უნაყოფო მიწაზე საარსებო პირობების შექმნა.

სოფელში სხვა გადასახლებული ოჯახებიც ცხოვრობდნენ - სავარაუდოდ, ამ მეჩხერი დასახლების 5 პროცენტი. მცირე ხელჩასაჭიდი თუ არსებობდა იმისა, რომ აქამდე განცდილი იზოლაცია და დისკრიმინაცია არ გაძლიერდებოდა. სოფელში იყო სამსახურის პრეზიდენტი, ჯგუფის ხელმძღვანელი და მენეჯმენტის დირექტორი. რომლებიც ჩემს მშობლებს საშინლად ეპყრობოდნენ; ჩვენ უბრალოდ დამნაშავეები კი არა, არამედ ემიგრანტი დამნაშავეები ვიყავით -ყველაზე დაბალი სოციალური კლასი. თითოეული მიწის ნაკვეთზე დაახლოებით ორმოცდაათ ადამიანამდე მუშაობდა. ეს იყო ყველაზე რთულად წარმოსადგენი შრომა-გასწორების კოლონია.

იმედგაცრუება არასაკმარისი საკვების გამო, რის წინააღმდეგ ბრძოლაშიც პირველად ვიხილე ჩემი მშობლები. შეგიძლიათ, ასეთი დიალოგი წარმოიდგინოთ: გაბრაზებული მამაჩემი ამბობს:

- რატომ დაეხმარე ქალს, რომლის შესახებაც არაფერი იცოდი? ეჭვი არაფერში შეგეპარა, საცვლებში რომ დაინახე?

დედაჩემი მტკიცედ პასუხობს:

- საწყალ ადამიანს ჩემი დახმარება სჭირდებოდა. როგორ შეიძლება, არ დაეხმარო გაჭირვებაში მყოფ ადამიანს? როცა მშიოდა, დამაპურეთ... შიშველი ვიყავი და შემმოსეთ.

ეს იყო რწმენა, რომელმაც საზღაური მოსთხოვა დედაჩემს და ოჯახის სხვა წევრებს - ყველაფერი. შიმშილის განცდა გვღრღნიდა ჩასვლის მომენტიდან, რაც ხელს ვერ შეუწყობდა ჩვენი მღელვარების დაცხრომას ან ტკივილებისგან განკურნებას.

ოჰ, ეს ტკივილები! მას შემდეგ რაც სატვირთომ ამ გაპარტახებულ ფორპოსტზე ჩამოგვყარა, პირველი დღიდანვე სოფლის დასახმარებელ საქმეებში მონაწილეობის მიღებას მაიძულებდნენ. შრომა აუცილებლობას წარმოადგენდა გამხდარი, ამ საქმიანობისთვის მოუმზადებელი ბიჭისთვისაც კი. მავალებდნენ სახლის, ფერმისა და სასოფლო-სამეურნეო საქმეების კეთებას და თითქმის ყველაფერს, რის გაკეთებაც კი სოფლის ხელმძღვანელობას ჩემი ასაკისათვის შესაფერისად მიაჩნდა. ვცდილობდი, კარგად მოვქცეულიყავი - წყნარად

ვყოფილიყავი. უნდა მხსომებოდა, რომ ცუდ ადამიანებს შეიძლება სხვაგან გადავეყვანე თუკი ჩემი მოქმედება ჩვენს უჩვეულო ოჯახზე თუნდაც უმცირეს დეტალსაც კი მიანიშნებდა.

თუმცა იქ არავინ არაფერს მეკითხებოდა - ერთი საქმიდან მეორეზე უხეშად მაგზავნიდნენ. ერთ გაუსაძლის საათს მეორე მოსდევდა, ერთ გაუსაძლის დღეს მეორე ენაცვლებოდა. დიდი დრო არ დასჭირდათ იმის გამოსაცნობად, რომ ხელმარჯვე ოსტატი არ ვიყავი. მალე მივხვდი, რატომ იყო რომ ყველა, პატარა ბავშვების ჩათვლით, სოფლის გარშემო მხრებში მოხრილები დადიოდნენ და მწარედ გმინავდნენ: რამდენიმე დღეში, მეც მათ მსგავსად გამოვიყურებოდი. მწვავე ტკივილი მივლიდა ზურგში ოცდაოთხი საათის განმავლობაში, მთელს სხეულში, სისხლში და ხელ-ფეხის თითებში. დიდი მცდელობის მიუხედავად, სხვა მუშები გამუდმებით აღნიშნავდნენ, რომ დიდი არაფერი დახმარება შემეძლო.

თორმეტი წელი იმ სოფელში შემისრულდა. დაბადების დღე შეშის დაჩეხვასა და მის სოფელში ჩატანას მოვანდომე კლდის ვიწრო ბილიკის მეშვეობით, რომელიც ცვეთისგან დაგლუვებულიყო, ხოლო მაღლიდან დაკბილული ნიადაგი ქვემოთ შეუბრალებლად იყურებოდა. სოფლის ხელმძღვანელობის თვალში სივიწროვემ გახადა ეს საქმე თორმეტიოდე წლის ბიჭისათვის შესაფერისად. ყურიმოვკარი, რომ ახლახანს ადამიანი თუ ძროხა, თუ ორივე ერთად, კლიდან გადაიჩეხა არასწორად გადადგმული ნაბიჯის გამო. ახლა, ყოველდღიურად ვიყენებდი ამ სიცოცხლისათვის საშიშ გზას ზურგზე მოკიდებული შეშის საზიდად. თითქმის ყოველდღე სიკვდილს ვუცქერდი თვალებში.

ძალიან სწრაფად გავიზარდე. მშობლებს ვეკითხებოდი, თუ რატომ უნდა გვეტანჯა მონებივით. დედაჩემმა თქვა:

- ადამიანურ არსებებად ამ ტანჯვის გავლის შემდეგ გავხდებით. ახლა ვიცდებით, მაგრამ მაინც რწმენით უნდა ვიცხოვროთ. ღმერთი შეგვიმსუბუქებს ტანჯვას.

მისი სიტყვები გულში მომხვდა. როგორ შეეძლო მას ან მე გვცოდნოდა, რომ ღმერთი თითოეულ ჩვენგანს მომავალში

გაცილებით მძიმე დანაშაულის ბრალდების ასატანად გვამზადებდა მისი სახელის ტარების გამო?

დედაჩემს არასოდეს არ უთქვამს უარი ჩვენს გაწვრთნაზე, იმ დროშიც კი. ცივი, უხეში მთის სოფელში მისი ჩურჩულიდან შევიტყვე, რომ ბაბუას ათი რჩევა, სინამდვილეში, ჰანანიმის, ერთადერთი ღვთის მიერ მოცემული ათი მცნება იყო. ღამე გაგვაღვიძებდა ხოლმე, რომ ათი მცნება ესწავლებინა და მასთან ერთად გველოცა.

თუმცა შეზღუდულები ვიყავით. რა თქმა უნდა, სადილამდე ლოცვა აღარ შეიძლებოდა. როცა ამის მიზეზი ვიკითხე, თორმეტი წლის ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობით, ჩურჩულითა და მოთმინებით ამიხსნა, რომ ახლანდელი ხელისუფლების შემოწმების ფონზე, ჩვენი შინაგანი ერთგულება უფრო მეტად შინაგანი უნდა გამხდარიყო, ვიდრე ოდესმე.

გვიან ზაფხულს მთაში გადაგვასახლეს. იქ ჩასვლისას კოოპერატივის ხელმძღვანელობამ ბრინჯის მწირი მარაგით უზრუნველგვყო, მოსავლის აღებამდე რომ უნდა გვყოფნოდა. როგორც ყოველთვის, მათი ფორმულა ანგარიშობდა, თუ რამდენი გეყოფოდა გადასარჩენად და იმის ნახევარს გაძლევდნენ. ეს იყო დისციპლინა, მოწინააღდეგეებისათვის განკუთვნილი სასჯელი იმის გასახსენებლად, რომ სიცოცხლის ღირსები არ იყვნენ და თავი ვაი-ვაგლახით უნდა გაეტანათ.

შემოდგომაზე ყველა ოჯახი მთელ მოსავალს მთავრობას აბარებს, რომელიც შემდეგ დაიანგარიშებს, რამდენი დღე იმუშავა თითოეულმა და ამის მიხედვით სარჩოს გადაანაწილებს. ოთხი თვის განმავლობაში ვიყავით იქ და ჩვენი განახევრებული წილი თვალნათელ გარანტიას იძლეოდა, რომ ზამთარს ვერ გადავიტანდით. მიუხედავად დედაჩემის მომჭირნეობისა, მარაგი სწრაფად გაგვითავდა. შიმშილის ზღვარს მიახლოებულებს სხვა გზა არ გვქონდა გარდა იმისა, რომ კარდაკარ ჩამოგვევლო და არაემიგრანტი მეზობლებისთვის დახმარება გვეთხოვა. პასუხად მხოლოდ ზიზღი მივიღეთ. არც ერთი მათგანი

იოტისოდენადაც არ შეგვწევია. ჩვენ ხომ მათ თვალში ემიგრანტი დამნაშავეები ვიყავით.

ერთ საღამოს, შეწუხებულმა დედა გავაღვიძე, რომ ზურგზე მასაჟი გაეკეთებინა. ტირილით მთხოვა, წავსულიყავი და ცოტაოდენი კარტოფილი მომეპარა.

გაკვირვებისაგან გავშეშდი.

- დედა, - გავაპროტესტე, - შენ გვასწავლე, რომ არ მოვიპაროთ. ახლა მცნების დარღვევას მთხოვ. რატომ?

ჩაფიქრებულმა შემომხედა და მიჩურჩულა:

- იმიტომ, რომ თვითმკვლელობა უფრო დიდი ცოდვაა.

დაფიქრდით, ვიდრე განმსჯიდეთ და იმასაც გეტყოდეთ, რომ მრავალი დღის განმავლობაში მზის ჩასვლისას კარტოფილის მინდორში მივდიოდი მაშინ, როცა ქარი ყველაზე მეტად მძვინვარებდა და მინდორი გაუბედურებულ მდგომარეობაში იყო. კორეელების უმეტესობას შიმშილით ტანჯვა 1990-იან წლებამდე არ დაუწყია. ჩვენს ოჯახს კი ეს გასაჭირი 1970-იან წლებში დაატყდა თავს.

ვისწავლე ხის მოჭრა და შეშის დამზადება მოპარული კარტოფილისაგან მიღებული ძალით. ასე განავითარა ღმერთმა ჩემში ნებისყოფა და ჯიუტი სული.

ჩვენი სიკვდილი გარდაუვალი იქნებოდა, ღმერთს მამაჩემი ძლიერი ინტელექტით რომ არ დაეჯილდოვებინა. ბაბუაჩემის მსგავსად, ისიც ჩინურად, იაპონურად და ჩრდილოკორეულად ლაპარაკობდა. მან თავისი შეუპოვრობითა და ნებისყოფით, იმ სავალალო მდგომარეობიდან ჩვენი გამოხსნის გზა მონახა. ისე მოხდა, რომ ყოველდღიური, უსასრულო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პასუხისმგებლობის ფონზე, მამამ სწავლა დაიწყო. ბიბლიოთეკიდან ელექტრო-ტრანსფორმატორების მუშაობის შესახებ წიგნები გამოიტანა. სწავლობდა, როგორ იმართებოდა ძრავები და წყლის ტუმბოები. იმ პატარა ფერმას, სადაც ჩემი ოჯახი იყო გამწესებული, „ლი“ ერქვა, ხოლო მისგან თორმეტი კილომეტრით დაშორებულ უფრო პატარა დასახლებას „კუნ-ს“ ეძახდნენ. თვის იმ რიცხვში, რომელიც 1-ით სრულდებოდა,

დასვენების დღეს გვაძლევდნენ და უფლება გვქონდა კუნის მაღაზიაში წავსულიყავით, რადგან ერთადერთი ადგილი იყო, სადაც სურსათის მარაგი იყიდებოდა. ფულისა და ტრანსპორტის გარეშე დარჩენილებს, ყოველი თვის პირველი, თერთმეტი და ოცდაერთი რიცხვი საკუთარ უიმედო მდგომარეობას გვახსენებდა. ერთ-ერთ ასეთ საყიდლების დღეს, მას შემდეგ, რაც მამამ ყველა წიგნი გადაიკითხა, რომელთა თხოვებაც შეიძლებოდა, კუნისკენ მიმავალ თორმეტკილომეტრიან გზას დაადგა. გონებაში გეგმა დააწყო. იცოდა, რომ ეს მისი ერთადერთი შანსი იყო.

მამამ კუნის ფერმის ერთ-ერთ მენეჯერს თავი გააცნო და უთხრა, რომ ელექტროძრავებისა და წყლის ტუმბოების შეკეთება იცოდა, რაც კუნის მოსახლეობისათვის ყოველთვის დიდი თავისტკივილი გახლდათ. იმ დროს იქ მექანიკოსი ძვირად ფასობდა, რადგან ხელოსნები დიდხანს არასოდეს რჩებოდნენ კუნის მსგავს მივარდნილ ადგილებში და თუ მაინც გამოჩნდებოდნენ, მათ დიდი მზრუნველობითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

სოფლის ხელმძღვანელობა იმდენად სასოწარკვეთილი გახლდათ, რომ შანსი ხელიდან არ გაუშვეს და მამას დაზიანებული ძრავის შეკეთება დაავალეს. მან ღვთის მადლით საქმე გააკეთა. არ სჯეროდათ, რომ ლიში ასეთი საოცარი ნიჭის მქონე ადამიანი ცხოვრობდა. ეს კაცი კუნში უნდა გადმოსულიყო! აი, ასე გადავედით ლიდან კუნში და იმ დროს საშუალო სკოლაშიც შევედი. ეს სასწაულის კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რადგან გადაადგილებისთვის ჩრდილოეთ კორეის მთავრობის ყველა საფეხურის ნებართვა გჭირდება, რის მიღების გზაც ემიგრანტ დამნაშავეებს მოჭრილი აქვთ.

რეგიონალური მმართველობის ოფისი ფერმის ტექნიკასთან დაკავშირებულ საქმეებს ზედამხედველობდა. სწორედ მათ დანიშნეს მამაჩემი მექანიკოსად. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ნერვიულობდა თავიდან, რადგან მხოლოდ წიგნებიდან ჰქონდა ნასწავლი ელექტროობა. თუმცა რამდენიმე დიდი პრობლემის მოგვარების შემდეგ, რეგიონში საუკეთესო

მექანიკოსის სახელი დაიმკვიდრა. ის ძალიან, ძალიან მოხერხებული კაცი იყო.

საქმემ მოიმატა და ჩვენი საკუჭნაოც სანოვაგით აივსო, მან ძრავების შეკეთებაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ გააკეთა. იფიქრებდით, რომ ახლახანს სიკვდილის აჩრდილისაგან გათავისუფლებული კაცი, ანალოგიურად გათავისუფლდებოდა ოჯახის აკრძალული რწმენით ცხოვრების ცდუნებისაგან, რომ არაფერი ვთქვათ, რწმენის სხვებისთვის გაზიარებაზე. როცა მისი მეგობრები დასვენების დღეებში ჩვენთან ჩამოდიოდნენ, მამა მათ ღმერთის შესახებ ელაპარაკებოდა. რაც შეეხება ხელისუფლებას (რომელმაც, რა თქმა უნდა არაფერი იცოდა მამას მახარებლური საქმიანობის შესახებ), მამაჩემმა მათგან მწყალობელი რეფორმა განიცადა და უპატიებელი ნაკლოვანებების მიუხედავად, ფეხზე წამოდგა. როცა გავიზარდე და მოწიფულობაში შევედი, გამიჭირდა იმის დაჯერება, რომ მას ასეთ დაბალ საფეხურზე, მძიმე შრომას აიძულებდნენ. ის ხომ ჩინეთში უნივერსიტეტის დეკანის მოადგილე გახლდათ! როგორ შეიძლებოდა მისი დაწინაურებისთვის ხელის შეშლა? აშკარაა, რომ მამა ასჯერ უფრო გონიერი და კულტურული იყო, ვიდრე მისი ხელმძღვანელები, ხოლო მექანიკოსები იმ დროს ადგილობრივ კორეელთა ყველაზე დაბალ კლასს შეადგენდნენ.

დაახლოებით, თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის ასაკში მამას ვკითხე, თუ რატომ არ იყო ხელმძღვანელი ან მასწავლებელი. მან მიპასუხა:

– იმიტომ, რომ არ შემიძლია კომუნისტი გავხდე. მნიშვნელობა არ აქვს, რა ძალისხმევით შრომობ. თუ კომუნისტი არ ხარ, უსარგებლოდ ხარ მიჩნეული. ჩვენ ჩინეთიდან ჩამოვედით, ხოლო იაპონიიდან ან ჩინეთიდან ჩამოსულებს თითქმის არ აძლევენ კომუნისტურ პარტიაში შესვლის შესაძლებლობას. ისინი, ვინც იქ უნივერსიტეტებს უძღვებოდნენ, აქ საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ფერმერობასა და მექანიკოსობას უნდა დაჯერდნენ. განსაკუთრებით ისინი, რომელთაც ნათესავები ჩინეთში ჰყავდათ, ყოველთვის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილებად ითვლებიან.

მამა ცდილობდა გავემხნევებინე იმის თქმით, რომ შეიძლება ჩემს თაობას მისცემოდა ხელმძღვანელ პოზიციაზე ყოფნის უკეთესი შანსი.

ყველა ჩრდილოკორეელი მამაკაცისათვის, აღმასრულებელი პოზიციისაკენ მიმავალი ცხოვრების გზა - სინამდვილეში, ნებისმიერი გზა გარდა ციხის ან საფლავისა - კორეის სახალხო ჯარში მსახურებაზე გადის. უმეტესობას არჩევანის უფლებაც არ გვქონდა, რომ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ასაკში კორეელი ხალხის ჯარში არ წავსულიყავით სავალდებულო საშუალო განათლების მიღების შემდეგ. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილებს სახლში გვხვდებოდა საშუალო სკოლის დასრულების სერთიფიკატი. მამაკაცების უმეტესობა ათი წელი მსახურობდა ჯარში. პირადად მე ათი წელი და ხუთი თვე ვიმსახურე უჩვეულო შემთხვევის გამო და ასე გავხდი კომუნისტი. სამხედროში ყველა ანაზღაურების გარეშე მსახურობს. მაგრამ ათწლიანი მსახურების შემდეგ, შეიძლება - მხოლოდ შეიძლება, ბეჯითი შრომით, კარგი კავშირებით და მცირეოდენი ჩარევით - მიგიწვიონ კომუნისტური პარტიის რიგებში. ჩემი მსახურების დროს, ჯარისკაცებს კარგად ეპყრობოდნენ. 1970-იანების შუა პერიოდიდან 1980-იანების შუა წლებამდე ვიმსახურე. აქამდე გავლილი ცხოვრებისეული სირთულეების გამო, სამხედროში გატარებული დრო შედარებით სასიამოვნო გახლდათ. მას შემდეგ რაც მამამ ფერმიდან გამოგვიყვანა, ექვსი ბავშვი ვიყავით შესანახი. და მიუხედავად იმისა, რომ მეორე შვილი გახლდით, უფროსივით მეპყრობოდნენ, რადგან უფროსი ძმა ჩემსავით ჭკვიანი არ იყო. ისიც უნდა წასულიყო სამხედროში, მაგრამ ოჯახი ჩემზე ამყარებდა იმედებს.

ერთხელ, სამხედროში ვეცადე გამომეყენებინა შესაძლებლობა და დავწინაურებულიყავი - ცოტა უფრო მეტი გამეკეთებინა და მეტი აღიარება მომეპოვებინა. სხვა ჯარისკაცები თავისუფალ დროს გასართობად სპორტულ თამაშებს უყურებდნენ, მაგრამ მამაჩემის მაგალითიდან გამომდინარე, ყოველ წამს სწავლისთვის ვიყენებდი, დაწინაურების მიზნით. მიუხედავად

იმისა, რომ ფიზიკურად ერთ-ერთი ყველაზე პატარა ბავშვი ვიყავი სკოლაში, ჩემი ათლეტური შესაძლებლობით გამოვირჩეოდი. ჯარისკაცი რომ გავხდი, ფრენბურთს ღამე ვვარჯიშობდი. ვიცოდი, რომ დაწინაურების შანსი მქონდა როგორც ფრენბურთელს - ოცეულიდან ასეულში, ასეულიდან ბატალიონში და ბატალიონიდან პოლკში, ლიდან კუნში გადასვლის მსგავსად. მამაჩემს თავდადებაში ვბაძავდი. სპორტულ შეჯიბრებებში რამდენიმე ვერცხლისა და ოქროს მედალი მოვიპოვე. ფრენბურთის გარდა, 100 მეტრზე სირბილსა და 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვჭიდაობდი. სიმაღლეზე ხტომაში ჩემპიონიც კი გავხდი.

ცხრამეტი წლის ასაკში, სამხედროში მსახურობის მეორე წელს, განცხადებას წავაწყდი, რომელიც ხალხს თავად დიდი ბელადის, კიმ ირ სენის მიერ ნაჩუქარ აკორდეონზე დაკვრის სწავლას სთავაზობდა. მოსმენაზე, ვფიქრობ, ყველა მოვხიბლე ჩემი ნიჭითა და სწავლის წყურვილით, მაგრამ ეს შთაბეჭდილება უკვალოდ გაქრა, როცა თავდაჯერებულად დავიწყე დაკვრა ამოყირავებულ ინსტრუმენტზე. და მაინც, სამი თვის შემდეგ, ორმოცდაათ მოსწავლეს შორის ყველაზე სწრაფად შემსწავლელად დამასახელეს და სხვების სწავლება დამავალეს. სამხედრო სამსახურის გასრულების დროისთვის, დაახლოებით, სამას ადამიანს ვასწავლე აკორდეონზე დაკვრა.

იმ დროს, ჯარისკაცები, რომლებიც უკრავდნენ და ათლეტურ შეჯიბრებებში იღებდნენ მონაწილეობას, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ. იმის გამო, რომ ორივეს კეთება შემეძლო, დამატებითი აღიარების გზა გამეხსნა სამხედრო დანაყოფების პირველობისთვის შეჯიბრის დროს. ჩემი ზემდგომი პარტიის წევრი იყო კომუნისტური თემიდან, ხოლო პოლკის მეთაური კი - ადმინისტრაციული საზოგადოებიდან. ერთს ჩემი ათლეტური მონაცემები მოსწონდა და მეორეს - მუსიკალური. ყოველწლიურად კიმ ირ სენის დაბადების დღეზე, მის საპატივსაცემოდ სიმღერის კონკურსი ტარდებოდა. ტიპიური სიმღერები ასე სრულდებოდა:

სამხედროში შესვლისას, არანაირი მედალი/ღირსება/ჩინი არ გქონდა,.

მაგრამ დაბრუნებისას, გმირი ხდებოდი; ვიღაც მკერდში ჩაგიკრავდა ამისათვის!

დედაჩემმა წამიყვანა სამხედრო დეპარტამენტში მშობლიური ქალაქიდან,

სადაც დავიბადე და გავიზარდე, და სადაც მეგობრები მყავდა.

მთელი ჩემი სხეული გავიღე დიდი ლიდერისა და კომუნისტური ცენტრალური კომიტეტის სამსახურისათვის!

სიმღერის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში დანამდვილებით შეგამჩნევდნენ. გაიმარჯვებდი ასეთ კონკურსებში და სპორტულ შეჯიბრებებში მიიღებდი მედალს? ლეგენდარული პიროვნება გახდებოდი.

თუმცა ჩემი ოჯახის წარსულის გამო, კომუნისტური პარტიის წევრობის მისაღებად ლეგენდაზე მეტი უნდა ვყოფილიყავი. არა მარტო სიმღერის კონკურსებსა და ფიზიკურ აქტივობებში დავწინაურდი, არამედ ერთხელ ჯანმრთელობის პროპაგანდის ჯგუფიც შევქმენი მოწევისა და სმის წინააღმდეგ. ხანდახან პოლიტიკურ აქტივობებსაც ვხელმძღვანელობდი.

ორივე, პოლკის მეთაური და პოლიტიკური წევრი, გაოცებულნი იყვნენ ჩემით. და მაინც, ამ ყველაფრის დასკვნა ასეთი გახლდათ: იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთა მშობლები კომუნისტები იყვნენ, კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანებას სთავაზობდნენ. დეპორტირებული ემიგრანტების შვილებისათვის, რომელთა მშობლები პარტიის წევრები არ იყვნენ, მთვარეზე წასასვლელი ბილეთის შეძენა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანება. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ათწლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ პარტიის წევრი თუ

ვერ გავხდებოდი, მამაჩემივით ღირსეული ცხოვრებით მაინც ვიცხოვრებდი. ეს კარტოფილის ქურდობას ნამდვილად აჯობებდა.

ერთ დღეს მხნეობა მოვიკრიბე და იმ ადმინისტრატორს ვესტუმრე, რომელიც ჩემი მუსიკალური ნიჭით იყო მოხიბლული. ჩვეულებრივი ჯარისკაცი ვიყავი. უბრალოდ არ შემეძლო მეთაურთან შესვლა და ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბარი. ასეთ საფეხურზე მდგომ ადამიანთან შეხვედრა ნებისმიერი მიზეზით შეუძლებელი გახლდათ, რადგან ჩვენს შორის კლასობრივი განსხვავება ძალიან დიდი იყო. თუმცა მასთან ურთიერთობა მქონდა სხვადასხვა საქმეების მეშვეობით, რასაც ვასრულებდი. ამრიგად, ერთ დღეს სასწაულებრივად აღმოვაჩინე, რომ მის წინაშე ვზივარ და ვბურტყუნებ:

- ყველაფერს სწორად ვაკეთებ?

კომისარმა საპასუხოდ ჩაიფხუკუნა.

- აბა, მე რა ვიცი? - თქვა მან სკეპტიკურად, - უნდა ვნახო როგორი წარმატებით გაართვი თავი დავალებებს, რომ დავრწმუნდე.

მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, რომ აქ შეეწყვიტა საუბარი, მაგრამ სიკეთე გამოიჩინა და ჩემს საქმეებს თვალი გადაავლო. ბოლოს თქვა, რომ აქამდე არავის შეუსრულებია მათი დავალებები ჩემზე უკეთესად. ამ მომენტით ვისარგებლე, რომ ჩემი წოდებისა და ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, იღბალი ჩემკენ შემომეტრიალებინა.

- ისინი, ვინც სამხედრო ძალებს ჩემს მსგავს სიტუაციაში შეუერთდნენ, უკვე უნდა დაეთხოვათ სამსახურიდან, - ვთქვი შეძლებისდაგვარად უმანკო ტონით, - უკვე ოცდარვა წლის ვარ და მალე სახლში გამიშვებენ. ჩემი სამხედროდან წასვლის შემდეგ აქ აღარავინ დარჩება, ვინც აკორდეონს ჩემსავეთ დაუკრავს. ხომ არ ფიქრობთ, რომ დროა ვიღაცას ვასწავლოთ დაკვრა?

ჩემმა კითხვამ დააფიქრა. და მითხრა:

- ჰოდა, რატომ არ შეარჩევ ვინმეს?

- ჰმ..., - ვთქვი დაფიქრებით, - ექვსიდან თორმეტ თვემდე მაინც უნდა ვავარჯიშო ასეთი ადამიანი. მაგრამ მე არ ვარ

წარდგენილი კომუნისტური პარტიის წევრობისთვის. ეს ვაჭრობას ჰგავდა. იმდენად ახლოს მივედი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რომ იქვე არ გავეგზავნე სამხედრო ტრიბუნალზე გასამართლებისთვის.

მან გაიკვირვა:

- მეგონა, რომ კომუნისტი იყავი! ჯერ არ ხარ, მაშ, მოდი, გზა მოვძებნოთ ამისთვის.

ყოველდღე, დაახლოებით 10:00 საათზე ვასრულებდი ჩემს საქმეს და მოწყვეტილი ვეცემოდი საწოლზე, მაგრამ თხუთმეტიოდე წუთში ზამბარასავით წამოვხტებოდი „მოხალისეობრივი ერთგულების დროის“ წვრთნისთვის. საღამოობით სახლის მშენებლობაში ვეხმარებოდი ერთი საათი, სადაც სამხედრო ხელმძღვანელობაც ტრიალებდა და მაკვირდებოდნენ მეც და სხვებსაც, რომელთაც მეთაურების ყურადღების მიპყრობაში ვეჯიბრებოდი. სხვებიც მოხალისედ მუშაობდნენ, თითოეული თავისი პირადი მიზეზის გამო, ისევე როგორც მე. ასეთ საქმეებს მოხალისეობრივად ვასრულებდით და ეს გვიან ღამით ხდებოდა მომქანცველი ყოველდღიური მოვალეობების მოხდის შემდეგ. ყველა ასეული და ბატალიონი სიგიჟის დონემდე იყო შეპყრობილი მოხალისეობრივი მგზნებარებით. გადავწყვიტე, მე ვყოფილიყავი მათ შორის ყველაზე ანთებული და ერთგული.

ყოველდღიური საქმის კეთებისას ყველაზე სუსტ ჯგუფთან მიმამაგრეს, რაც თავისთავად გულისხმობდა მისი გაძლიერების შედეგად სახელის მოხვეჭას. ჯარისკაცებს ფეხებზე მიბმული ქვიშიანი ტომრებით ვავარჯიშებდი. ექვსთვიანი წვრთნის შემდეგ მათი ბრძოლისუნარიანობა კვლავ გამოიცადა. ყველა ტესტი წარმატებით გაიარეს, სირბილისა და ჰორიზონტალური თამასის გადალახვის ჩათვლით. ხმა გავრცელდა, მათზე ფილმი გადაიღეს და სტანდარტად დასახეს, რომელსაც უნდა მიაღწიოს ყველა დანაყოფმა.

ერთ დღეს, დამტვრეული აგური შევნიშნე საყვავილეში. ორნამენტის ხელოვნების მასწავლებლებს ვთხოვე, შესაკეთებლად

მოსულიყვნენ და ის ადგილი ცემენტითა და დეკორაციებით შეევსოთ. როდესაც დანაყოფის კომისარი მოვიდა ადგილის სანახავად, სუფთა და მოწესრიგებულმა გარემომ გააკვირვა. რატომ მოხდა ასე, რომ საყვავილეში აგურებიც კი შეუბღალავად გამოიყურებოდა! კომისარმა იკითხა, თუ ვინ იყო ამ დიდებულ საქმეზე პასუხისმგებელი, მაგრამ ყველას ვთხოვე გაჩუმებულიყვნენ ინტერესის გაღვივების მიზნით. ექვსი თვის შემდეგ, ინფორმატორი გავგზავნე, რომ ჩემი საქმიანობის შესახებ ელაპარაკა. უპარტიო და დეპორტირებული ემიგრანტების შვილებს ყველანაირი სიტყვიერი რეკომენდაცია სჭირდებოდათ პარტიაში შესასვლელად, რომელსაც კი მოიპოვებდნენ, თუკი საერთოდ არსებობდა მათთვის კომუნისტურ პარტიაში მიღების იმედი.

რამოდენიმე თვის შემდეგ, პოლკის კომისარმა მითხრა, რომ მამაჩემთან შეხვედრა სურდა. მამას დავუკავშირდი და კომისარს შევახვედრე. მამაჩემი ცოტა არ იყოს გაოცებული და შეწუხებული იყო ასეთ შეხვედრაზე გამოძახების გამო, მაგრამ ვუთხარი, არ ენერვიულა და უბრალოდ წასულიყო. მან სახლში გამოხდილი სასმელი მოიტანა – იმ დროისთვის სოლიდური საჩუქარი. კომისრის ოფისისაკენ მიმავალი მამა მოჩვენებასავით თეთრად გამოიყურებოდა. ცოტა ხანში კარი გაიღო თუ არა, მამა ყურებამდე გაღიმებული გამოვიდა.

– გავიგე, რომ ჯარში წარმატებები გქონია, – თქვა მან გულითადი და ცხადი სიამაყის გრძნობით და არანაკლები შვებით.

სხვა რომ არაფერი, ის იყო ერთადერთი და მთავარი მიზეზი, რატომაც არ შემეძლო კომუნისტური პარტიის წევრობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს აღელვებდა ერთ დროს გაძევებული და შემდეგ ჩინეთიდან ჩრდილო კორეაში გადმოსახლებული ემიგრანტის საკითხი, რომლის ერთგულება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. უფრო ცუდი წინ გველოდა. წარსულის შემოწმებისას, მას შემდეგ, რაც ჩემს პარტიაში მიღებას ფიქრობდნენ, სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტმა აღმოაჩინა, რომ მამაჩემი ჩინეთში კიდევ ყოფილა. მისი საქმის გამოძიებისას არალეგალური რადიოს ამბავმაც იჩინა თავი:

სახელოსნოს გვერდით, სადაც მამაჩემი გაამწესეს იმ დროს, იყო რადიოების შემკეთებელი კაცი. ერთ დღეს, მან შეცდომით ისეთ სიხშირეზე დააყენა რადიო, რომ სამხრეთ კორეის გადაცემას მოუსმინა. იმ დროს მამაჩემი შორიახლოს იმყოფებოდა. ჩრდილო კორეაში, უმნიშვნელო ქმედებაც კი არ რჩება შეუმჩნეველი სადღაც, ვიღაცის მიერ. და ასეთი შემთხვევები ყოველთვის მაშინ იჩენს თავს, როდესაც მათი გამოჩენა ყველაზე ნაკლებად გსურს.

ბუნებრივია, პოლკოვნიკს ეს აქტები მამაჩემისათვის უნდა გაეცნო, რითაც წყალობის ნაბიჯი გადადგა - მას საშუალება ეძლეოდა, რომ ახსნა-განმარტებების მეშვეობით შვილის სამომავლო წარმატებას შეწეოდა. მამამ აუხსნა, რომ მისი ნათესავები ჩინეთში ცხოვრობდნენ და რა თქმა უნდა, ეს იყო ჩინეთში სტუმრობის მიზეზი, რათა მათი ჩვენი ქვეყნის მუშათა სამოთხეში გადმოყვანა ეცადა. რაც შეეხება რადიოს, მას საშუალება ჰქონდა მოესმინა სამხრეთ კორეის რადიოარხისათვის მხოლოდ რადიო-მექანიკოსის შეცდომის გამო, თუმცა სწრაფად დაამატა, რომ შინაარსი ვერ გაიგო და ამის არანაირი ინტერესი არ ჰქონია.

პოლკის კომისარმა ქაღალდების დასტა გაიქნია.

- როცა გადაწყვეტილებას მივიღებ, - დაარწმუნა მამაჩემი, - თქვენს შვილს ნებისმიერ დროს დავრთავ ნებას, გახდეს კომუნისტური პარტიის წევრი.

ეჭვგარეშეა, მამაჩემმა შვებით ამოისუნთქა, რომ შვილი მისნაირად არ დაიტანჯებოდა. შეხვედრიდან მოკლე ხანში, პოლკის უფროსმა დამიძახა და მითხრა:

- მალე მენეჯმენტის ხელმძღვანელობას გთხოვენ.

როცა ჯარისკაცს მხრებზე წოდების სიმბოლო არ აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უბრალო ჯარისკაცია. კაპრალებს აქვთ ერთი ზოლი, სერჟანტებს - ორი, პირველი კლასის სერჟანტებს სამ ზოლს აძლევენ, უფროს სერჟანტებს - სქელ ზოლს, ხოლო მენეჯმენტის ხელმძღვანელს - ორ სქელ ზოლს. მენეჯმენტის ხელმძღვანელი არის ყველაზე მაღალი პოზიცია, რაც კი შეიძლება ჯარისკაცმა ოფიცრობამდე მიიღოს.

კომპლიმენტი მოვიგერიე.

- კომუნისტური პარტიის წევრობის უფლება არ მაქვს, - ვთქვი სხვათაშორის.

- ეგ პრობლემა არ იქნება, - მანაც დაუდევრად წარმოთქვა.

პრობლემა არ იქნება? აი, როგორ დამაწინაურეს მენეჯმენტის ხელმძღვანელის რანგში. ისე იმოქმედა ამ სასწაულმა, რომ ტირილი დავიწყე.

როგორც მითხრეს, ყველა დაეთანხმა ჩემი პარტიაში მიღების საკითხს. როცა პარტიაში შედიხარ, გარანტია გჭირდება. თუ ნაწილის უფროსს და ოფიცრებს სურთ შენთვის შუამდგომლობა, ეს უდიდესი პატივია. იმ დროს, პოლკის კომისარი დამიდგა გარანტიად. როცა სხვებს პარტიაში გაწევრიანება სურდათ, მოწინააღმდეგეები ჰყავდათ, მე კი - არა. არც ერთ ადამიანს არ უთქვამს უარი ჩემ მიღებაზე.

როგორც მენეჯმენტის ხელმძღვანელს, ჩემს დაქვემდებარებაში 120 ჯარისკაცი მყავდა. დამატებით კიდევ ექვსი თვე გავატარე სამხედრო სამსახურში, აკორდეონზე დამკვრელის შემცვლელის გასაწვრთნელად და შემდეგ მივიღე ოფიციალური სამხედრო მოწვევა უნივერსიტეტში.

თითქმის მივიღე. ვონსანის ეკონომიკის უნივერსიტეტი საუკეთესოდ ითვლებოდა, სადაც ელიტა სწავლობდა და სამხედრო სამსახური აპირებდა ჩემს იქ გაგზავნას, მაგრამ ვიღაცამ კიდევ ერთხელ აღმოაჩინა ჩემი ოჯახის წარსული და მის ნაცვლად საინჟინრო კოლეჯში გამაგზავნეს. ჩრდილო კორეაში რაღაც ამბები სამუდამოდ დაგყვებიან.

და მაინც, რა იქნებოდა იმაზე უკეთესი, ვიდრე სამხედრო სამსახურის ღირსეულად მოხდა, კომუნისტური პარტიის წევრობა და ჩემს საყვარელ მშობლებთან ერთად სახლში ცხოვრება კოლეჯში სწავლის პარალელურად? თუმცა წინ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა.

როცა კოლეჯში სწავლა დავიწყე, უკვე ოცდაათი წლის ვიყავი. ამიტომ ძალიან ახალგაზრდა გოგონებთან სწავლა მიწევდა - უკეთეს შემთხვევაში, თვრამეტი-ცხრამეტი-

წლისებთან -რადგანაც გოგონა სამხედროში იშვიათად მიდიოდა. ამიტომ ჩემი ჯგუფელი გოგონების მიმართ ინტერესს არ ვიჩენდი. პროფესორების უმეტესობაც გოგონები იყვნენ - ოცდახუთი წლისანი - და ძალიან იყვნენ დაინტერესებული იმ კაცით, რომელმაც სამხედრო სამსახური გაიარა. კოლეჯს მასწავლებელთა წვრთნისთვისაც იყენებდნენ. სწორედ იქ შევხვდი ქ-ნ ბეის.

ის კოლეჯში მასწავლებელთა ტრენინგების დროს დადიოდა. რა თქმა უნდა, ქალი პირველი არასოდეს გამოესაუბრებოდა მამაკაცს. სამჯერ შევხვდით ერთმანეთს დერეფანში და უბრალოდ შევხედეთ ერთმანეთს თვალებში. ის თავის საქმეს აკეთებდა კოლეჯში, ხოლო მე - ჩემსას.

მას შემდეგ, ყოველი შეხვედრისას რაღაცას ვეკითხებოდი: სად ცხოვრობ? რამდენი წლის ხარ? ურთიერთობის გაბმა მინდოდა და ამისათვის საბაბს ვეძებდი. საბედნიეროდ, გამოსაშვები გამოცდების მოთხოვნებმა მომცა ეს საბაბი. სწავლის დასრულებისათვის აუცილებელი იყო უამრავი კვლევის ჩატარება. კიმ ირ სენის ომის სტრატეგიის შესახებ უნდა დაგეწერა ნაშრომი, ანალოგიური უნდა გაგეკეთებინა მისი ოთხმოცი გამონათქვამის შესახებ - რას ნიშნავდა ისინი, რას ნიშნავდა ეს გამონათქვამები შენთვის და როგორ უნდა მიგეძღვნა შენი ცხოვრება მათი დაცვისთვის. კარგ ხელწერასთან ერთად სწორი პასუხებიც აუცილებლობას წარმოადგენდა. ამის შემდეგ კიდევ მოგეთხოვებოდა კიმ ჩენ ირის ასი გამონათქვამის შესახებ ნაწერების ჩაბარება. ამ ყველაფერთან ერთად, უნდა ჩაგებარებინა ტესტი - სრული გამოცდა, ყველაფერი კიმის შესახებ. და კიდევ, საჭირო იყო თხზულების დაწერა.

ასე რომ, ურიერთობის გაღრმავების მიზეზიც მზად მქონდა. არ ვიცოდი, კარგად წერდა თუ არა, მაგრამ ვიცოდი, რომ დახმარება მჭირდებოდა. დახმარება ვთხოვე და ისიც დამთანხმდა. როცა ჩრდილოკორეელი გასათხოვარი გოგონა ჩრდილოკორეელ საქორწილო ბიჭს ხვდება, ყოველთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს არის თუ არა ბიჭი კომუნისტური პარტიის

წევრი და გაიარა თუ არა სამხედრო სამსახური. თუ კაცს სამხედრო სამსახური არ გაუვლია, მოიაზრება, რომ მას რაღაც ავადმყოფობა აწუხებს. კაცი, რომელმაც სამხედრო სამსახური დაასრულა და იქიდან კომუნისტური პარტიის წევრად წამოვიდა, კარგი ოჯახის შვილი იქნებოდა. მისი მხრიდან ქურდობისა და ქალების პრობლემაც გამორიცხული იყო. ახლა, თუ ამ პიროვნებამ სამხედრო სამსახური დაამთავრა, პარტიის წევრი გახდა და კოლეჯშიც სწავლობს? კოლეჯში კაცებს თითზე ჩამოსათვლელად გზავნიდნენ. მათი უმეტესობა კომუნისტური პარტიის წევრობის მიუხედავად, მაღაროებში ან ქარხნებში სამუშაოდ ხვდებოდა. ასეთი კოლეჯის სტუდენტი ნამდვილად პოპულარობით უნდა სარგებლობდეს - წესიერი ადამიანია, რომელსაც შეიძლება დასთანხმდე, თუ სადიპლომო ნაშრომის წერაში დახმარებას გთხოვს.

ის არ იყო პირველი გოგონა, რომელსაც შევხვდი. სინამდვილეში, ორმოცდაჩვიდმეტ გოგონაზე ვთქვი უარი, რომლებთან დაქორწინებასაც მირჩევდნენ სამი წლის განმავლობაში. მამაკაცების უმეტესობა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნიდან ერთ წელიწადში ქორწინდებოდნენ, მაგრამ მე - არა. ამდენი ხანი ვცდილობდი ჩემი ოჯახის ხვედრის შეცვლას და არ მინდოდა არასწორ ქორწინებაში შესვლა. ამ ქალში იყო რაღაც განსხვავებული.

ის დამთანხმდა სადიპლომო ნაშრომში დახმარებას და დავალების შესასრულებლად ერთი თვე მივეცი. თუმცა ორ კვირაში წერილი მივიღე, რომლითაც მატყობინებდა, რომ დავალება დაესრულებინა. შევთანხმდით, რომ ნაწერების წამოსაღებად მასთან სახლში მივიდოდი. მშობლებთან ერთად ვისადილეთ და შემდეგ ნაწერები შევამოწმე. სრულიად გაოცებული დავრჩი. ის შესანიშნავად წერდა და ყველაფერი უშეცდომოდ იყო.

ჩემი მთავრი სპეციალობა ინჟინერია გახლდათ. მის დასამთავრებლად საინჟინრო ნამუშევრებიც იყო საჭირო. შემეძლო ციფრების, გეგმებისა და ნახაზების შესრულება,

მაგრამ წერა ჩემს შესაძლებლობებს აღემატებოდა. რასაკვირველია, მინდოდა მასთან დაახლოება და ურთიერთობის გაღრმავება. ამ დამატებით სამუშაოზეც დახმარება ვთხოვე, რაზეც დამთანხმდა. მის მშობლებსაც მოვეწონე. მრავალი ბიჭი გაუცვნიათ მისთვისაც, როგორც მან მითხრა, მაგრამ ჩემსავით კარგი არავინ ყოფილა.

იმისათვის, რომ ეს ბოლო დავალება შემესრულებინა, მის ოროთახიან ბინაში მისვლა მომიხდა. მისი მშობლები ერთ ოთახში იყვნენ, ჩვენ კი მეორე ოთახში ვმუშაობდით. მხოლოდ საღამოობით გვქონდა დრო, სამუშაოსა და სკოლის შემდეგ. სამი დღე ღამის 1:00 ან 2:00 საათამდე ვიმუშავეთ, რამაც საუბრის შესაძლებლობა მოგვცა. მითხრა, თუ რამდენ ბიჭს უცდია მისი ხელის ხელში დაჭერა, რომლებიც მისით იყვნენ დაინტერესებულნი და შენიშნა, რომ მე ამას არ ვცდილობდი. მხოლოდ დავალების შესრულებაზე ვიყავი ორიენტირებული. მითხრა, რომ ამან ჩემს კარგ თვისებებში დაარწმუნა.

მესამე დღეს, დავალების დასრულების შემდეგ, შეხვედრის არანარი მიზეზი აღარ მრჩებოდა. ამრიგად, პირდაპირ ვკითხე, ვინმესთან ქორწინებაზე ხომ არ უფიქრია. პირველად დავიწყე ამ საკითხზე ღიად საუბარი. მან თქვა, რომ არავინ ჰყავდა მხედველობაში. ვკითხე, მის მშობლებს თუ გაუცვნიათ მისთვის ვინმე, მითხრა, რომ არავინ, ვინც მას დაინტერესებდა. მანაც იგივე მკითხა. მეც ვუთხარი, რომ არა.

მაშინვე შევთავაზე:

– მინდა შენთან ქორწინებაზე ვიფიქრო.

– არ ვარ ამის წინააღდეგი, – მიპასუხა მან.

მშობლებს ვესაუბრეთ და საქმეც მოგვარდა. მას თებერვალში შევხვდი – გამოსაშვები გამოცდების პერიოდში – და მაისში ვიქორწინეთ, სამი თვის შემდეგ.

იმ დროს, ყველა კოლეჯის თუ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ქვეყნის ყველაზე მნიშნელოვან მიმდინარე პროექტებზე – ატომურ ელექტროსადგურზე, სასუქის წარმოებაში, ან სხვადასხვა ქარხნებში გზავნიდნენ. გაზეთები და

სატელევიზიო გადაცემები ყოველი პროექტის წარმატებას დიდი ზეიმით აშუქებდა, მაგრამ იქ მომუშავე ადამიანებმა უკეთესად იცოდნენ ყველაფერი. ერთი ქარხნის პროექტზე რვა წელი ვიყავი მიმაგრებული. პრობლემები, რომლებიც იქ დავინახე, კარგად ასახავდა ჩვენი მთლიანი ერის გასაჭირს. დიდი ლიდერი გარდაიცვალა. საბჭოთა კავშირი დაიშალა. ისე ჩანდა, თითქოს ქვეყნის ნებამ - რომ აღარაფერი ვთქვათ ელექტროენერგიაზე, საკვებსა და მისი მხრიდან თანადგომის ნატამალზე - სრულიად დატოვა მისი საზღვრები.

როცა ქარხნის პროექტი გავასრულე, ჩემს მშობლიურ ქალაქში ვიშოვე სამსახური 1990-იანების შუა წლებში. იმ დროს, ყველაფრის მოწოდება შეწყდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მუშაობაში ხელფასს არ გიხდიდნენ. შიმშილის შავი აჩრდილი აწვა თითქმის ყველა ქალაქს, სოფელსა და ოჯახს. ხშირად ჩამივლია იმ ბინასთან, სადაც სოფელში გადასახლებამდე ვცხოვრობდით. ახლა, შიმშილი უკან გამოგვყვა, ამ ადგილზეც კი. ერთ დღეს, მეზობლის ბავშვი გარდაიცვალა. მეორე საღამოს, მეზობელი იდგა ჩვენი სახლის უკანა ეზოში -მოხუცი ქალი უსიცოცხლოდ დაეცა და საკუთარ სახლში შიმშილით მოკვდა. ძალიან სერიოზული და სამწუხარო ამბავია მკვდარი ადამიანის დანახვა. ასეთ რამეს აქამდე არასოდეს შევსწრებივარ ცხოვრებაში, სამხედროშიც კი. მკვდრები ყველგან იყვნენ - აბსოლუტურად ყველგან. მკვდარი ადამიანების სხეულები ქუჩაში ეყარა. მკვდრები იყვნენ ჩვენს გარშემო სახლებსა და ბინებში. მკვდარი სხეულები გორებად ეყარა მატარებლის სადგურზე. ერთხელ მატარებლის სადგურზე წავედი მგზავრობის მიზნით. მატარებელს, დაახლოებით, ერთი საათი უნდა დავლოდებოდი. ოთხმოცამდე ობოლი ბავშვი ერთმანეთს გასათბობად ეხუტებოდა. შვიდი მათგანი მკვდარი იყო. ასეთ ბავშვებს „კოტჯები“-ს უსარგებლო მერცხლებს ვუწოდებთ. მკვდარი ჩიტები. ბავშვები, რომელთა მშობლებიც დაიხოცნენ და წასასვლელი არსად ჰქონდათ, რადგან არავინ არაფერს მისცემდათ. არავინ არაფერს მისცემდათ. არავის არაფერი

ჰქონდა მისაცემი. გამახსენდა ბავშობისდროინდელი შიმშილობა და ვუყურებდი როგორ დასდევდა სადგურის მორიგე ცოცხალ ბავშვებს სადგურიდან გასაძევებლად, რათა მკვდარი ბავშვები გადაეყარა. უსარგებლო მერცხლები.

იმ დროს გადაწყვეტილება მივიღე: სამსახური წარმოებისა და სამშენებლო სამუშაოების მიღმა უნდა მეძებნა. იქ აუცილებლად მოკვდებოდი. ასეთი საქმის შემსრულებლებისათვის არ იყო გადასახდელი თანხა, ხოლო უფულობა უსაკვებობას დასაბოლოოდ, შიმშილობას გულისხმობდა. საბედნიეროდ, ჩემი განათლება და პარტიის წევრობა არჩევანის საშუალებას მაძლევდა.

1980 წლიდან ქვეყანაში დაიწყო უცხო ქვეყნებში ფულის შოვნისა და ქვეყანაში მისი შემოტანის კამპანია. რა თქმა უნდა, ხალხი ამას ყოველთვის აკეთებდა არალეგალურად შავ ბაზარზე, მაგრამ მაღალი თანამდებობის პირებს მთავრობა ავალებდა უცხოური ფულის კანონიერი გზებით შოვნას. შიმშილობის დროს ეს იყო ფულის ქონის ერთადერთი საშუალება. აი, ასე მოვხვდი საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში.

რასაკვირველია, „საერთაშორისო ვაჭრობა“ ჩრდილო კორეაში გულისხმობს ჩინეთში საქმიანობას - სხვადასხვა ჩრდილოკორეული ბოსტნეულისა და მინერალური მადნის გაყიდვას. ჩრდილოეთ კორეა მთიანი მიწაა, თითქმის შეუძლებელია მთის წვერის დამუშავება - რაც ბავშობის მტკივნეულმა გამოცდილებამ მასწავლა - მაგრამ უხვია მიწისქვეშა წიაღისეულით. ამ საბადოების გასათხრელად ჯარისკაცებს გზავნიან სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ. და დაუმუშავებელი მადნის სახით ჩინეთში ყიდიან ჩემნაირი ჯარისკაცების მეშვეობით, ვისაც ბედმა გაუღიმა და კოლეჯში მოხვდა. მიწიდან ამოღებისთანავე ყიდიან ჩინეთსა და რუსეთზე და მათ მსგავს ქვეყნებზე, რადგან არ არის საკმარისი ელექტროენერგია და მადნის მაღალ დონეზე დამუშავების მცოდნე მუშახელი, რაც სამწუხარო ამბავია.

მოულოდნელად, ჩვენს ოჯახს სხვა სახის არასასიამოვნო ამბავი დაატყდა თავს, რომელიც იმ დროისთვის გაიზარდა და

უკვე ორ შვილსაც ითვლიდა. პარტიაში ჩემი მდგომარეობის, განათლებისა და საერთაშორისო სავაჭრო საქმიანობის გამო, შიმშილისგან თავის დაღწევა შევძელით. ჩემს ცხოვრებაში მომხდარი მრავალი ცვლილების მიუხედავად, მემკვიდრეობით ერთი რამ მივიღე ბებია-ბაბუისა და მშობლებისაგან, რომლის შეცვლა და დავიწყება არაფრით არ შემეძლო: ჩვენი ოჯახის კუთვნილი, განსაკუთრებული ნედლი მადანი, რომლის დამუშავების უნარიც მაშინ არ გამაჩნდა.

ძალიან ცოტა რამ მახსოვდა ბებია-ბაბუის იდუმალ რწმენაზე და კიდევ უფრო ნაკლები ვიცოდი იმ იდუმალი ღმერთის შესახებ, რომელმაც სახელით მოუწოდა ბაბუას მისი ხალხის განსაცდელის ჟამს. როცა საუკეთესო მეგობარს პრობლემები ჰქონდა ქორწინებაში, მე და ჩემს მეუღლეს გვკითხა, თუ როგორ ვახერხებდით ბედნიერი ცხოვრების შენარჩუნებას. სიმართლე ვერ დავმალე.

– არსებობს ათი მცნება, – ვუთხარი მას, – და ზეცა ყოველთვის გვიცქერს. როცა ათ მცნებას არღვევ, ზეცას პატიებას სთხოვ და როცა საკვებს იღებ, მადლს სწირავ.

როგორც ჩანს, ეს რჩევები საკმარისი არ გამოდგა მისი ქორწინების შესანარჩუნებლად. ზოგადად, ჩრდილო კორეაში განქორწინება ლეგალური არ არის და ეს პროცესი ძალიან რთულია. მტკიცებულების წარდგენა გჭირდება, რომ ის პიროვნება, რომელთან განქორწინებასაც აპირებ ძალიან ცუდი ადამიანია. თუ ეს ცუდი პიროვნება ის ადამიანია, ვინც კომუნისტურ პარტიას ეწინააღმდეგება, მაშინ იცით საზოგადოების პრიორიტეტები.

სწორედ ასე მოვხვდი ციხეში, ღმერთის სახელის ტარების გამო. უცნაური ის იყო, რომ ეს ყველაფერი იმ ადგილთან ახლოს მოხდა, სადაც სახელმწიფო უშიშროების სამსახური მრავალი წლის წინ უხეშად გამოჩნდა. ბევრ დამთხვევას ჰქონდა ადგილი. დაკითხვის მთელი პროცესი დიდად არ განსხვავდებოდა ადრინდელისაგან, როგორც ბავშობიდან მახსოვს. ამჯერად

განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველდღიური დაკითხვის შემდეგ სახლში არ გამიშვებდნენ.

დაკითხვაზე ჩემი ყველა ახლობელი დაიბარეს. ზოგიერთებმა ტყუილი თქვეს ჩემზე, სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის აგენტებს იმას ეუბნებოდნენ, რისი მოსმენაც მათ სურდათ ან სჭირდებოდათ. ვის შეეძლო მათი დადანაშაულება? ვის უნდოდა სახელმწიფოსთან პრობლემების შექმნა?

ჩემი დანაშაული იმაზე მძიმე იყო, ვიდრე არალეგალური საათებისა და ოპიუმის გაყიდვა. მეგობარი ჩემი რელიგიური „ცრუ“ წარმოდგენებით მოვწამლე, რაც პოლიტიკურ დანაშაულზე მძიმე გახლდათ. როგორც საერთაშორისო ვაჭრობის წარმომადგენელი, განსაკუთრებულად ვიყავი ეჭვმიტანილი – არა მხოლოდ ვაჭრობით მიღებული ფულის მითვისებაში რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა, არამედ კრიტიკის გამოც, რითაც ქვეყანას ძირს ვუთხრიდი.

ევანგელიზაცია. მითვისება. ღალატი. ამ სამ ბრალდებას ერთი ბოლო ჰქონდა: სიკვდილით დასჯა. აქედან გამომდინარე, როგორც გარშემომყოფებისა და ჩრდილო კორეიდან გაქცეულებისგან შევიტყვე იმ დროს, რომლებთანაც დაპატიმრების შემდეგ საუბარი მომიხდა, ჩრდილო კორეის სასამართლოს ისტორიაში რაღაც ჯერარნახული ხდებოდა: ერთ წელზე მეტი დავყავი ოფიციალური ბრალდების გარეშე ყველაზე მკაცრი რეჟიმის ციხეში, ვიდრე მთავრობა გამოძიებას აწარმოებდა.

ციხეში მწერივით მექცეოდნენ. ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა მთელი ცამეტი თვის განმავლობაში. დილის 5 საათზე ადგომა, იატაკის დაგვა, ტუალეტების წმენდა, სანაგვე ურნების შიგთავსის გადაყრა. შემდეგ, ფეხებგადაჯვარედინებული უნდა ვმჯდარიყავი მომდევნო ჩვიდმეტი საათის განმავლობაში. უფლება არ მქონდა კისერი მიმებრუნებინა ან წელში მოვხრილიყავი. ყოველ ორ საათში ტუალეტში გვიშვებდნენ. სხვა დროს გადაადგილება მხოლოდ სადილის დროს შეგვეძლო, რაც ზუსტად ერთი წუთი გრძელდებოდა. საღამოს 10:00 საათზე შეგვეძლო დასაძინებლად წასვლა, მაგრამ თავები ციხის

გისოსების საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა გვქონოდა. „საწოლი“ ხის იატაკზე წოლას ნიშნავდა.

როცა ზიხარ, მოძრაობა არ შეგიძლია, თუნდაც კოღოებმა დაგკბინონ. თავიც რომ აგერიდებინა, სასჯელს მაინც მიიღებდი - ციხის დაცვის მიერ ნაოცნებარ მწამებლურ დამცირებას. ერთ-ერთი დასჯისას, მუხლებზე უნდა მდგარიყავი და წყლით სავსე ჯამი ნახევარი საათით თავზე უნდა დაგედო. ერთი წვეთიც რომ დაგეღვარა, გონების დაკარგვამდე გცემდნენ ჯოხით. სხვა სასჯელის შემთხვევაში, ხელები ციხის გისოსებში უნდა გაგეტარებინა, რომ მეორე მხარეს მდგარ ციხის დაცვას შესძლებოდა ბასრი რკინის ჯოხის მეშვეობით შენი ხელის მტევნების ხორცის სისხლიან ნაფლეთებად ქცევა. შეიძლება ებრძანებინათ, რომ ნახევარი საათი ყოფილიყავით ჩამოკიდებული ციხის გისოსებზე ან მწერივით გეცოცათ ხის იატაკზე.

უმეტესად კი, უბრალოდ, გაუნძრევლად ვიჯექი დღეში ჩვიდმეტი საათის განმავლობაში და ასე გავატარე ჩემი ცხოვრების ერთ წელზე მეტი. იმ დროს ძალიან ბევრს ვფიქრობდი ჩემს ცხოვრებასა და იმაზე, რაც იმ დრომდე გამოვიარე. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ დავმარხე ღვთის სიყვარული გულს მიღმა სამხედროში ყოფნისას და მის ნაცვლად ხელმძღვანელობის სიყვარული მივიღე. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ ვცდილობდი კომუნისტურ პარტიაში შესვლას ცხოვრებაში ყველაფერზე მეტად და როგორ დავბრუნდი სახლში სიამაყით აღვსილი ამ მიღწევის შემდეგ, ვფიქრობდი კოლეჯში შესვლასა და მის დასრულებაზე, ისეთი სამსახურის შოვნაზე, შიმშილობის დროსაც რომ გადამიხდიდნენ ხელფასს, ვფიქრობდი, თუ როგორ დავიცავი ჩემი ოჯახი მატერიალურად ჩემი ინტელექტითა და დაუღალავი შრომით მაშინ, როცა მრავალი ადამიანი შიმშილით კვდებოდა. ვფიქრობდი ჩემს მშობლებთან საუბრებზე სამხედროდან დაბრუნების მომდევნო წლებში, და იმაზე, თუ როგორ ვუყრუებდი ყურს მათ ნათქვამს. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ დავივიწყე ღმერთი და არ ვიყავი

მასზე დაიმედებული. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ მივენდე ჩემს შესანიშნავ ინტელექტსა და შესაძლებლობებს.

როგორც კი წარსულის ყველა მოვლენას თვალი გადავავლე, ბაბუას სახლში გატარებული კვირა დღეებიც გამახსენდა და კითხვა-პასუხის შეხვედრებიც ნაძვის ხის ჩრდილქვეშ, ზღვის სანაპიროზე. ჰანანიმ!...

ასე მოვინანიე ჩემი რწმენის ნაკლოვანებები, რომ სრულად არ მივიღე და სრულად არ გადავეცი ყველაფერი მას, ვინც ბებია-ბაბუამ და მშობლებმა იმაზე დიდ საგანძურად მიიჩნიეს, ვიდრე პარტიის წევრობა, სიმღერის კონკურსები, ტანვარჯიშის მედლები ან სიცოცხლე იყო.

ასე ვიჯექი საათები, დღეები, თვეები და როცა იქ გატარებული ერთი წელი მომდევნომ შეცვალა, მოვინანიე. ყველაფრის მიუხედავად, ჩემში მადლიერების განცდა წარმოიშვა. ვმადლობდი ღმერთს ციხეში გატარებული დროისათვის - ჩემი საკუთარი სიამაყის დატყვევებისა და ვითარების სხვაგვარად დანახვების, სიტყვებისთვის მეტისმეტად ნაზი დუდუნის და ძალისხმევის გამო, რომ მისი მადლით ყველა საგალობელი გამეხსენებინა, რაც კი ოდესმე ბაბუას უსწავლებია. აი, ასე მივედი რწმენით მხოლოდ სულიწმინდაზე დაიმედებამდე.

„ყოველი ვინც ითხოვს, ღებულობს; ვინც ეძებს, იპოვის; ვინც აკაკუნებს, გაეღება“ - მახსენდებოდა სახარების ეს ადგილი. დედაჩემი მრავალი ღამის განმავლობაში ჩამჩურჩულებდა ხოლმე ქარიან, ცივ, უსწორმასწორო მთის სოფელში, სადაც გადასახლებულნი ვიყავით, როცა შიმშილი ყრუ ტკივილით გვეჭიდებოდა და იმედი ისე იყო გამოფიტული, როგორც ჩვენს მიერ დასამუშავებელი მინდორი.

ჰანანიმ!... ათასჯერ მაინც გავიმეორე მისი სახელი გონებაში და კიდევ ათასობით ათასჯერ.

ღმერთს არ მივუტოვებივარ. სინამდვილეში, ყველას გასაოცრად, მან დამიხსნა. როგორც წესი, ხელმძღვანელობას ერთ თვეში გამოჰქონდა განაჩენი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი დანაშაული განსაკუთრებით მძიმე იყო, წინასწარი პატიმრობის

ვადა შესაძლოა, ერთიდან სამ თვემდე გაეზარდათ, ვიდრე საკონცენტრაციო ბანაკში გაგაგზავნიდნენ ან სახალხოდ დაგსჯიდნენ ქვებით გამოტენილი პირით. როგორც კი გამოძიება დასრულდებოდა, თუ სახლში წასასვლელად გამოგიძახებდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ სიკვდილით უნდა დასჯილიყავი. ამას ნიშნავდა „სახლში წასვლა“. თითქმის ვერავინ დატოვა ციხე ცოცხალმა; ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი გასამართლდა და სასჯელიც იწვნია.

ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ, ციხიდან გამათავისუფლეს როგორც უდანაშაულო. საერთოდ არაფერი არ მომისაჯეს. ჩემი წარსული მონაცემები შეამოწმეს, საგულდაგულოდ შეისწავლეს, ჩემთან დაკავშირებული ადამიანები დაკითხეს. საბოლოოდ, ჩემს საწინააღმდეგოდ შეთხზულმა ვერც ერთმა იარაღმა წარმატება ვერ ჰპოვა. ჩემი მსგავსი საქმე განყოფილებაში არასოდეს ჰქონიათ. იქაური თანამშრომლები გაკვირვებული იყვნენ. ღვთის მოქმედების რეალური შეხება განვიცადე, რაც ადამიანურ ძალას არც შესწევს და ვერც ჩაწვდება.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, საერთაშორისო სავაჭრო სამსახურში დაბრუნების შესაძლებლობაც კი მომცეს. ძალიან ბევრი შეკითხვა დამიგროვდა ჩვენს რწმენასთან დაკავშირებით დედაჩემთან, რომელიც ძალიან ხშირად მაგონდებოდა ციხეში მოგონებებისა და მონანიების დროს. დედას ბევრი კითხვა დავუსვი ბიბლიაზე, როგორ უნდა გველოცა სადილის დროს, როგორც ამას ბაბუა აკეთებდა, როგორ უნდა შევკრებილიყავით კვირაობით და წმინდად დაგვეცვა ის დღე. დედას ახალმოქცეულის ბროშურა ჰქონდა ჩემთვის. მან თავისი სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენა მისი ჩინეთიდან შემოტანით, სადაც ეკლესიას ესტუმრა. ამის შემდეგ რწმენით ცხოვრება დავიწყე.

ჩემთვის რომ გეკითხათ, როგორ შეიძლება იყო ქრისტიანი და ჯერ კიდევ ქედს იხრიდე კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირის ძეგლების წინაშეო, ჩემი პასუხი ახლა ასეთი იქნებოდა: ვერ შეძლებ ამას, მას შემდეგ რაც რწმენის ცხოვრება შინაგანად გაიღვიძებს. ათი მცნება განზრახ ბეჯითად შევისწავლე, ცალ-ცალკე. ვიგრძენი

როგორ ამაოდ გავატარე ცხოვრება აქამდე კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირისადმი კერპთაყვანისმცემლობაში. ჯარისკაცობისას ქედს ვუხრიდი მათ ძეგლებს, ცხოვრების მიძღვნის პირობას ვდებდი მათი პორტრეტების წინაშე და ცრემლად ვიღვრებოდი. თქვენ ეს არ შეგიძლიათ.

ჩემმა ოჯახმა არ იცოდა ბიბლიის ყველა წერილი, მაგრამ საკმარისი ვიცოდით იმისთვის, რომ კერპთაყვანისმცემლურ ღონისძიებებს აღარ დავსწრებოდით, სადაც კიმ ირ სენის დაბადების დღეზე ხალხი მის ძეგლთან მიდის, ქედს იხრის და ეთაყვანება. არც არჩევნებში აღარ ვიღებდით მონაწილეობას, არამედ ათმცნებას ვიცავდით, საკვებს ვუზიარებდით მეზობლებს, რომელთაც მძიმე ჟამი ედგათ და ქუჩაში შიმშილით კვდებოდნენ. ჩვენს მშობლებს პატივს ვცემდით. არ ვიტყუებოდით და ღვთის წმინდა დღეს ვიცავდით.

დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ყველაფრის თქმა უფრო ადვილია ჩრდილო კორეაში, ვიდრე გაკეთება. ვფიქრობ, რომ ეს ყველა ქრისტიანისათვის ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს ყველა ქვეყანაში, რწმენით ცხოვრების ყველა შემთხვევაში. ასე არ არის? არ იქურდო! არ ინდომო! არ მოიტყუო! პატივი ეცი დედას და მამას შენსას! თუ ამ ყველაფერს გულის სიღრმიდან გავაკეთებთ, არის სადმე ქალაქი ამ დედამიწაზე - ან ბინა, ან კლდიანი სოფლის ფერმა - სადაც ნამდვილად სახლში ვიგრძნობთ თავს?

ჩრდილო კორეაში თავისებურ არჩევანს გვთავაზობდნენ: ნებისმიერ წუთს შეგეძლოთ კერპთაყვანისცემა ან სახელმწიფო დანაშაული უნდა ჩაგედინათ და უარი გეთქვა ანალოგიური კერპთაყვანისმცემლობისათვის. კიმ ირ სენის სამკერდე ნიშანს დაიმაგრებდით, რომლის ტარებაც ყველა მოქალაქეს ევალებოდა თუ საკონცენტრაციო ბანაკის უნიფორმას ჩაიცვამდით? თქვენს შვილებს სკოლაში გააგზავნიდით და კიმ ირ სენის თაყვანისცემას ასწავლიდით თუ საკონცენტრაციო ბანაკში მარშით გააცილებდით? შვილს სამხედროში გაუშვებდით, რომ მთელი თავისი სხეულით დიდი ლიდერისთვის ემსახურა თუ პირს

ქვებით ამოუვსებდით ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბრიგადის ჯარისკაცების წინაშე? დედაჩემიც ანალოგიური არჩევანის წინაშე იდგა, მოეპარა თუ თავი მოეკლა. უკვე გამოვიარე ციხე მცირე რწმენის გამო, თუმცა გამათავისუფლეს.

რა უნდა გამეკეთებინა ახლა, როცა ჩემი რწმენა აყვავების ხანაში იყო?

ხანდახან საკუთარი სოფელი და ხალხი მათ გადასარჩენად უნდა დატოვო. ბაბუაჩემის ღმერთმა უთხრა მას ერთხელ, დიდი ხნის წინ. და ვერავინ გაიგებს რატომ მიატოვე ყველაფერი, რაც ოდესმე მიგიღია, იცოდი და გიყვარდა, როცა იდუმალი ღმერთის ხმას მიყვები და ნელი, მაგრამ მტკიცე სვლით დატოვებ ქალაქს.

3. დედა

სიცოცხლის პურის მომწოდებელი

ბატონი ბეის მონათხრობი

დედას გული გადაუქანდა, როცა ერთ დღეს კოლეგა მასწავლებელმა შეატყობინა, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ვიღაც კაცმა მის სანახავად შემოიარა.

საბედნიეროდ, ეს სოციალური ტიპის შეხვედრა აღმოჩნდა და არ მოყოლია დაცვის სამსახურის გამოჩენა, მყეფარე ძაღლები და ჩამტვრეული კარები. სწორედ ასე შეხვდა დედაჩემი მამაჩემს.

ჩემი ორივე მშობელი ჩინეთში დაიბადა მიძღვნილი ქრისტიანების ოჯახებში. დედ-მამის მშობლები სხვადასხვა ეკლესიებში დადიოდნენ, მაგრამ ორივე მხარემ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, რომ მათი შვილები ნაცნობი ქრისტიანი ოჯახების წარმომადგენლებზე დაექორწინებინათ. დედაჩემის დედა ეკლესიის ერთ-ერთ წევრს ემეგობრებოდა, რომლის ვაჟი - ჩემი მომავალი მამა - ასწავლიდა სკოლაში, სადაც მისი ქალიშვილი - ჩემი მომავალი დედა - მუშაობდა. ამ დამთხვევის მიუხედავად, ჩემი მშობლები ერთმანეთს არ იცნობდნენ, სანამ მათმა ოჯახებმა შესაძლო ქორწინებაზე ლაპარაკი არ წამოიწყეს. მამაჩემს დედაჩემი გარეგნულად არ ენახა და არც ის იცოდა, რა საგანს ასწავლიდა. მისი სურათისთვისაც არ მოუკრავს თვალი. საბედნიეროდ, ის მომხიბვლელი ქალი გახლდათ.

როცა დედა პირველ პაემანზე წავიდა, თან ორი მეგობარი გაიყოლა. მამაჩემი საკმაოდ მაღალი კაცი იყო, 180 სანტიმეტრზე ოდნავ მეტი, ხოლო დედა 150 სანტიმეტრი ძლივს იქნებოდა.

თავდაპირველად, მას მამის მეტისმეტად სიმაღლე არ მოეწონა, თუმცა მისმა ინტელექტმა და მამაკაცურობამ მიიზიდა. ამრიგად, მშობლებს თავიანთი შთაბეჭდილებები გააცნეს და საბოლოოდ, დაოჯახდნენ.

კულტურულმა რევოლუციამ ჩემი მშობლები და ოჯახის სხვა წევრების უმეტესობა ჩინეთიდან ჩრდილოეთ კორეაში გადაისროლა. დედ-მამა იძულებული გახდა, რომ საკლასო ოთახიდან ჩრდილოეთ კორეის საკონდიტრო ფაბრიკაში გადაენაცვლათ. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ ემიგრანტები იყვნენ, რომელთაც სწავლების მნიშვნელოვან საქმეს ვერ მიანდობდი. ამრიგად, მშობლები მსუბუქ ხემსსა და ტკბილეულს ამზადებდნენ. იმის გამო, რომ დედა ძალიან ლამაზი ქალი იყო, კაცების ყურადღებას მუდამ იპყრობდა, მაგრამ მას ერთხელაც არ შეუხედავს რომელიმე მათგანისთვის - ის ხომ მამას ეკუთვნოდა.

ჩემმა მშობლებმა ღვთის რწმენით ცხოვრება მხოლოდ მაშინ დაიწყეს, როცა მშობლების სახლში გადავიდნენ მათი ხანდაზმულობის გამო. აქ ჭამის წინ ლოცულობდნენ და შაბათს იცავდნენ.

დედას თითქმის ყველგან ვახლდი, სადაც მიდიოდა. ერთხელაც, მან ბაბუას ჰკითხა, შეძლებდა თუ არა სეირნობისას ჩვენთან ერთად წამოსვლას. დედას სახლში თავისუფლად ლაპარაკი არ შეეძლო, რადგან მოსასმენი მოწყობილობის ეშინოდა. იმ დროს, 1970 წელს, მთავრობა ქრისტიანების განადგურების კამპანიას ეწეოდა, ამიტომ მორწმუნეები განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ მოსმენასთან დაკავშირებით.

დედამ ბაბუას ჰკითხა:

- მამა, მართლა გაიგონე ღვთის ხმა?

როცა მან დადებითად უპასუხა, დედა ჩააცივდა, რომ ყველაფერი დეტალურად მოეყოლა. ბაბუამ უამბო, რაოდენ მკაფიოდ ესმოდა უზენაესის ხმა მარხვის, ლოცვის ან ძილის დროს. დედამ ინატრა, რომ მასაც ისე კარგად შეძლებოდა უფლის მოსმენა, როგორც ბაბუას შეეძლო. მას აწუხებდა, რომ უფლის ხმა არ ესმოდა და აინტერესებდა, რამდენად აღემატებოდა ბაბუას რწმენა მისას.

იმ დროისთვის დედა ოცდაათს გადაშორებული იყო და რწმენის საკითხები მისთვის მნიშვნელოვანი გახდა. ის განაგრძობდა მამის გამოკითხვას ნოეს კიდობნის, სოდომისა და გომორას და ადამიანის შექმნის თაობაზე. მაშინ ჩრდილოეთ კორეაში ბიბლია არ იშოვებოდა და მისთვის მამა იქცა ცოცხალ ბიბლიად. მან ყველაფერი კარგად დაიმახსოვრა და ბაბუის გარდაცვალების შემდეგ იმ ბიბლიურ ისტორიებს თავად მიყვებოდა. სწორედ ასე გავიგეთ ათი მცნების შესახებ და რამდენიმე საგალობელიც ვისწავლეთ.

ბაბუას სიკვდილის შემდეგ მიწათმოქმედების ზონაში გადაგვასახლეს. იქ ჭამის წინ აღარ გვილოცია. მეტისმეტად საშიშიაო, დედამ ასე გვითხრა. თუმცა ბავშვებს ერთად გვკრებდა, უფრო მეტად, შუაღამისას და გაკვეთილებს გვიტარებდა, როგორც თავის დროზე ბაბუა მას და მის და-ძმებს ასწავლიდა ყოველ კვირას, რომ ათი მცნების თანახმად უნდა გვეცხოვრა და კარგად დაგვემახსოვრებინა, რა მოხდა სოდომსა და გომორაში. მან მოსეს ამბავიც მოგვიყვა, თუ როგორ ჩააწვინა დედამ კალათში და ლერწმიანში დამალა მდინარე ნილოსის ნაპირას. სახალისო იყო მისგან ამ ძველი ამბების მოსმენა, მაგრამ მისი მიზანი არასდროს ყოფილა ჩვენი გართობა. დედას სურდა, ჩვენს გულში აღებეჭდა ერთი აზრი, განსკუთრებით, რთული დღეებისთვის მოსამზადებლად: ღმერთი ყოველთვის გვაკვირდება, სადაც არ უნდა ვიყოთ და ყველაფერს ხედავს, რასაც ვაკეთებთ. მას უნდოდა, ეს ყველაფერი დაგვემახსოვრებინა და არ შეგვეცოდა.

უნაყოფო სოფელში დიდი გასაჭირი გვადგა. მამას არაერთხელ დაუდანაშაულებია დედა ჩინელი კრიმინალის სახლში შემოშვების გამო, თუმცა დედა ასე ამბობდა:

– როგორ შეგვიძლია, უგულებელვყოთ ჩინეთიდან მოსული საწყალი ხალხი? როგორ შეგვიძლია ქრისტიანებად ვიწოდებოდეთ და ასე ვიცხოვროთ? იქნებ ეს ღვთიური გამოცდაა! ჩვენი რწმენა ყველა დროს უნდა წარმოვაჩინოთ და არასოდეს შევდრკეთ.

მამა მის ნათქვამს იღებდა, თუმცა არ მოსწონდა.

დედა კვლავ განაგრძობდა რწმენით ცხოვრებას. ის თანაგრძნობას გამოხატავდა მშიერისა და ღარიბის მიმართ და თავის მწირ ქონებას უნაწილებდა. ხალხის მიმართ ყოველთვის ყურადღებიანი და გულუხვი იყო. იმ რთულ დროს ყველას გვამხნევებდა - მამას, მე და ჩემს და-ძმებს.

მამა ადვილად ღიზიანდებოდა და კამათს იწყებდა, როცა სიძნელეს გადააწყდებოდა, მაგრამ დედა ერთი ბეწოთიც არ შეცვლილა. მას ყველა პრობლემა ღიმილით გადაჰქონდა. მართალია, ტანად დაბალი იყო, მაგრამ ამქვეყნად არაფრის ეშინოდა.

- რატომ უნდა მეშინოდეს რაიმესი? - გვეკითხებოდა ის, - ღმერთი ჩემს მხარეს არის და გზას მიკაფავს. რთულ დროშიც ის ჭრის ჩვენს პრობლემებს. მაშ რატომ უნდა გავამახვილო ყურადღება სიძნელეებზე?

როცა ჩინეთიდან ჩრდილოეთ კორეაში გადასახლდა (რაც დანაშაული იყო, კონტრაბანდა), საერთოდ არაფრის არ შეშინებია. ის ნამდვილად ენდობოდა ღმერთს, რომ დაიცავდა.

დედაჩემი ბრძენი ქალი გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ კორეაში ბიზნესის პიონერი იყო. მას ამ სფეროში არავითარი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ საჭიროება კარგი მასწავლებელი ხდება, როცა ღმერთი გწვრთნის. ნება მომეცით, აგიხსნათ!

როცა სოფლად გადაგვასახლეს, დედა შვილების აღზრდით იყო დაკავებული, ხოლო მამა ფაბრიკასა და მიწაზე მუშაობდა. იქ ყოფნისას დედამ კიდევ სამი შვილი გააჩინა და სოფლიდან წამოსვლისას უკვე ექვსნი გახლდით. იმის გამო, რომ მამა ხელით შრომობდა, საკვებით სახელმწიფო გვამარაგებდა. მიუხედავად ამისა, ემიგრანტ დამნაშავეებად გვთვლიდნენ და საჭირო ოდენობის საჭმელს არასოდეს გვაძლევდნენ. ჩვენი ულუფა დღეში 700 გრამს შეადგენდა, მაგრამ ყოველთვის 500 გრამს ვიღებდით, რაც სიცოცხლის შესანარჩუნებლად საკმარისი არ იყო. დარჩენილი ნაწილი მთავრობას მიჰქონდა, რომელიც ყველა ოჯახს სთხოვდა „ომის ფონდში“ თავისი წილი ბრინჯის „შეწირვას“.

ამის შედეგად, დედამ ისეთი რამ მოიფიქრა, რაც კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეაში არასოდეს მომხდარა, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი. ის დამოუკიდებელი ბიზნესმენი ქალი გახდა - პურის მიმწოდებელი. მან იქამდე არაფერი იცოდა პურის ცხობასა და საქმის გაძღოლაზე. თუმცა ერთ რამეში დარწმუნებული გახლდათ, რომ მისი შვილები ჯანმრთელები უნდა გაზრდილიყვნენ და ამ ღვთისნიერ საქმეში უზენაესის წინამძღოლობისა და დაცვის იმედი ჰქონდა.

რასაკვირველია, მისნაირი კერძო მეწარმეები კომუნისტურ ქვეყანაში არალეგალურად მოქმედებდნენ, მაგრამ დედამ მეტად გონივრული გზა იპოვა და ეს მთავრობასთან სრული შეთანხმებით ხდებოდა. ჩრდილოეთ კორეაში კვებისა და ჩაცმა-დახურვის მენეჯერი რამდენიმე სახელმწიფო რესტორანს უძღვება. დედამ შეთანხმებას მიაღწია, რომ მენეჯერს გაყიდვებით მიღებული თანხის სრულ ანგარიშს ჩააბარებდა და ნახევარს რესტორანს გადასცემდა, ხოლო დარჩენილ თანხას თავისთვის დაიტოვებდა. ყველა მოგებული რჩებოდა - მთავრობა, მენეჯერი და დედას შვილები, რომ შიმშილით არ დავხოცილიყავით. ფაქტობრივად, მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, საკმაოდ ჯანმრთელები გავიზარდეთ.

დედა პურსაც კარგად აცხობდა. სიმინდიან ბრინჯს 5 % ფქვილს უმატებდა და საოცრად გემრიელ პურს იღებდა. ადრე ცხობა არასოდეს უსწავლია და თავად მოიფიქრა, რა უნდა ექნა - პურები რკინის ტაფაზე გამომცხვარ ბლინებს წააგავდა. ზოგიერთი რესტორნის კლიენტები ერთ ჯერზე ათ ცალს უკვეთავდნენ!

შემოქმედებითი მეწარმეობის ამ ადრინდელმა მცდელობამ ოცი წლის შემდეგ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა. იმ დროისთვის 1990 წელი ახლოვდებოდა და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი რაციონი თანდათან შემცირდა, სანამ მთლიანად არ გაქრა, ხოლო მეწარმეთა დევნის გულმოდგინეობამ პიკს მიაღწია. ხალხს მხოლოდ იმის გაყიდვის უფლებას აძლევდნენ, რასაც თავად გააკეთებდნენ, მოიყვანდნენ

ან მოაგროვებდნენ, მაგალითად, ბუჩქოვან სამყურას, ფიჩხსა და აქანდაზებს. თუ მეწარმეს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ან პურის გაყიდვაზე წაასწრებდნენ, მყისვე იჭერდნენ სამთავრობო მარაგებიდან მოპარვის ეჭვით.

ამრიგად, დედას ისევ მოუხდა ტვინის ამოძრავება, უფრო ზუსტად კი, ლოცვა, თუმცა მის დანახვაზე ვერ იფიქრებდით, რომ საქმე ასე იყო. ჩრდილოკორეელ ქრისტიანებს არც თავის დახრა შეუძლიათ და არც თვალების დახუჭვა. ასე რომ მოიქცნენ, მაშინვე ციხეში ან საკონცენტრაციო ბანაკში ამოყოფენ თავს. შუაღამეს რომ გამეღვიძებოდა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაუნძრევლად მჯდარ დედას ვხედავდი, რომელიც ისმენდა იმის ხმას, ვინც მამამისს ბევრჯერ ხმაურით ელაპარაკებოდა.

სწორედ ასე მივიდა აზრამდე, რომ ჩინეთში ეყიდა მნიშვნელოვანი ნივთები და მეზობლებში გაეყიდა. ეს ახალი სამუშაო არალეგალური არ გახლდათ: ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ჩინეთიდან ვიყავით და იქ ნათესავები გვყავდა. კანონი არ გვიკრძალავდა იმის გაყიდვას, რასაც ნათესავები ჩინეთიდან გვიგზავნიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვებიც ვაჭრობდნენ ჩინური საქონლით, ჩვენგან მაინც ბევრი ადამიანი ყიდულობდა. დედა თავის ნივთებს აქებდა და ხალხს ეუბნებოდა, რომ ისინი უფრო იაფი იყო სხვების საქონელთან შედარებით, რადგან უშუალოდ ნათესავებისგან იღებდა.

იმ დროს ჩრდილოეთ კორეაში საოცარი ახალი კურსი წარმოგვიდგინეს, რომელიც თავად კიმ ჩენ ირმა განსაზღვრა. მთავრობა ხალხს საკვებით აღარ უზრუნველყოფდა, როგორც დიდმა ბელადმა გამოაცხადა. ამის ნაცვლად, მათ თავად უნდა ეზრუნათ საჭმლის შოვნაზე. ისინიც ახერხებდნენ თავიანთი საჭიროების დაკმაყოფილებას და თან ტრანსპორტისა და საწვავის ფულიც რჩებოდათ.

საბედნიეროდ, ჩემი მშობლები ამ დავალებისთვის კარგად აღჭურვილი აღმოჩნდნენ. ბოლოს და ბოლოს, მათმა უცხოურმა

უნარებმა, რომლებიც აქამდე ტკივილისა და ზარალის წყარო იყო, შედეგები მოიტანა. ისინი შესანიშნავად ლაპარაკობდნენ ჩინურად, რომელიც ქვეყანაში რამდენიმემ თუ იცოდა. დედას ჩინეთში ძველი მეგობარი ჰყავდა, რომლის ვაჟიც სავაჭრო კომპანიას მართავდა. ისინი იმ იმედით მოინახულეს, რომ მამა თარჯიმნად აეყვანათ. ჩემმა მშობლებმა ეს ჩინელი ოჯახი გამართულ ჩინურზე წარმოთქმული ხუმრობებით მოხიბლეს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, აუხსნეს, რომ მათ შემოთავაზებაში არალეგალური არაფერი იყო. შეთანხმება შედგა: იმ ოჯახმა მამას სამუშაო სერტიფიკატი დაუმზადა და მშობლებმა ადრეულ 1990-იანებში ჩინეთ-ჩრდილოეთ კორეის საზღვარი გადალახეს. ღმერთმა კიდევ ერთხელ იხსნა ჩვენი ოჯახი და მრავალი სხვა ადამიანის გადასარჩენად გამოგვიყენა. ბაბუას ამბავი ჩვენი მხრიდან გრძელდებოდა!

სავაჭრო კომპანიის თარჯიმნობამ მამას ჩრდილოეთ კორეის ფარგლებს გარეთ გასვლისა და შემოსვლის შესანიშნავი შესაძლებლობა მიანიჭა და მან კომპანიის პარტნიორები დაიმოწაფა. მათ კი თავიანთი მხრიდან მთავრობაში სასიკეთო ანგარიშები წარადგინეს მის შესახებ. მთელი ამ ხნის განმავლობაში დედა ხელმძღვანელობდა და სთხოვდა, რომ გამომუშავებული თანხა შვილებისთვის გამოეგზავნა.

ჩვენი მიზანი გამდიდრება არ გახლდათ. როგორც ყოველთვის, დედა გაჭირვებულების შეწევნაზე იყო ორიენტირებული. იგი ჩრდილოეთ კორეელებს ეხმარებოდა, რომელთაც შიმშილისა და ტანჯვისგან თავის დაღწევა სურდათ. ეს ჯერ კიდევ დიდი გასაჭირის მარშის მოვლენებამდე მოხდა, რომელიც 1995 წლიდან დაიწყო და შიმშილობისა და წამების ახალ, უპრეცედენტო დონეს მიაღწია. ვინაიდან დედა სხვების შეწევნით იყო ცნობილი, ობლები ხშირად აკითხავდნენ და ფულს სთხოვდნენ. ისიც ყოველთვის სავსე გულით ეხმარებოდა. მალე მათი სახლი დახმარების მოსურნე ხალხით აივსო და ახმაურდა. დედა საერთოდ არ წუწუნებდა ამის გამო, მაგრამ ოჯახის ზოგიერთი წევრი შიშობდა, რომ მთავრობასთან პრობლემები

შეექმნებოდა წესრიგის დამრღვევების შეფარებისთვის. დედა ასე გვტუქსავდა:

– ნუთუ ფიქრობთ, რომ კეთილდღეობას თქვენით მიაღწიეთ? ყველაფერს ღმერთს უნდა გუმადლოდეთ. რაც გვაქვს, ყველაფერი ღვთის ბოძებულია.

ამის თქმით ჩვენი ყურადღება ღვთისკენ კიდევ ერთხელ მიმართა შუა გასაჭირის პერიოდში. ასეთი გამოფხიზლება ისე არავის სჭირდებოდა, როგორც ჩვენს უმცროს ძმას. ჩემს მშობლებს ხშირად ატყუებდნენ ისინი, რომლებიც მათ სახლს სტუმრობდნენ, ამიტომ ძმა განაწყენდა და თითს ყოველთვის დედისკენ იშვერდა. დედას მოვწონდი, იმიტომ, რომ უმცროს ძმასავით არ ვიქცეოდი.

ამ დროისთვის მან გადაწყვიტა, რომ საკმარისი არ იყო სახლში ღარიბების დაპურება და გაშვება, ამიტომ მათი ჩინეთის ეკლესიებში გაგზავნა გადაწყვიტა შემდგომი დახმარების მიზნით. ის ობლებს არიგებდა, რომ ჩინეთისკენ წასულიყვნენ და ყურადღება მიექციათ შენობისთვის, რომლის სახურავზე ჯვარი იქნებოდა გამოსახული.

– უთხარით, რომ ჩრდილოეთ კორეიდან ხართ და იქ ცხოვრების უფლება მოგცენ, – არიგებდა მათ.

ის დარწმუნებული იყო, რომ ეკლესიები ბავშვებს დაიტოვებდნენ. მის ირგვლივ სამყარო ინგრეოდა შიმშილის გამო და ზოგჯერ საკუთარი თავის მოვლაც უჭირდა, მაგრამ ყოველდღიურად ეწეოდა ჩრდილოკორეელი ხალხის ჩინური ეკლესიებისკენ მიმართვის რთულ საქმეს. დედა განსაკუთრებით პირმშვენიერ გოგონებს მფარველობდა, რომელთაც საჭმელი არაფერი ჰქონდათ. ჩინეთში ქალების ნაკლებობა და შიმშილობით გამოწვეული სასოწარკვეთილება მათ სექსუალური ვაჭრობის საგნად აქცევდა. ამრიგად, დედა მათ ასეთ მითითებას აძლევდა: წადით ჩინეთში, მოძებნეთ ჯვრიანი შენობა, გათხოვდით და ჯვრიან შენობაში სიარული განაგრძეთ.

დედას ხანდაზმულ ასაკშიც არ ჰქონია ჯანმრთელობის პრობლემები. მისი თვალისჩინი არ ჩამქრალა და სმენა არ

დაკლებია. მხოლოდ ერთი ხმა იყო მისთვის უტყუარი – ის, რომელიც მამამისს ესმოდა და თვითონაც მის გაგონებას ნატრობდა. არ ვიცი, ოდესმე ისე გაიგონა თუ არა, როგორც ბაბუამ, მაგრამ დედამ გააკეთა ის, რაც მამამისს არასოდეს გაუკეთებია: მან სახარება იმდენ ჩრდილოკორეელს მიუტანა, რამდენიც შეეძლო.

მან მხოლოდ ოჯახის წევრები როდი მოიპოვა. აღსასრულის დღეების მოახლოვების კვალობაზე კიდევ უფრო გააძლიერა ყველა იმ კორეელის ქრისტესთვის გამოღვიძება, რომელსაც ხვდებოდა. უფრო მეტიც, იგი ჩინეთში მიდიოდა და უკან ახალმოქცეულთათვის საჭირო მასალებით ბრუნდებოდა, რომელიც კონტრაბანდულად გადმოჰქონდა. ეს რესურსები, როგორც წესი, ხელისგულისოდენა თხელ წიგნებს წარმოადგენდა, რომელთა დამალვა ადვილი შესაძლებელი იყო, მაგრამ უჩუმრად გადმოტანა ყოველთვის საფრთხეს უკავშირდებოდა. ის მას ვინილში ახვევდა და სახლის სახვადასხვა კუთხეებში მალავდა, რომ ჩხრეკისას ვერ აღმოეჩინათ.

გაოცებისგან თავს ვაქნევ, როცა ჩემ დაწერილს ვკითხულობ. ვისურვებდი, სრულად გადმომეცა, რაოდენ შეუძლებელი იყო ამ საქმის კეთება და როგორ მოქმედებდა დედა ყოველგვარი შიშის გარეშე. იგი მეზობლებს ახარებდა. ამის გაკეთება ჩრდილოეთ კორეაში წარმოუდგენელი გახლდათ. ვერავინ ბედავდა მეზობლებისთვის რამის თქმას – მეტისმეტად ბევრი ჯაშუში არსებობდა. ნაბრძანები იყო, რომ ყველას მიეტანა ამბავი მთავრობაში, რასაც მეზობლების ცხოვრებაში დაინახავდნენ. ისინი ერთმანეთსაც უთვალთვალებდნენ და ცდილობდნენ, ამოეცნოთ, მეზობლები ხომ არ იყვნენ ჯაშუშები. იესომ თქვა, რომ სადაც ორი ან სამი მისი სახელით შეიკრიბებოდა, ისიც მათ შორის იქნებოდა. ჩრდილოეთ კორეაში ორი ან სამი ადამიანის ერთად შეკრება ყოველთვის ეჭვს წარმოშობდა სხვების პიროვნების შესახებ – ხომ არ იყო მათ შორის სამთავრობო ჯაშუში. როგორ შეიძლებოდა ასეთ ვითარებაში სახარების მიტანა?

დედამ ეს მოახერხა. თუ სწორად მახსოვს, მის სახლს სხვადასხვა დროს შვიდი ადამიანი სტუმრობდა. დედა მათ ოთახისკენ მიუძღვებოდა, კარს კეტავდა და ახალმოქცეულიებისთვის განკუთვნილ მასალას ასწავლიდა. ისინი ოთახიდან ხელახლა შობილები გამოდიოდნენ და თანამორწმუნეების სახით ტოვებდნენ სახლს. ეს მართლაც საოცარი გახლდათ. ჯერ პურის ბიზნესი, შემდეგ იმპორტის ბიზნესი, ახლა ეს. ვის შეუძლია, გაიგოს, როგორი პიონერი იყო დედაჩემი ჩრდილოკორეულ საზოგადოებაში?

ის ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ ჩინეთში უნდა გადავსულიყავით. ჩემი უმცროსი და-ძმა მასწავლებლები იყვნენ ჩრდილოეთ კორეაში. ვერც კი წარმოიდგენთ, რა რთულია ამ ქვეყანაში მასწავლებლის შრომა. მათ ყოველ იჯრაზე ფაფის ჭამა უხდებოდათ და ისიც არ იყო საკმარისი. უფრო მეტიც, წარმოგიდგენიათ იატაკქვეშა ქრისტიანული სწავლება საგანმანათლებლო სისტემაში, რომელიც მთლიანად კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირის განდიდებისა და თაყვანისცემის სისტემაზე არის აგებული?

თუმცა ჩემი უმცროსი და და რძალი ისე იყვნენ შიშით პარალიზებული, რომ არაფერს აკეთებდნენ. ფაქტობრივად, ისინი ერთადერთ გამოსავალს ხედავდნენ ჩვენი ოჯახის გამოწვევებთან გასამკლავებლად - დედას ევედრებოდნენ, რომ ხელისუფლებას ჩაბარებოდა. მისი დაჭერის შემთხვევაში ყველა ჩვენგანს საკონცენტრაციო ბანაკში გაამწესებდნენ მისი „დანაშაულისთვის“. ამრიგად, ჩემს დასა და რძალს სურდათ, რომ დედას თავისი საქმიანობა ეღიარებინა და ოჯახის დარჩენილი წევრები დაენდო. ამის მიუხედავად, დედა შეურყეველი იყო. მან ასე თქვა:

- სამყაროს დასასრული რამდენიმე წელში დადგება. იქამდე რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა მივუტანო სახარება. ასე რომ, ნუ მთხოვთ მთავრობაში აღიარებით მისვლას.

თუმცა დედამ ჩემი ყურადღება მიიპყრო, როცა ყველას ჩინეთში გადასვლას გვთხოვდა. დრო გადიოდა და რწმენაში ვიზრდებოდი.

ჩრდილოეთ კორეის საზოგადოების კერპთაყვანისცემამ ჩემი სინდისი შეაშფოთა. როგორ შევძლებდით ღვთის თაყვანისცემას და ათი მცნების დაცვას ასეთ ვითარებაში? ამასთან ერთად, განსხვავებული აზრის აღსაკვეთად კიდევ უფრო მეტი კანონი მიიღეს. ქალებს გარეთ გასვლა მხოლოდ კაბით შეეძლოთ. მათი ფეხსაცმელების ქუსლები 5 სმ-ზე მაღალი არ უნდა ყოფილიყო. ხალხს ეკრძალებოდა ინგლისურწარწერებიანი მაისურის ჩაცმა. გრძელი თმა დანაშაულის ტოლფასი გახლდათ. მოქალაქეებს აღარ უზრუნველყოფდნენ ელექტროენერგიით, საკვებით და სარკინიგზო მიმოსვლით.

ეს არ იყო ახირებული დისკომფორტის საკითხი: ერთხელ ჩვენი ქალიშვილი დაიჭირეს და ღამით დაკითხეს სახლიდან შარვლით გამოსვლის გამო. არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო მისი ადგილსამყოფელის გასაგებად და დახმარების გასაწევად. ჩემი წარსულის გამო დეტალურ ანალიზს ვექვემდებარებოდით და ყოველი ახალი კანონი მთავრობას ჩვენი ჩხრეკისა და დაკავების მეტ საბაბს აძლევდა. ქსელი თანდათან ვიწროვდებოდა. რამდენი დღე, კვირა ან თვე დასჭირდებოდა დედაჩემის დაჭერას და მასთან ერთად მთელი ჩვენი ოჯახის ჩრდილო კორეის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნას?

თუმცა ეს არ გახლდათ მთავარი მიზეზი, რის გამოც ქვეყნიდან წასვლა გადავწყვიტე. მოგონებებმა გადამძალა. გამახსენდა ის დრო, როცა დედას და ბაბუას სეირნობისას ვახლდი და მან მამას ჰკითხა:

- მართლა გაიგონე ღვთის ხმა?

მას ისე ძალიან სურდა სიღრმისეული რწმენის ქონა, რომელიც ღვთის ხმის გაგონების საშუალებას მისცემდა. და აი, ის დაპატიმრების საფრთხის წინაშე დგას, თუმცა სრულიად უშიშრად ავრცელებს ღვთის სიტყვას. ამან ეკლესიის კარში მდგარი ბაბუა გამახსენა, რომელიც იაპონელებს გზას უღობავდა. დედა მას დაემსგავსა.

და მე? როცა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების გზაგასაყარზე ვიდექი, ღვთიური

მოწოდება გამახსენდა, რომლის თანახმადაც ბაბუას სოფელი უნდა დაეტოვებინა მის გადასარჩენად. ვიცოდი, რომ მათ დავემსგავსე მათი სწავლების, მაგალითისა და ღვთის მადლის შეწევნით. ყველაფერს დავტოვებდი ღვთის კვალზე სასიარულოდ, რომ გადამერჩინა ის, რაც მეძვირფასებოდა. ისიც ვიცოდი, რომ ამას ჩემით ვერ მოვახერხებდი. ამრიგად, ჩრდილოეთ კორეის დატოვება განვიზრახე და არა მარტო ჩინეთში, არამედ სამხრეთ კორეაში გადასვლა გადავწყვიტე. ღვთის მადლით გზას მთელი ოჯახისთვის გავიკვლევდი იმ იმედით, რომ ერთ დღესაც ყველა ერთად ჩვენი ხალხის გადარჩენას შევძლებდით.

იმ წუთს, როცა მდინარის გადასალახად შევბრუნდი, რომ ჩინეთში გადავსულიყავი, დედამ ერთადერთი წინადადება მომძახა:

„რწმენას გაუფრთხილდი!“

4. ცოლი

სულ სხვაგვარი ტიპის დესანტი

ბატონი ბეის მონათხრობი

მამაჩემი სამთავრობო ბიზნეს-ისნპექტორი გახლდათ, ხოლო დედა - მთავრობის მუშაკი. გულწრფელად გეტყვით, რომ ბავშვობაში პოლიტიკაზე წარმოდგენა არ მქონდა. თუმცა ერთი რამ კარგად ვიცოდი - ჩვენს ოჯახს ერთიანობის მყარი ტრადიცია მოსდევდა. როცა წარსულს ვიხსენებ, მე და ჩემი ქმარი ვფიქრობთ, რომ ჩემმა მშობლებმა ბევრი რამ იცოდნენ პოლიტიკაზე და ისიც კარგად გაეგებოდათ, როგორ აეცილებინათ პრობლემები ისე, რომ მთავრობაც კეთილგანწყობილი ჰყოლოდათ.

მაშინაც კი არ სჭირდებოდათ კანონები. ეკონომიკის სფეროში მუშაობის მიუხედავად, არასოდეს არაფერი მოუპარავთ, რომ შავ ბაზარზე გაეყიდათ ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად. ამის ნაცვლად, ყოველ თავისუფალ დროს დამატებით შრომობდნენ. მამაჩემი ყანაში დილის 3 საათზე გადიოდა, სანამ მისი სამუშაო დღე დაიწყებოდა. დედა და ბებია დამატებით საკერავს და საქსოვს იღებდნენ. ამის შედეგად, ჩვენს თორმეტსულიან ოჯახს არასოდეს აკლდა საკვები, ხოლო მეზობლებს ჩვენი ბედნიერების შურდათ. მაძღრისად ვჭამდით, კარგად გვეცვა და კომფორტში ვცხოვრობდით. განათლება ყველასთვის უფასო იყო, როცა 1969 წელს სკოლაში შევედი.

დაწყებითი სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი, მე და ჩემი და-ძმები სწორად ვიზრდებოდით და ეს არ გახლდათ სკოლის ზნეობრივი განათლების დამსახურება. უბრალოდ, ვაკვირდებოდით, როგორ

ცხოვრობდნენ ჩვენი მშობლები. სკოლაში ნასწავლი ეთიკა თავაზიანი მისალმებით, ქურდობისგან თავშეკავებით და სხვა ამგვარი მითითებებით შემოიფარგლებოდა. მიუხედავად ამისა, ჩემი მშობლები არასოდეს გვაძლევდნენ სხვისთვის რაიმე ზიანის მიყენების ან ზურგსუკან ლაპარაკის უფლებას.

ჩემი მშობლების მორალური განათლება გაცილებით მაღალ სტანდარტს შეესაბამებოდა. ისინი ასე ამბობდნენ: „სხვა ადამიანებს ვერაფერს გაუნაწილებ, თუ ყველაფერს შეჭამ, რაც მოგინდება.“ ისინი გვასწავლიდნენ, რომ სხვებისთვის უხვად მიგვეცა. მაგალითად, ადამიანთა უმრავლესობა მეზობლებს ზუსტად იმდენს უნაწილებდა, რამდენიც საკმარისი იქნებოდა გულუხვი ადამიანის რეპუტაციის მოსაპოვებლად. ჩემი მშობლები მათგან განსხვავდებოდნენ. როცა ისინი სონგპიონს (ნახევარმთვარის ფორმის ბრინჯის ნამცხვარი) აცხობდნენ, არა მარტო გემოთი იყო გამორჩეული, არამედ რაოდენობითაც საკმარისზე მეტს ამზადებდნენ. ამრიგად, ოჯახის ყველა წევრს ხვდებოდა და მეზობლებისთვის გასაცემიც გვრჩებოდა. მშობლებს სურდათ, რომ მათ ნამდვილად ესიამოვნათ ჩვენი სონგპიონით. ისინი სწორედ ასე გვასწავლიდნენ.

ჩემი და-ძმები ოკეანის მახლობლად ცხოვრობდნენ. ზოგჯერ მათ თევზი და ზღვის პროდუქტები მოჰქონდათ. მშობლები გვეუბნებოდნენ, რომ ისინი მეზობლებისთვის გაგვენაწილებინა და თან უფრო ცუდის მიცემის უფლებაც არ გვქონდა. დედა ყოველთვის ამოწმებდა თევზს და ზღვის პროდუქტებს, რომელსაც ჩვენ ვამზადებდით. შემდეგ ასე გვეუბნებოდა: „სირცხვილია ამის მიცემა! უკეთესი ნაჭრები შეარჩიეთ!“ აი, რას ვსწავლობდით მშობლებისგან. მათგან უფრო მეტი სასარგებლო რამ გავიგე, ვიდრე სკოლაში მასწავლეს.

იმის გამო, რომ მშობლების წვრთნასა და შეგონებას გავდიოდი, სკოლაშიც დიდად მაქებდნენ. კლასელებმა ხმა მისცეს, რომ მეორე კლასში პრესტიჟული კოდალას კვერცხის გულსაბნევის ჯილდო მიმეღო. კლასში უმაღლესი ჩინი მქონდა: მთავარი პრეზიდენტი ვიყავი. ჩვენს კლასში ორმოცდათექვსმეტი

მოსწავლე იყო. მთელი კლასი 6-7 ბავშვისგან შემდგარ ჯგუფებად იყოფოდა. ყოველ ჯგუფზე ერთი პრეზიდენტი ზრუნავდა, მაგრამ მთავარი პრეზიდენტი 56-ვე მოსწავლეს ზედამხედველობდა და განსაკუთრებულ ყელსახვევს ატარებდა.

წერა სხვებზე ადრე ვისწავლე. იმის გამო, რომ მამაჩემი ინსპექტორი იყო, ხშირად უხდებოდა მივლინებებში სიარული. ერთხელ ბიზნეს-მოგზაურობიდან დაბრუნებული უჩუმრად მადევნებდა თვალს, როგორც ვამზადებდი საშინაო დავალებას. რამდენი გვერდის წაკითხვის შემდეგ ანგარიშს ვწერდი. მამამ მითხრა: „ძალიან ჭკვიანი ხარ! როგორ შეგიძლია ამდენი წინადადების დამახსოვრება მხოლოდ ერთი წაკითხვით?“ ვფიქრობ, საკმაოდ კარგი მეხსიერება მქონდა. შემეძლო გვერდის ერთხელ წაკითხვა და ისე კოპირება, რომ ნაწერში აღარ ჩამეხედა. რეალურად, ჩემი მშობლებიც ძალზე გამჭრიახები იყვნენ.

სკოლაში სისტემატურად არ მასწავლიდნენ კითხვას, ლაპარაკსა და წერას, მაგრამ მთავარი პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ამ ყველაფრის კეთება ვისწავლე. ჩრდილოეთ კორეაში ხშირად იმართება სიტყვით გამოსვლის კონკურსები. მათში მონაწილეობას ვიღებდი და უმაღლესი ჯილდოც არაერთხელ მრგებია. წარმოსათქმელი სიტყვების სათაურები შემდეგნაირი გახლდათ: „ამერიკელების დასჯა“, „ამერიკასთან ბრძოლა“, „ამერიკა - ჩრდილოეთ კორეის უსაშინელესი მტერი“ და „ამერიკელების სისასტიკე ჩრდილოეთ კორეის მიმართ კორეის ომის დროს“.

დაწყებით კლასებშიც კი გვასწავლიდნენ სახელმწიფოს დიდი ბელადის, კიმ ირ სენის შესახებ. ჩრდილო კორეის განათლების სისტემა დიდი ბელადის მიმართ ერთგულებას ეფუძნება. ამრიგად, სკოლაში ერთ-ერთი პირველი სწორედ ასეთი წინადადება ვისწავლე: „მადლობა, დიდო წინამძღოლო, კიმ ირ სენ!“ საკლასო პროცესის ყოველი საათი რევოლუციის წინაშე ჩვენი ვალდებულების შესწავლას ეთმობოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას ვისწავლიდით, კორეულ ანბანს თუ გამოთვლებს - განათლების მიზანი მოსწავლეების ისე გაწვრთნა გახლდათ, რომ

მათგან რევოლუციის ჯარისკაცები გამოეზარდათ, რომლებიც კიმ ირ სენის ერთგულები იქნებოდნენ. გვინერგავდნენ, რომ კიმ ირ სენი ღმერთი იყო და მის გარეშე დავიხოცებოდით - შიმშილით სული ამოგვხდებოდა, ჩვენს ერს დაიპყრობდნენ და ამერიკის ან იაპონიის მონები გავხდებოდით. ერისა და კიმ ირ სენის დასაცავად სკოლასა და ცხოვრებაში სანიმუშოდ უნდა მოვქცეულიყავით. სწორედ ეს გახლდათ ჩვენი განათლების სისტემის მიზანი. ჩვენ, როგორც რევოლუციის ჯარისკაცებს, სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნა უნდა მიგვეღო.

ნამდვილად ყველაზე ერთგულ მოსწავლეთა შორის ვირიცხებოდი. დაწყებით სკოლაში სამჯერ მივიღე ქება სხვადასხვა ვითარებებში: ერთი - სამხედროთაგან, მეორე - ახალგაზრდული ალიანსისგან და მესამე - მთავრობის მოხელისგან. რვაასი მოსწავლისგან შემდგარ სკოლაში საუკეთესო გახლდით.

ქრისტიანად არ გავზრდილვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქრისტიანობაზე არაფერი მსმენოდა. აი, ერთი ამბავი, რომელიც ამერიკელი მისიონერის შესახებ ჩემი სახელმძღვანელოდან შევიტყვე!

ეს შემთხვევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დროს მოხდა, რომელსაც თქვენ კორეის ომის სახელით იცნობთ. ერთი სახლის დამლაგებელი ქალი ამერიკელ მისიონერთან მუშაობდა. მის ვაჟს ბოკ-ნამი ერქვა. ერთხელაც ბოკ-ნამი მისიონერის სახლში მივიდა დედის სანახავად. სახლს დიდი მესერი ერტყა და ბაღში მდგარი ხიდან ვაშლი მესრის გარეთ ჩამოვარდა. ბოკ-ნამმა ვაშლი აიღო. მისიონერის ვაჟმა ამ ამბავს თვალი შეასწრო და სახლში შესვლისას მამას შესჩივლა: „მამა, ბოკ-ნამმა ჩვენი ვაშლი მოიპარა!“

მისიონერმა ბოკ-ნამი სახლში შეიყვანა და შუბლზე მჟავით ასეთი წარწერა ამოუკვეთა: „ქურდი“.

ჩვენი სახელმძღვანელოს თანახმად, „ნამდვილი ქურდი მისიონერი იყო“. მას ცხვრის ნიღაბი ჰქონდა მორგებული და თვალთმაქცურად შემოიპარა ჩრდილოეთ კორეაში. ვისწავლეთ,

რომ ის შინაგანად ცუდი ადამიანი გახლდათ. ასე გვასწავლიდა მთავრობა, რომ იესოს რწმენისგან დავეცავით. მივხვდი, რომ ჩრდილოეთ კორეა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს თავისი მოქალაქეების დასარწმუნებლად იყენებდა, რომ სძულებოდათ ამერიკა, ხოლო მისიონერის ამბავი ღვთის რწმენის უკუგდების მიზანს ისახავდა.

ისინი ასევე გვასწავლიდნენ, რომ მისიონერები კორეელებს „სულელურ“ კულტურას აჩეჩებენ. „წარმოიდგინეთ, რა სისულელეა, - ამბობდნენ ისინი - მეორე ლოყის მიშვერა იმისთვის, ვინც ერთ ლოყაში გაგარტყამს. ასე ხომ ერი მთლიანად დაეცემა და მისიონერების მიზანიც ეს გახლავთ.“

ყოველ ჩრდილოკორეელს სიყრმიდანვე ასწავლიდნენ, რომ ერთადერთი კიმ ირ სენი იყო თაყვანისცემის ღირსი. რამდენადაც ვიცოდით, სხვა ღმერთი არც არსებობდა. ჩრდილოეთ კორეის დაწყებითი სკოლა ოთხი საფეხურისგან შედგებოდა. ამის შემდეგ ბავშვები საშუალო სკოლაში გადადიოდნენ, რომელშიც ექვსი საფეხური იყო. დაწყებითი სკოლის წინ არჩევითი მოსამზადებელი კლასიც ჰქონდათ.

როცა მოსწავლეები ცხრა წლის ხდებოდნენ, ახალგაზრდული პარტიის ლიგას უერთდებოდნენ. მათი სიმბოლო ყელსახვევი იყო. ახალგაზრდული პარტიის ლიგაში შესასვლელად ფიცი უნდა დაგედოთ. ამის შემდეგ მოსწავლეები, რომლებიც საშუალო სკოლაში კარგად სწავლობდნენ, ყელსახვევს იღებდნენ. კლასში პირველი ვიყავი, ვინც ახალგაზრდული პარტიის წევრი გახდა და ჯილდოდ ყელსახვევი მიიღო - გოგონასთვის საკმაოდ დიდი მიღწევა გახლდათ!

დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ საშუალო სკოლის მოსწავლე გავხდი. კარგი მოსწრება მქონდა, რადგან ბეჯითად ვმეცადინეობდი. არ მიყვარდა სხვების უკან ჩანჩალი. ამ ამბებს რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, ღმერთმა იმ დროისთვის სიბრძნე მომცა. სწორედ ამიტომაც მივაღწიე წარმატებას.

წერა მეხერხებოდა. აკურატული ხელწერა მქონდა და თხზულებებიც კარგად გამომდიოდა. ყველაზე დასამახსოვრებელი

მომენტი იყო, როცა ჩემმა ესემ, „ლაშქრობის დღე“, კონკურსზე პირველი პრიზი მიიღო. იმ დროისთვის ჩემი უფროსი ძმა დამამთავრებელ კლასში გახლდათ. მან ასე მითხრა:

– შენმა მასწავლებელმა თქვა, რომ საუკეთესო ხარ. მოდი, გამოვცადოთ.

ჩემმა ძმა მეგობრები შეკრიბა და იქვე ადგილზე რაიმეს დაწერა მთხოვა, რომელსაც ყველას გასაგონად წაიკითხავდა. ასეც მოვიქეცი.

– ოჰო, მართლაც კარგი ყოფილხარ! – მითხრა მან.

ვსწავლობდით ფიზიკას, ქიმიას და ბიოლოგიას. მოსწავლეებს სქელი ანგარიშები უნდა წარმოედგინათ თავიანთი ექსპერიმენტების შესახებ, ხოლო მასწავლებლები აფასებდნენ. ამის შემდეგ გამოცდაზე გასვლის უფლებას ყველაზე კარგ მოსწავლეებს აძლევდნენ; დანარჩენებს ეს არ შეეძლოთ. მოსწავლეებისთვის ესეც ერთგვარი კონკურსი იყო. გულმოდგინედ ვშრომობდი. ვცდილობდი, ჩემი ანგარიშები რაც შეიძლება პროფესიონალური ყოფილიყო.

მოსწავლეებს ეს თავად უნდა გაეკეთებინათ, რადგან მშობლები მეტისმეტად დაკავებულები იყვნენ, რომ მათი დახმარება შეძლებოდათ. საბედნიეროდ, ბავშვობიდანვე ბევრს ვკითხულობდი და ვიცოდი, როგორ გამეკეთებინა წიგნის ლამაზი გარეკანი. სკოლის დღეებიდან სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროს, როცა წიგნებს ვკითხულობდი და ვწერდი. სკოლები კონკურსის შედეგებს საჯაროდ აცხადებდნენ. როცა მეორე ადგილს ვიღებდი, განადგურებული ვიყავი და დაძინება აღარ შემეძლო. როცა პირველ ადგილზე გავდიოდი, მშვიდად მეძინა, როგორც ვალმოხდილ რევოლუციონერ მოსწავლეს.

საშუალო სკოლაში მთავარი პრეზიდენტი ვიყავი პირველიდან მესამე კლასამდე. ბიჭები უხერხულობას გრძნობდნენ ჩემთან ურთიერთობისას, რადგან ბევრს არ ვლაპარაკობდი და ჩემი ნიჭიც თვალსაჩინო გახლდათ. არც წინამძღოლობის უნარი მაკლდა და სიტყვით გამოსვლის კონკურსებშიც ხშირად ვმონაწილეობდი. რეალურად, თუ დავფიქრდები, არა მარტო ბიჭები, გოგონებიც

უხერხულობას განიცდიდნენ, მაგრამ მე მათ მიმართ კეთილად ვიყავი განწყობილი მშობლების დარიგებიდან გამომდინარე. სკოლის ბევრი მოსწავლე კარგად არ სწავლობდა და ზოგიერთი გამოუვალ მდგომარეობაშიც იყო რთული ცხოვრებისეული ვითარებების გამო. მათ საკვები რაციონი არ ერგებოდათ და თუ მშობლები სამუშაოს დაკარგავდნენ ან ავად გახდებოდნენ, ცხოვრება მათთვის მართლაც აუტანელი ხდებოდა. ასეთებს ხშირად ვეხმარებოდი, როცა კლასის მთავარი პრეზიდენტი ვიყავი. ჯგუფების დანაწილებისას კარგ მოსწავლეებს ღარიბებთან ვამაგრებდი. ზოგჯერ ფიჩხს ვაგროვებდი და მათ ვუზიარებდი. ვისაც ზედმეტი ფული ჰქონდა, გაჭირვებულებისთვის დახმარებას ვთხოვდი. ზოგჯერ მოსწავლეებს მათთვის ჯიბის ფულის განაწილებასაც ვურჩევდი. თუ რომელიმეს ფეხსაცმელი, რვეული ან ფანქრები არ ჰქონდა, ჩემსას ვუთმობდი და სხვებსაც ვთხოვდი. სადილობის დროს ყველა გაჭირვებულ მოსწავლეს ერთად ვკრებდი და დანარჩენებს მათთვის საკვების განაწილებას ვურჩევდი.

იმ დროისთვის ჩრდილოეთ კორეაში ამის გაკეთება ადვილი არ იყო. გულწრფელად რომ ვთქვა, კეთილი საქმეების კეთება ადამიანებს დიდად არ სურდათ. მე ამას მაინც ვახერხებდი მშობლების დარიგებიდან გამომდინარე. მამა მასწავლიდა, რომ ყველას მიმართ კეთილი და მოწყალე უნდა ვყოფილიყავი. ის მეუბნებოდა, რომ მიწათმოქმედთა ურმების მტვირთველებსაც მივსალმებოდი. ვუყურებდი და ვხედავდი, როგორ თბილად ესალმებოდა მათ: „ძმაო, საიდან ხარ?“ ჩვენთვის ეს მისაბაძი მაგალითი გახლდათ. ჩვენს ქალაქში კუზიანებიც ცხოვრობდნენ და ყოველთვის იტანჯებოდნენ დისკრიმინაციისა და საზოგადოებისგან გარიყულობის გამო. თუმცა ჩემი მშობლების სუფრასთან ასეთი რამ არასოდეს ხდებოდა. ისინი შესანიშნავ კერძებს ამზადებდნენ და ჩვენს დიდ ოჯახში ყოველთვის მოიძებნებოდა ამ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების ადგილი, რომ განსაკუთრებულ დღეებში ჩვენთან ერთად ესადილათ.

აქამდე ყველა ის ასპექტი გაგიზიარეთ, რომელშიც ძლიერი ვიყავი. იყო ერთი რამ, რაც საერთოდ არ მეხერხებოდა – თოფის

სროლა. საშუალო სკოლის მეოთხე საფეხურზე სწავლისას ახალგაზრდების სამხედრო კლუბს შევუერთდი. ძალიან მორიდებული ვიყავი. იქ მყოფი რამდენიმე ვაჟი მოსწავლე ათიანში არტყამდა, როგორც კი ჩახმახს თითს გამოკრავდა. მე მიზანში სროლასაც ვერ ვახერხებდი. ჩემ მიერ გასროლილი ნებისმიერი ტყვია სადღაც მთებში იკარგებოდა.

ყველაზე ძალიან ვერ ვიტანდი ეგრეთ წოდებულ, „სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ ბრძოლას“. საშუალო სკოლის პირველიდან მესამე საფეხურამდე გაკვეთილების დასრულების შემდეგ სოფელში სამუშაოდ უნდა წავსულიყავით. მეოთხე კლასში რომ გადავედით, გარკვეული სახის საკვები ტალონი მივიღეთ, რომელიც სასურსათო რაციონის სისტემის ნაწილი გახლდათ.

ბავშვები თავიანთი მშობლების სამუშაო ადგილას უნდა მისულიყვნენ, რომ საკვები ტალონი მიეღოთ თხუთმეტი დღის ან ერთი თვის განმავლობაში. შემდეგ ისინი საკვების მისაღებად საჭირო ადგილას უნდა წარგვედგინა. როგორც წესი, ასეთი ადგილი სოფლის ფერმა გახლდათ. ხალხი ფერმაში დილის 5 საათზე გადიოდა ძირითადი სამუშაოს დაწყებამდე, რომ მინდვრებში ემუშავა და თავისი წილი ულუფა მიეღო. ბავშვები ასე ადრე არ გაჰყავდათ, რადგან გარეთ ძალიან ციოდა. ჩრდილოეთ კორეაში მაისიც კი ცივია. თუ წვიმს ან მოღრუბლულია, მეტისმეტად ცივა, რომ ბავშვმა მინდორში იმუშაოს. თითოეულ ოჯახს ფერმაში თავისი ნაკვეთი ჰქონდა გამოყოფილი, რომელიც დაახლოებით 32.5 კვ. მ.-ს შეადგენდა. მთელ დღეს დამოუკიდებლად უნდა მოგეგროვებინათ ბრინჯი და იმ დღის შრომისთვის 0.5 ქულა გეწერებოდათ. საკვები რომ მიგეღოთ, 1 ქულა უნდა გქონოდათ. დავუშვათ, ბრინჯის მოსავალი 65 კვადრატულ მეტრზე აიღეთ, რომ თქვენი საკვები რაციონი მოგეპოვებინათ. ეს ძალიან დამღლელი საქმე იყო. ადვილი არ გახლდათ სწავლა და თან ფერმაში მუშაობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მსახურებასთან ერთად. საბედნიეროდ, სხვებივით ბევრი შრომა არ მიწევდა, რადგან ოჯახში ყველაზე უმცროსი ვიყავი.

გაზაფხულზე ოცდაათიდან ორმოცდახუთ დღემდე მინდორში უნდა გვემუშავა სარეველების ამოსაძირკვად. შემოდგომაზე თხუთმეტი დღე გვქონდა ბრინჯისა და სიმინდის მოსავლის ასაღებად. ბრინჯი რომ დამწიფდებოდა, მოსავალი უნდა აგვეღო და ბრინჯის წყლიან ყანაში ხელით გვეთრია. ეს საქმე ძალიან მეჯავრებოდა.

საშუალო სკოლაში სახელმწიფოს მიმართ ერთგულების გამოჩენა ფუნდამენტური საკითხი გახლდათ. ამის გარდა, ყველა მოსწავლეს ლობიო უნდა დაეთესა და ყოველწლიურად რამდენიმე კილოგრამი ჩაებარებინა. გარდა ამისა, უნდა მოგვეგროვებინა ლითონი, მინა, ბოთლები და ისინიც ჩაგვებარებინა.

მოსწავლეებისთვის ყველაზე რთული საქმე კურდღლის ტყავების ჩაბარება გახლდათ. ყველას სახლში უნდა გაგვეზარდა კურდღელი, გვეჭმია და შემდეგ ბეწვი მიგვეტანა. პრობლემა ის იყო, რომ მის მოვლაში ოჯახის წევრები არ გვეხმარებოდნენ. ამაზე მშობლებთან ვწუწუნებდი, მაგრამ ბეწვი ჩემს და-ძმებსაც უნდა ჩაებარებინათ. სკოლა პატარაშესვლა. ამგვარი დავალებების გაკეთება ნამდვილად არ მეხალისებოდა.

სკოლა ჩვენს მიერ მოგროვილ ნივთებს სამხედროებს ან სამშენებლო ადგილებში გზავნიდა. ყველა ჩრდილოკორეელი მოსწავლე სწავლის ზეწოლის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ასევე აუცილებელია ფერმის შენახვა, ლობიოს მოსავლის მიღება, ჯართის შეგროვება და კურდღლის ტყავის ჩაბარება. ამრიგად, მოსწავლის ცხოვრება გამუდმებული შრომისგან შედგება, როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად.

კურდღლებისგან განსხვავებით, გადავრჩი და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების რეკომენდაციაც მივიღე. ამისთვის ჩვენს სკოლაში ყოველი ოთხი მოსწავლიდან ერთი შეარჩიეს. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტები მოსწავლეებს აიყვანდნენ, სამხედრო სამსახური დარჩენილებისგან ახალწვეულებს კრებდა. ვისაც არ აირჩევდნენ, საბოლოოდ, მაღაროში ან სოფლის ფერმაში ხვდებოდა. ჩემ დროს მშობლები შვილების ნაკვალევზე დადიოდნენ: თუ მშობლები ფერმის მუშები იყვნენ,

მათი შვილებიც მიწათმოქმედებას მისდევდნენ. თუ მშობლები მაღაროში მუშაობდნენ, შვილებსაც იქ უნდა ემუშავათ.

უნივერსიტეტში სწავლის რეკომენდაცია მომცეს, მაგრამ მასწავლებლებმა სამხედრო სამსახურის დაწყებაც მირჩიეს. ამრიგად, ფიზიკური მზადება დავიწყე ჯარისთვის და უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლადაც ვემზადებოდი. ორივედან მივიღე მიღების წერილი. როცა დავინახე, რომ ჩემმა რამდენიმე მეგობარმა სამხედრო სამსახური არჩია, გულმა მეც იქითკენ გამიწია, მაგრამ მშობლებმა ასე მითხრეს: „შენი და-ძმა სამხედროში წავიდნენ. ნუთუ შენც მათ მიბაძავ?“ მათ სურდათ, რომ მასწავლებელი გამოვსულიყავი, რადგან ამ პროფესიის ადამიანებს არ აწვიმდათ და ათოვდათ. არც მათი ფეხსაცმლის ქუსლი იყო ტალახით მოთხვრილი.

და მაინც, ასე ადვილად დანებებას არ ვაპირებდი. სანამ მამა საქმიან მივლინებაში გაემგზავრებოდა, მშობლები ერთად სადილობდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს კარი ფართოდ შევაღე, შუა ოთახში დავდექი, სადაც ისინი სადილობდნენ და გამოვაცხადე: „აქ მხოლოდ რეაქციონერები ცხოვრობენ. მე სამხედრო სამსახურს ვირჩევ და დესანტი გავხდები!“ დიდი ამბიციები მქონდა: „თვითმფრინავით ვიფრენ და დესანტი ვიქნები. მოგვიანებით, სამხედროდან ვალმოხდილი დავბრუნდები ბატალიონის მეთაურის რანგში. მე თქვენ გაჩვენებთ, რა შემიძლია! სასწრაფოდ უნდა წავიდე არმიაში სამსახურისთვის!“

მათ დიდი აღტაცება არ გამოუხატავთ.

- ვერ შეძლებ, - მითხრა მამამ.

მშობლებმა დაიჟინეს, რომ ყველაზე მეტად მასწავლებლის კარიერა შემეფერებოდა. ამრიგად, მათი წინააღმდეგობის გამო სხვა გზა აღარ მქონდა და უნივერსიტეტში სწავლის გადაწყვეტილება მივიღე.

ბევრ პროფესორს სურდა, რომ მისი სტუდენტი გავმხდარიყავი. მათ თქვეს: „ჩვენთან უნდა წამოხვიდე!“ დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლობასთან ერთად ახალგაზრდული პარტიის

ლიგის მასწავლებლობაც შემომთავაზეს. ახალგაზრდული ლიგის მასწავლებელი ჩემს მშობლებს დაუკავშირდა და ჰკითხა: „რა გინდათ, რომ გამოვიდეს თქვენი ქალიშვილი?“ მშობლებს სურდათ, რომ მასწავლებელი გავმხდარიყავი.

მე ნამდვილად არ მინდოდა მასწავლებლობა. მშობლებს ვეწინააღმდეგებოდი: „როგორ მოვუვლი პატარა ბავშვებს?“ თუმცა მათი აზრით, მასწავლებლობა სუფთა საქმე იყო და ჩემი კარიერაც სწორედ ასე დავიწყე.

კიდევ ერთი მიზეზის გამო არ მინდოდა მასწავლებლობა. ჩრდილოეთ კორეაში ამ პროფესიის წარმომადგენლებს სახელმწიფოს ერთგულების ფიცის დადება ყოველდღე უწევთ და ეს, ცოტა არ იყოს, მომაბეზრებელი ხდება - განსაკუთრებით, ლიდერისთვის. მოსწავლეები საშუალო სკოლის პირველი საფეხურიდანვე იმეორებენ წერილობით ფიცს ჩვენი საპატიო მამის, კიმ ირ სენისადმი და გაკვეთილი ამის შემდეგ იწყება. ვინაიდან კლასის მთავარი პრეზიდენტი ვიყავი, ფიცის წარმოთქმას მე ვხელმძღვანელობდი და ზურგჩანთის თავში მედო. ის წითელი გარეკანით იყო დაფარული. პირველ ფურცელს კიმ ირ სენის მიმართ წერილობითი ფიცი წარმოადგენდა. მომდევნო ფურცელზეც იყო კიდევ ერთი ფიცი, დაახლოებით ასეთი შინაარსით: „ბეჯითად ვისწავლი და კარგად ვიშრომებ ახალგაზრდულ პარტიულ ლიგაში“. ფიცის წარმოთქმის პროცესს ყოველდღიურად უნდა გავძღოლოდი, ამიტომ ვცდილობდი, უნივერსიტეტში მაინც ამეცილებინა ეს საქმე.

ამის შემდეგ იყო კურსის ცხოვრება, ყოველდღიური შეხვედრები იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში რევოლუციის ღირს მეომრებად ვყალიბდებოდით. კურსის ორმოცდახუთი სტუდენტი ერთად ვისხედით ჯგუფის ცხოვრების განმავლობაში. ყოველ ჯგუფს კოლეჯის ასოციაციის ხელმძღვანელი და მასწავლებელი წარმართავდა. თავდაპირველად, ჯგუფის ერთად ყოფნა ორი დღე გრძელდებოდა. მოგვიანებით, ეს ერთ კვირამდე შეიცვალა. გარდა ამისა, იყო ერთთვიანი, კვარტალური და წლიური

ჯგუფური ცხოვრება. როგორც სტუდენტს, ყოველდღიური და გეგმიური ანგარიშები უნდა მეწარმოებინა და შეხვედრების დღის წესრიგი შემედგინა. მართლა ვერ ვიტანდი ამის კეთებას და დავიფიცე, რომ უნივერსიტეტში სწავლის შემთხვევაში არასოდეს გავხდებოდი კოლეჯების ასოციაციის ხელმძღვანელი.

ალბათ, არ გეცოდინებათ ამის შესახებ, მაგრამ ჩვენს უნივერსიტეტში კოლეჯების ასოციაციის ხელმძღვანელი გავხდი. ყოველდღე მიწევდა ჯგუფური ცხოვრების პროგრამის ამოცანებზე განთიადიდანვე ზრუნვა. სტუდენტების ჯგუფური ცხოვრების დღიურების შემოწმებაც ყოველდღიურად მიხდებოდა. მე, როგორც კოლეჯის ასოციაციის თავს, სწავლის დრო არ მქონდა. როცა სხვები სწავლობდნენ. მე ჯგუფური ცხოვრების ანგარიშები უნდა მეწერა, შემეფასებინა და გეგმები დამესახა. ჯგუფური ცხოვრების შესახებ ჩემი ანგარიში შესამოწმებლად კოლეჯების ასოციაციის კომიტეტისთვის უნდა წარმედგინა. როცა სხვები სასწავლებლიდან საღამოს 18 საათზე ბრუნდებოდნენ, მე 21 საათზე ძლივს ვახერხებდი სახლში მისვლას. ამის შედეგად კოლეჯის ასოციაციის საქმეებში უფრო გავიწაფე, ვიდრე ჩემს სპეციალობაში. არავინ ფიქრობდა, რომ ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური იყო. რევოლუციონერ ჯარისკაცად ჩამოყალიბებას უნივერსიტეტშიც ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ რევოლუციის ისტორიის განვითარებას ვეწეოდით! დროის დიდ ნაწილს კომუნიზმისა და სოციალიზმის დიადი პოლიტიკის შესწავლას ვუთმობდით, ამიტომ სხვა საკითხების შესასწავლად ბევრი დრო არ გვრჩებოდა. ყველას გვინდოდა მასწავლებლობა და ამავდროულად, კომუნისტური პარტიის წევრობა. პარტიის წევრობისთვის დაშვება გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვდა, ვიდრე რამდენიმე კურდღლისთვის ტყავის გაძრობა იყო.

უნივერსიტეტი პარტიის წევრობის დიდი ამბიციით დავასრულე. გარდა ამისა, წარჩინების ჯილდოებიც მივიღე. ეს ნიშნავდა, რომ საუკეთესო სკოლის პრესტიჟულ პოზიციაზე

მოხვედრა შემეძლო. თუმცა ჩრდილოეთ კორეაში ყველაფერი უკანა პლანზე იწევს პარტიის, სახელმწიფოსა და რევოლუციის საჭიროებების წინაშე. იმის გამო, რომ წარმოშობით ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის საზღვრისპირა სოფლიდან ვიყავი, ყველა ჩემს თანასოფლელს სამოქალაქო სამხედრო სამსახურის ვალდებულება ეკისრებოდა. ამრიგად, ჩემს მოვალეობას ერთი მთის დაცვა შეადგენდა, რომელიც განსაკუთრებულად ითვლებოდა სამხრეთ კორეის თავდასხმის შემთხვევაში. საბედნიეროდ, ჩემმა მიღწევებმა გამომარჩია და სწავლის დასამთავრებლად ისევ უნივერსიტეტში გამომიძახეს.

თუმცა სწავლის დასრულების შემდეგ ისევ საზღვრისპირა სკოლაში გამამწესეს. სკოლის ეზოდან კარგად ჩანდა დემილიტარიზებული ზონის მავთულხლართი - ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის არსებული მიწის პატარა ბუფერული ზოლი და ასე დიდი წარმოჩენისა და წარმატების მისაღწევად.

და მაინც, ჩრდილოეთ კორეის მასწავლებლების ცხოვრება (განსაკუთრებით, თუ ისინი მარტოხელები, ახალგაზრდები და ნიჭიერები იყვნენ) სულაც არ იყო თანმიმდევრული და სტაბილური. ძალიან მალე ერთ სკოლაში გამიშვეს რვა თვით. მოგვიანებით, სხვა ქალაქის სკოლაში გადამიყვანეს. თუმცა ყველაფერი ცუდად როდი იყო. სინამდვილეში, ადამიანთა უმრავლესობისთვის სტუდენტური წლები ცხოვრების ყველაზე ტკბილ მოგონებას წარმოადგენს, მაგრამ ამ უმრავლესობას არ უწევდა ჯგუფური ცხოვრების ჩანაწერების კოლეჯების კომიტეტის ასოციაციისთვის შესამოწმებლად წარდგენა საღამოს თერთმეტ საათამდე. ამრიგად, ჩემი ახალგაზრდული ცხოვრების ყველაზე ბედნიერი მოგონებები სწავლების პირველ წლებს უკავშირდებოდა. ბევრი ენერგია და მრავალი კარგი იდეა მქონდა. სამუშაოს თავს სულ უფრო კარგად ვართმევდი და ჩემი გამოსვლებიც არ იყო ცუდი იმის მიუხედავად, რომ ქალაქის ცენტრიდან სკოლამდე ოცდაორი მილის გავლა მიხდებოდა მანქანის უქონლობის გამო. კარგი ის იყო, რომ კურდღლის ტყავებს არავინ მთხოვდა.

როცა ჩემი სასაზღვრო სკოლა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდა, ჩემპიონატს ვერასოდეს ვიგებდით მოსწავლეთა სიმცირის გამო. თუმცა ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდი ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის გულშემატკივრობისას.

იქ ბევრი სოლო კონკურსიც ტარდებოდა ინსტრუმენტებზე დაკვრასა თუ სიმღერაში. მოსწავლეებს სიმღერაში, ჰარმონიკისა და აკორდეონის დაკვრაში ვამეცადინებდი. ისე ვავარჯიშებდი, რომ გაემარჯვათ. არ მინდოდა, რომ ჩვენი სკოლისთვის ზემოდან ეყურებინათ მისი პატარა კონტინგენტის გამო. ჩვენს მოსწავლეებს ასე ვუთხარი: „თუ კონკურსზე ვერ მოიგებთ, სჯობს იქვე მოკვდეთ. თქვენი მეორე ადგილი არ მჭირდება. ახლავე გაემართეთ პირველი ადგილის დასაკავებლად!“ ეს დასამახსოვრებელი გახლდათ.

კარგი შედეგების გამო სახელიც მოვიხვეჭე. მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მრავალი ჯილდო და აღმატებულობის საზომი არსებობდა (და ახლაც არსებობს). სხვებისგან ერთდროულად მივიღე ათი სარეკომენდაციო წერილი და ამის შესახებ სკოლასაც ეცნობა. ამან იქამდე მიმიყვანა, რომ ახლად გასახსნელ სკოლაში გამამწესეს, რომელსაც იშვიათი და სასურველი „სანიმუშო სკოლის“ სახელი უნდა მოეხვეჭა. თუმცა არავინ მასწავლიდა, ამისთვის როგორ მიმეღწია. ყველაფერი დამოუკიდებლად უნდა გამომერკვია და საქმიანი ქაღალდებიც შემედგინა. პროცესი უიმედოდ რთული გახლდათ. გარკვეული კრიტერიუმები იყო გასათვალისწინებელი, მაგალითად, რამდენი სახელმძღვანელო უნდა წაეკითხათ მოსწავლეებს, რომელი კლასებისთვის უნდა ესწავლებინათ, რა უნდა შესულიყო სკოლის ბიზნეს-გეგმაში და ასე შემდეგ.

სანიმუშო სკოლის განცხადებები ყოველთვის წარედგინება სამხედრო სამსახურს. თუ ის დაამტკიცებს, მთავრობის ჩინოვნიკებს გადაუგზავნიან. ისინიც თუ მოიწონებენ, განცხადებები ცენტრალურ სამთავრობო ოფიცრებამდე მიდის. ამ ყველაფრის შემდეგ, მათ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამასი წევრი გადახედავს. როცა სკოლა სანიმუშოდ

ითვლება, მასში საუკეთესო მოსწავლებს იღებენ, რომლებიც ფიზიკური, ინტელექტუალური და ზნეობრივი თვისებებით გამოირჩევიან. ამით სარგებელს იღებს როგორც მოსწავლე, ისე მასწავლებელი, მაგრამ ყველაზე სახეირო ეს მაინც სკოლის დირექტორისთვისაა. ახალგაზრდა ქალი მასწავლებელი, რომელიც ყველაზე მძიმე შრომას ეწევა იმისთვის, რომ სკოლამ და მისმა დირექტორმა აღიარებას მიაღწიონ, ვერაფერს იღებს. თუმცა ეს მთლად სწორი არ გახლავთ. პირადად მე, სკოლის ორმოცდაორი წლის დირექტორისგან დაუსრულებელი (და სრულიად მიუღებელი) ყურადღების ღირსი გავხდი, რომელმაც თავისი გრძნობები გადმოაფრქვია და მითხრა, რომ ცოლთან გაყრის შემდეგ ჩემთან ცხოვრება სურდა. ის შემპირდა, რომ მასთან დაწოლის შემთხვევაში უდიდესი ოცნება ამიხდებოდა: კომუნისტური პარტიის წევრობას შევძლებდი.

იმ დროს ოცდახუთი წლის გახლდით. ძალიან მინდოდა კომუნისტური პარტიის წევრობა, რომ ხალხის პატივისცემა დამემსახურებინა. რასაკვირველია, პარტიის წევრობის უფლებას არ მაძლევდნენ, რადგან სკოლის ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ წევრობის მიღების შემდეგ გავთხოვდებოდი და ჩემი მასწავლებლობაც დასრულდებოდა. რა თქმა უნდა, სკოლა დროს წელავდა, სანამ დირექტორმა არ დარეკა. მისი წინადადება უარვყავი. გაოგნებული გახლდით. და მაინც, ჩრდილოეთ კორეის საზოგადოებაში მიღებული წესების გამო მშობლებს ვერაფრით ვეტყოდი, რომ სკოლის დირექტორს ჩემთან სარეცლის გაზიარება სურდა, ამიტომ საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი პარტიის წევრობაზე და დედ-მამას განვუცხადე, რომ სასწრაფოდ გათხოვებას ვაპირებდი. ისინი იმაზე მეტად გაოცდნენ, ვიდრე მაშინ, როცა დესანტად გახდომის გადაწყვეტილება გავაცანი.

- რა დაგემართა? - მკითხეს მათ, - ადრე ყოველთვის ბრაზობდი, როცა გათხოვებას გიხსენებდით.

ამრიგად, ბატონ ბეისთან ოჯახი შევქმენი. თაფლობის თვის გასატარებლად გავემართეთ და მოგვიანებით მას ორი შვილი

ვაჩუქე. ბედნიერი ვიყავი და ცხოვრებაც კარგად მიდიოდა, როგორც ჩემი მშობლების სახლში ვიყავი მიჩვეული. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება ძალზე წარმატებული, ჭკვიანი და ენერგიული ვიყავი, ბავშვების გაჩენის შემდეგ დავსნეულდი. მშობლები და და-ძმანი ძალიან წუხდნენ ჩემს გამო. მათ აინტერესებდათ, რატომ ვიყავი მუდმივად ავად და ფიქრობდნენ, რომ ეს ჩემი მშობლების წარსულში ჩადენილი რომელიღაც უცნობი ცოდვის მიზეზით ხდებოდა. მთელი სხეული მტკიოდა, მაგრამ ჩემს სნეულებას კონკრეტული სახელი არ ერქვა.

ჩემმა ქმარმა მითხრა: „თუ ცხოვრება გიძნელდება, ილოცე - ორი ხელის ერთად შეტყუპებით.“ მას „უფალი“ ან „ღმერთი“ არ უხსენებია და არც ის აუხსნია, რას ნიშნავდა ლოცვა. მან უბრალოდ მითხრა, რომ მეღიარებინა, თუ რამ ცუდი ჩავიდინე და მელოცა. გულწრფელად რომ ვთქვა, ეს ხუმრობად ჩავთვალე. ვიფიქრე, რომ სრულ ჭკუაზე არ იყო. გამუდმებით ავად ვიყავი, ის კი ლოცვას მთხოვდა ორი შეტყუპებული ხელით. როცა ასე გავაკეთე, განვიკურნე, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. როცა ისევ ავად გავხდი, ვილოცე, მაგრამ ამაზე უკვე აღარ მეცინებოდა.

ზოგჯერ პირველი განკურნების გამოცდილების შემდეგ მთვარის შუქით განათებულ ღამეში გარეთ გავდიოდი და ორი შეტყუპებული ხელით ლოცვას ვასრულებდი. „რატომ ვარ ავად?“ კონკრეტულად არავის მივმართავდი, როცა ხელებშეტყუპებული ვლოცულობდი. „ყველაფერს ვაკეთებდი, რომ კარგი პიროვნება ვყოფილიყავი. რატომ ვარ ავად ახლა? ვინმეს ძალუძს ჩემი განკურნება? ზოგჯერ განკურნებას ვიღებდი.

ჩემმა ქმარმა მითხრა: „არ შესცოდო“. ისიც კი არ ვიცოდი, რას ერქვა „ცოდვა“. მან ამიხსნა, რომ ტყუილი ცოდვაა, ადამიანებზე მაღლიდან ყურება ცოდვაა, იგივეა ქურდობა და მრუშობა. წარმოდგენა არ მქონდა, რა იყო მრუშობა. მან მითხრა, რომ მწვალებლობაც ცოდვა იყო. არც ამ სიტყვის მნიშვნელობა ვიცოდი. ვკითხე, რას ნიშნავდა და ასე მითხრა, რომ ეს ჯაშუშურ ქმედებაზე მიუთითებდა. ახლა რომ ვფიქრობ, ვხვდები, რომ მაშინ ბევრი რამ არ ვიცოდი.

სანამ შეტყუპებული ხელებით ლოცვას დავიწყებდი, იქამდეც პატიოსნად ვცხოვრობდი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ზეცა თვალყურს მადევნებდა. ბოროტებას ვერ ვიტანდი და ადამიანის დაწყევლაც არ შემეძლო. მაინტერესებდა, ესენიც ცოდვად ითვლებოდა თუ არა.

ხანდახან ისე ხდებოდა, რომ რაიმე ნივთის შეძენისას ხურდას არასწორად მაძლევდნენ. ასი ვონი უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ ორასი მომცეს. ზედმეტს ყოველთვის ვაბრუნებდი. ჩრდილოკორეელებში ეს სისულელედ ითლებოდა, მაგრამ არ შემეძლო, რაიმე ცუდი ჩამედინა. ქმარი ყოველთვის მასწავლიდა, რომ სწორად მოვქცეულიყავი, თუმცა ძალიანაც რომ მდომოდა, ვერ შევძლებდი. ალბათ, თქვენთვის უჩვეულოა, როცა ცოლ-ქმარს ერთად სძინავს, საერთო ბავშვები ჰყავს, ერთად ლოცულობს შეტყუპებული ხელებით, მაგრამ მაინც არ საუბრობს გულიანად, სადაც ცოლი ქმარს ჰკითხავს: „რაზე ლაპარაკობ? შენი ნათქვამიდან ნახევარიც ვერ გავიგე.“ უნდა იცოდეთ, რომ ჩრდილოეთ კორეა ასეთი უჩვეულო ქვეყანა გახლავთ. ქმრები და ცოლები ძალზე ფრთხილად უნდა იყვნენ, როცა ერთმანეთს ელაპარაკებიან. წლები გადის, სანამ ერთმანეთს მიენდობიან რწმენის მსგავს სიღრმისეულ საკითხებზე სასაუბროდ.

ადამიანები მეკითხებოდნენ, ასე კარგად როგორ შევძელი ქმრის დახმარება და პატივისცემა ყველა იმ უცნაური რამეების შემდეგ, რაც მისგან მოვისმინე. მშობლებმა დიდი შრომა გასწიეს ჩემს აღზრდაზე. ქმარს არასოდეს ვებუზღუნებოდი მისი მეგობრების თვალწინ. ჭიქა წყალსა და ფინჯან ბრინჯსაც კი ვინაწილებდით, რომ სტუმრებს მეტი რგებოდათ და ჩვენი სახლი სათანადო მოპყრობის გარეშე არ დაეტოვებინათ. ყოველთვის მახარებდა მათი გამასპინძლება და წასვლის დროს რაიმეს გატანება. ამრიგად, ჩემი ქმრის მეგობრებს მოვწონდი.

და მაინც, ჩრდილოეთ კორეაში ადამიანმა დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, თუნდაც ძველ მეგობრებს ელაპარაკებოდეს. ამის საუკეთესო ილუსტრაცია გახლავთ ჩემი ქმრის დაჭერისა და ციხეში გაგზავნის ამბავი მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ

დღეს მეგობარს გასაჭირის დღეს დახმარების რჩევა მისცა. ის მეგობარი დაინტერესდა, როგორ ვახერხებდით, რომ ბედნიერი ცხოვრება გვქონოდა. მას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა თავის ცოლთან. როგორც ჩანდა, ამ კაცს ახალგაზრდობაში სხვა ქალი უყვარდა. ამრიგად, ცოლი სათანადოდ არ ექცეოდა და ამ ადამიანმა მოინდომა გაგება, როგორ ეცხოვრა ოჯახში კონფლიქტის გარეშე. ჩემმა ქმარმა უთხრა: „ერთმანეთთან ჩხუბის გარეშე იმიტომ ვცხოვრობთ, რომ ღმერთი ჩვენთან არის ამ წუთისოფელში“ და ათი მცნების შესახებ აუხსნა. ჩრდილოეთ კორეაში ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ წელიწადზე მეტი ციხის ცივ იატაკზე გაეტარებინა ისე, რომ ოფიციალური ბრალიც კი არ ჰქონოდა წაყენებული.

ვფიქრობ, ღმერთმა მაშინ იმიტომ დაუშვა ქმრის დაპატიმრება, რომ ჩემთვის ლოცვა ესწავლებინა. მან ციხეში წელიწადზე მეტი გაატარა. მისი ოჯახის არც ერთის წევრი არ მისულა პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტში მის სანახავად. ერთადერთი მე დავრბოდი ქმრის ამბის გასაგებად.

ამის მიზეზს ვერ ვხვდებოდი, ამიტომაც ერთხელ დედამთილს ვკითხე. მან მითხრა: „მას ადამიანური ძალით ვერ გადაარჩენ. აქ ადამიანის შეძლება უსარგებლოა.“ ჩემმა მულმაც იგივე გაიმეორა. პირველად მოხდა, რომ შეტყუპებული ხელებით ლოცვის იდეა ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მომივიდა თავში. ჩემს მულს ვუთხარი: „ასეთ შემთხვევაში ლოცვა გვმართებს.“

მეტისმეტად უცნაური იყო, რომ ლოცვის აუცილებლობაზე ვიცოდი. მე ხომ არც მისი თანმიმდევრობის ან პროცესის შესახებ გამეგებოდა რამე. არ ვიყავი კარგად გაწვრთნილი მორწმუნე. იმას კი ვხვდებოდი, რომ ლოცვა არ იყო ღვთისთვის თხოვნა, რომ რაიმე მოეცა. ვფიქრობ, ლოცვა არის გულის სიღრმიდან მომდინარე სურვილი, რომ ღმერთმა სავალალო მდგომარეობაში გამოსავალი მოგცეს. მაშინ ძილიც კი არ შემეძლო. ფეხზე ვიყავი და ვნაღვლობდი, რომ შეიძლებოდა ჩემი ქმარი დაეხვრიტათ და მისი შველის გზებს ვეძებდი. არ ვიცოდი, როგორ მელოცა, მაგრამ

გამუდმებით ვიმეორებდი: „ღმერთო, თუ არსებობ, დამეხმარე! გთხოვ, არ დაუშვა მისი სიკვდილი! გთხოვ, სახლში დააბრუნე!“

მან ციხეში წელიწადზე მეტი გაატარა ბრალის წაყენების გარეშე, თუმცა დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს. მიუხედავად ამისა, სახლში ცოცხალი დაბრუნდა! მისი გათავისუფლების შემდეგ დედამთილი გვეწვია. ახლა, როცა ჩემი ქმარი ყოფილი პატიმარი იყო, ჩვენთვის კიდევ უფრო რთული გახდა მასთან სტუმრობის ოფიციალური ნებართვის მიღება. ეს საფუძვლიან ეჭვს აღძრავდა. ამიტომ მადლიერება ვიგრძენი, როცა დედამისმა თავად გადაწყვიტა სტუმრობა. მისთვის ბევრი რამის გაზიარება მინდოდა და კიდევ უფრო მეტ კითხვაზე - პასუხის მიღება. დედამთილს ვუამბე, როგორ ვლოცულობდი გამუდმებით მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი დაიჭირეს. ვუთხარი, რომ მისი გათავისუფლების მიზეზად ჩემი ლოცვა მიმაჩნდა. ქმარმა და დედამთილმა ჩემს ნათქვამზე გაიცინეს, რადგან იმ დროს დიდად განსწავლული მორწმუნე არ გახლდით. მაინც ვფიქრობ, რომ ჩემი მხურვალე ლოცვების გამო ცოცხალი დარჩა და გაათავისუფლეს კიდეც. ღმერთი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ძალზე შესაბრალისი ვიყავი. პირველად ჩემმა მულმა დამიჯერა. შემდეგ ჩემი ქმარიც დაეთანხმა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე ხალხისთვის მეხარებინა.

დედამთილს სურდა, რომ ყველაფერი გამეგო ქრისტიანობის შესახებ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ამხელა მანძილის გამოვლა ჩვენს სანახავად. „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცები და მიწა...“ მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფი და ძალიან დაღლილი ვიყავი, ყველაფერი მახსოვს, რაც დედამთილისგან ვისწავლე. დასაძინებლად ღამის სამ საათზე ადრე არ მიშვებდა. მეც მეტად დაშურებული გახლდით და არც კი ვთვლემდი.

როცა წავიდა, ოცდაათი ათასი ვონი მომცა. ეს დიდი თანხა არ იყო, მაგრამ მითხრა, რომ ხელცარიელს ვერ დამტოვებდა. შემდეგ რაღაც ისეთი მომცა, რაც გაცილებით ძვირფასი იყო. მან მითხრა: „შენი მჯერა. მოგვიანებით ისევ დავბრუნდები.“ ასეთი სიტყვები დიდად ფასობს ჩრდილოეთ კორეაში.

მას არ შეეძლო წიგნების მთელ ჩრდილოეთ კორეაში ტარება, ამიტომ ყველა საგალობლისა და ჰიმნის დაზეპირება უხდებოდა, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ერთ კორეულ-ჩინურ ეკლესიაში სტუმრობისას შეესწავლა. თუმცა მან მაინც მოახერხა პატარა ბუკლეტის მოტანა. მასზე წარწერა იყო - მასალა ახალმოქცეული მორწმუნისთვის. წიგნის გარეკანზე გინგკოს ხე ეხატა. იესოც იქვე იყო და თორმეტი მოციქული კლდის მახლობლად ჩამომჯდარიყო. მან ეს ბუკლეტი საცვალში დამალა და მთელი ჩრდილოეთ კორეა გამოატარა, რომ ჩემთვის გადმოეცა.

მან ასევე მასწავლა, როგორ მემღერა ჰიმნები და სახარებისეული საგალობლები, რომელიც ზეპირად დაიმახსოვრა. გარდა ამისა, ამიხსნა მონანიებისა და ლოცვის რაობა. ამის შემდეგ ისეც ხდებოდა, რომ ჩინეთში მიდიოდა და ჩვენთან სწრაფად შემოივლიდა. ზოგჯერ მოსვლა არ შეეძლო, მაგრამ როგორც კი რამდენიმე ახალ ჰიმნსა და საგალობელს შეისწავლიდა, ადრე თუ გვიან გვესტუმრებოდა, რომ ჩემთვის ესწავლებინა. ის მართლაც დიდებული ქალი გახლდათ.

როცა დედამთილმა სახარება გამიზიარა, არ ვფიქრობ, რომ რწმენა მქონდა. თუმცა ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ვიღაც მიცავდა. ჩემი ცხოვრება საკმაოდ რთული გახლდათ, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ვიღაცაზე დაყრდნობა შემეძლო. ჩემი ქმრის დაპატიმრების შემდეგ არავინ მყავდა, ვისაც მივენდობოდი. მთელი ცხოვრება მეგონა, რომ ძალიან გონიერი და გამჭრიახი ვიყავი. შესაბამისად, ბევრი რამის მიღწევას შევძლებდი ლიდერობის მეშვეობით. ვფიქრობდი, რომ საამისოდ საკმაოდ კარგი გახლდით. ასეთი აზრები იმიტომ მომდიოდა თავში, რომ ღმერთს არ ვიცნობდი. მხოლოდ ჯუჩეს განათლება მივიღე. როცა სახარება მოვისმინე, დავინახე, რომ ყოველგვარი პატივი და ყველაფერი, რაც მიმიღია ღვთის ნიჭი ყოფილა. მის გარეშე არაფერი მიკეთებია და არც არაფრის კეთება შემეძლო.

ჩემს ქმარზეც იგივე ითქმოდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ვერაფრის კეთება ვერ შეძლო.

იქ გამუდმებით ჯდომას აიძულებდნენ და მთელი წლის განმავლობაში ფეხით არ გაუვლია.

ერთხელ ქირურგიული ოპერაცია გავიკეთე. როცა საოპერაციოში შემიყვანეს, დარწმუნებული ვიყავი, რომ არ მოვკვდებოდი. გამოხატვა არ შემეძლო, ასე რატომ ხდებოდა, მაგრამ საოპერაციოში გაბედულად შევაბიჯე. მეუღლემ მითხრა, რომ მაშინ ჩემთვის ბევრი ილოცა. მე ვუთხარი: „მეც გულიანად ვილოცე, რომ ოპერაცია წარმატებით დასრულებულიყო. თუ ღმერთი არსებობს, ჩემს სიკვდილს არ დაუშვებს.“ მას გაეცინა. როგორც მივხვდი, ჩემი რწმენა იზრდებოდა.

ერთ დღეს, დედამთილის ძმას ვესტუმრე. მისი ვაჟი უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ. მას ერთი ენციკლოპედიასავით სქელი წიგნი ჰქონდა, რომელშიც ღმერთზე იყო ინფორმაცია. იმ წიგნსა და დედამთილის ნასწავლებს შორის ძალზე მცირე სხვაობა იყო. მისგან გავიგე ადამისა და ჰავას შესახებ, რომელიც ევას სახელია კორეულად. წიგნი მას ევას უწოდებდა, ინგლისური ვერსიით. წიგნში ყველა სახის ინფორმაცია იყო მსოფლიო პოლიტიკაზე, ჩრდილოეთ კორეაზე, სამხრეთ კორეაზე. მასში მოცემული გახლდათ ზოგადი ცოდნა, თუ რომელი მდინარეა ყველაზე გრძელი ან მოკლე, რომელიც მთა არის უმაღლესი ან უდაბლესი, რამდენია ყოველთვიური ნალექის ოდენობა, პრეზიდენტების სახელები და მათი წარმომავლობა. წიგნი მოიცავდა ინფორმაციას ღვთის მიერ ცისა და მიწის შექმნასა და ათ მცნებაზე.

დედამთილის დამოწაფებისა და ამგვარი წიგნების მეშვეობით ბევრი რამ უფრო ნათლად გავიგე. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ახალმოქცეული ვიყავი, წიგნებს ვკითხულობდი და ყველა ჩემს ნიჭს ვიყენებდი დასამახსოვრებლად და შესასრუტად. მუხლები უკვე საკმაოდ ვიცოდი. იმდენს ვკითხულობდი, რომ ქმარს ეგონა, გავგიჟდებოდი.

დედამთილს ისე ხშირად სტუმრობა აღარ შეეძლო, ამიტომ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცოდი. გავიაზრე, რომ ჩრდილოეთ კორეის ეთიკური ნორმები ბიბლიაზე იყო დაფუძნებული. მათ

უბრალოდ გადაიღეს და დაამახინჯეს ბიბლიური სწავლება ყველაფრის შესახებ.

იმ დროიდან მოყოლებული ჩემმა ოჯახმა სამყაროს წინააღმდეგ კედელი აღმართა. აღარ ვესწრებოდით სავალდებულო დაბადების დღის ცერემონიას, სადაც მთელი ჩრდილოეთ კორეა კიმ ირ სენის ქანდაკებასთან ყვავილებს აწყობდა. ჰიმნებს ვგალობდით და საერო სიმღერებს არ ვასრულებდით. რა თქმა უნდა, სხვა ადამიანებს ამას არ ვასმენინებდით, მაგრამ ჩუმად ვმღეროდით დიდ მინდვრებში, როცა იქ არავინ იყო. ყოველ საღამოს კარებს ვკეტავდით და საუფლო ლოცვასა და მოციქულთა მრწამსს ვიმეორებდით. ჩვენი ოჯახის ცხოვრების ყველა სფეროში კიმ ირ სენის სწავლებას კი არა, ღვთის ათ მცნებას მივყვებოდით. არ ვიცოდით, როგორი ადგილი იყო ეკლესია ან როგორ მიმდინარეობდა ეკლესიური მსახურებები. და მაინც, ყოველ კვირას ვიკრიბებოდით, მოციქულთა მრწამსს ვსწავლობდით, სასულიერო ჰიმნებს ვმღეროდით, საუფლო ლოცვას წარმოვთქვამდით და ათი მცნების მიხედვით ვინანიებდით. თუ რაღაც ნაწილი ჩემთვის გაუგებარი აღმოჩნდებოდა, ქმარს ვეკითხებოდი. მან ყველაფრის პასუხი არ იცოდა, მაგრამ მთელი გულით ცდილობდა ბებია-ბაბუისგან ბავშვობაში ნასწავლი გაეხსენებინა. თავად ისიც ბევრი რამის მოწმე იყო და ცდილობდა, ჩემთვისაც ძალზე საინტერესოდ ეამბნა.

თუ რამე შეგვეშლებოდა, ვაღიარებდით. დედამთილმა მასწავლა, როგორ უნდა მელოცა მოსანანიებლად, მადლიერების გამოსახატავად და საკვებისთვის. ეკლესიიდან მიღებული მასალებით ლოცვაც ვისწავლე. ის მეტად მარტივი, ნათელი და დეტალური გახლდათ. მათგან ნასწავლი ჩვენი ცხოვრების წესად იქცა. ყოველ კვირას ასე ვიქცეოდით. არ ვიცოდით, თაყვანისცემა როგორ დაგვემთავრებინა, ამიტომ საუფლო ლოცვას წარმოვთქვამდით და რამდენიმე ჰიმნით ვასრულებდით. გალობას ერთი პიროვნება უძღვებოდა, დანარჩენი ოჯახის წევრები კი მას მივყვებოდით.

როცადედამთილიგვეწვეოდა,საჭმლისთვისაცვლოცულობდით. ლოცვა ასეთი იყო: „ღმერთო, მადლობას გიძღვნით ყოველდღიური პურისთვის. მადლობას გიხდით, უფალო და გთხოვთ, წაგვიძღვე, რომ არ შევცოდოთ.“ შვილებიც დავიმოწაფეთ, რომ ასე ელოცათ. ისიც ვასწავლე, რომ ღვთის წინაშე ელოცათ ყველაფრისთვის, რაც გონებაში მოუვიდოდათ და რასაც გულით ეძებდნენ. მე და ჩემი ქმარიც ასე ვლოცულობდით. ამგვარ ლოცვაში დაგვათენდა კიდეც. დარწმუნებული არ ვარ, ლოცვის დამსახურება იყო თუ არა, მაგრამ ჩვენი ცხოვრება საკმაოდ სტაბილური გახლდათ სხვებთან შედარებით. ნება მომეცით, გითხრათ, როგორ ვდებდით მეათედს. ჩრდილოეთ კორეაში ეკლესიები არ არსებობს. იქ არ იყო ადგილი ან პასტორი, რომ ჩვენი მეათედი შეგვეწირა. და მაინც, ჩემმა დედამთილმა ყურადღება გაგვამახვილებინა შეწირვის მნიშვნელობაზე. მართალია, არ ვიცოდით ვისთვის მიგვეცა მეათედი, მაგრამ ყოველთვის გადავდებდით ხოლმე და სხვების დასახმარებლად ვიყენებდით. როცა გაჭირვებულ ადამიანს წამლის ან მკურნალობის ფული არ ჰქონდა, მასზე ვზრუნავდით. მაშინაც კი ვაძლევდით წამლებს, როცა თავად ვზარალდებოდით. მშივრებისთვის ბრინჯს ვყიდულობდით და უკან დაბრუნებას მოგვიანებით ვთხოვდით. ზედმეტ ტანსაცმელს სხვებს ვაძლევდით. როცა სურსათს ვყიდულობდით, მოხუცებს და შვილებიან დედებს ხურდას არ ვართმევდით. როცა სასწორზე გვიწონიდნენ, არ ვამოწმებდით და უბრალოდ, ვენდობოდით. კითხვებს არ ვუსვამდით.

ამ ყველაფერს მეათედად ვთვლიდით. ამას „მახარებლობას“ ვეძახდით, მაგრამ სიტყვას ხმამაღლა არ წარმოვთქვამდით. როცა და-ძმებს ვსტუმრობდით, ბედნიერები იქნებოდნენ, თუ რაიმეს მივუტანდით. ჩვენთვის არ გვქონდა საკმარისი, მაგრამ მათთვის ყოველთვის ვინახავდით რაიმეს. ზოგჯერ წამალს ვაძლევდით ან ვუმასპინძლდებოდით.

ჩვენთვის ასევე აკრძალული იყო ყოველგვარი ფორმის კერპთაყვანისმცემლობა. ჩემი დედამთილი ვერ იტანდა, როცა ქრისტიანები შამანებს სტუმრობდნენ ან მკვდრების

ქანდაკებებს ეთაყვანებოდნენ. მან თქვა, რომ ასეთი რამეები არ უნდა გვეკეთებინა. ჩვენც არ ვაკეთებდით.

თავდაპირველად, როცა და-ძმებისთვის სახარების მიტანა დავიწყეთ, გვეუბნებოდნენ, ხომ არ გაგიჟდითო. ზოგიერთმა მათგანმა სწრაფად ირწმუნა, სხვებმა - არა. მათთვის ჩვენი ნათქვამი სიცრუე იყო. მოგვიანებით, როცა თავიანთი ცხოვრება ჩვენსას შეადარეს, გააცნობიერეს, რომ მართლები ვიყავით. მიხვდნენ, რომ ურწმუნოება იყო ჩრდილოეთ კორეის სიღარიბის მიზეზი, რაც არ უნდა ეცადა კიმ ჩენ ირს, რომ ქვეყანა აეყვავებინა. სანამ კორეას დავტოვებდით, მათ ასე ვასწავლიდით: ღმერთი არსებობს, ღმერთი კიმ ჩენ ირზე დიდია, კიმ ჩენ ირს თაყვანი არ უნდა ვცეთ, მხოლოდ ღმერთს უნდა მივენდოთ რთულ პერიოდებში, არ უნდა შევცოდოთ, ღმერთს უნდა ვმადლობდეთ საკვებისა და სამოსისთვის, მოყვასისთვის უნდა ვიცხოვროთ და ასე შემდეგ. ნებისმიერ ადამიანთან ვერ მივიტანთ სახარებას, მაგრამ ოჯახის ფარგლებში ყველას უნდა ვახაროთ.

ისინი ხშირად გვიერთდებოდნენ, როცა ჭამის წინ ვლოცულობდით. ისინი მთავრობაში არ გვასმენდნენ, რადგან ოჯახის წევრები იყვნენ. ჩვენ კი მათ ჭამის უფლებას არ ვაძლევდით ლოცვის გარეშე. სხვებს ამას ვერ ვეტყოდით, მაგრამ ჩენი ოჯახი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კიმ ირ სენისა და კიმ ჩენ ირის გაღმერთება კერპთაყვანისცემა იყო. მათ ასე ვუთხარით: „ჩვენთან ყოფნისას სხვა ღმერთებს ნუ იყოლიებთ! მხოლოდ ერთადერთ ღმერთს დაემორჩილეთ! მის გარდა წმიდა არავინ არის. სხვებს ნუ მოუსმენთ!“ მათ ვახარებდით, თუმცა ხეირიანად არ ვიცოდით, ეს როგორ გაგვეკეთებინა.

საბოლოოდ, ჩვენმა ოჯახმა ჩრდილოეთ კორეიდან თავის დაღწევა გადაწყვიტა ჩემი ქმრის გამო. სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოების დეპარტამენტი მის თვალთვალს განაგრძობდა. ჩვენი დაჭერა ადვილი იყო, რადგან გამუდმებით გვაკვირდებოდნენ.

რელიგიურ კრიმინალებს კოჭავდნენ და საკონცენტრაციო ბანაკებში მიჰყავდათ. გარდა ამისა, შვილები გვყავდა. მათ

სახლში ქრისტიანებად ვზრდიდით და ვღელავდით, რომ სახლის გარეთ რაიმე შეცდომას დაუშვებდნენ. ისინი ძალიან გულწრფელები იყვნენ. ამიტომ ჩვენი ბავშვების მომავლის გამო ჩრდილოეთ კორეიდან გაქცევა გადავწყვიტეთ.

ძალიან ძნელი იყო წასვლაზე ფიქრი. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჩვენი ძმებისა და დების, დედებისა და მამების, ბებიებისა და ბაბუების მიწა გახლდათ. რაც შეეხება ერთგულების საკითხს, უფალმა ის მომცა, რასაც ჩემი მიწიერი მშობლები ვერასოდეს მომცემდნენ. მათგან მივიღე სიყვარულის ყოველი წვეთი და ძალისხმევა, რის გაღებაც შეეძლოთ და რაც ზურგსუკან არასოდეს მოუტოვებიათ. თუმცა ახლა უფლისადმი მადლიერების გრძნობით ვცხოვრობდი, რომელიც ყოველთვის ჩვენთან იყო, ყოველთვის თვალყურს გვადევნებდა და მიგვიძღოდა.

როცა ავისმომასწავებელ მთებს გავყურებდი, რომლებზეც კაციშვილს ფეხი არ დაედგა, მაგრამ მოკლე ხანში მე და ჩემი შვილები მის ბილიკებს გავუყვებოდით, რომლებიც თვეებით ადრე ჩემმა ქმარმა გაკვალა სამშობლო, როცა მიწა მიატოვა, გულში მხოლოდ ერთი მუხლი მიტრიალებდა (ეს. 41:10): „ნუ გეშინია, რადგან შენთან ვარ, ნუ ფრთხი, რადგან შენი ღმერთი ვარ; განგამტკიცებ, შეგეწევი და მხარს დაგიჭერ ჩემი სამართლის მარჯვენით.“

ეს ის საჩუქარია, რომლის მოცემა არც ერთ მიწიერ მშობელს არ შეუძლია.

5. ოჯახი

იმანუელი

ბატონი ბეის მონათხრობი

2009 წლის გვიანი ნოემბრის ერთ დღეს მე, ჩემი ქალიშვილი და ვაჟი ჩრდილოეთ კორეის სახლის წინკარიდან გამოვედით და უკან არასოდეს დავბრუნებულვართ. მაშინვე მთებს მივაშურეთ. ასე იმიტომ მოვიქეცით, რომ მთავრობისგან მოგზაურობის ნებართვა არ მიგვიღია, რაც საშუალებას მოგვცემდა, ჩრდილოეთ კორეის ქალაქებში ღიად შევსულიყავით ჩვენი მარშრუტის გზაზე ან ჩინეთი ლეგალურად მოგვენახულებინა. ჩრდილოეთ კორეის ნებისმიერ მკვიდრს გადასაადგილებლად მოგზაურობის ნებართვა სჭირდებოდა. ეს გახლდათ საერთაშორისო პასპორტის მსგავსი დოკუმენტი, რომელსაც ოფიციალური ბეჭედი ერტყა. მის მიღებას თვეები ელოდნენ, ასი დოლარი და მეტიც ღირდა ერთ პიროვნებაზე და სრული დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ ახლახან ციხეში მყოფი ადამიანის ცოლსა და შვილებზე არაფრით არ გასცემდნენ. ამრიგად, ყველანი მთებისკენ გავეშურეთ.

ჩემი ქმარი რამდენიმე თვით ადრე წავიდა, რომ საუკეთესო მიმართულება მოენახა და ჩვენთვის გზა მოემზადებინა. მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში აუცილებელი და ხანმოკლე მობილური ზარებით მიგვიძღოდა იმ რამდენიმე ადგილისკენ, სადაც მიგვიღებდნენ და უსაფრთხოდაც ვიქნებოდით. რა თქმა უნდა, უცნობი მთების, ქალაქებისა და საკონტროლო-გამშვები პუნქტების გავლით გზის გაკვლევა ძნელი იყო, როცა ტელეფონზე ნაჩქარევად გადმოცემული მითითებების იმედად ვიყავით. ჩვენი ნავიგატორი ღმერთი უნდა ყოფილიყო.

ყოველდღე მთელი დღის განმავლობაში მივდიოდით. ერთ დღეს ჩრდილოეთ კორეის ერთ ქალაქში შევედით, სადაც ნაკლებად იცავდნენ უსაფრთხოების ზომებს. იქ მანქანის დაქირავებაც შევძელით, რომ რამდენიმე საათი ნებართვის ჩვენების გარეშე გვემგზავრა. სხვა დღეს ერთ სოფელში აღმოვჩნდით სხვა მთაგრეხილის ძირას. რომელიღაც სახლში შევედით და ვუთხარით, რომ ამა და ამ საზღვრისპირა ქალაქში მივდიოდით დედამთილის მოსანახულებლად, მაგრამ გზაში ნებართვები დავკარგეთ. მათ თავაზიანად მიგვასწავლეს რკინიგზის სადგურის ადგილმდებარეობა. როგორც ჩრდილოეთ კორეისთვის დამახასიათებელია, მატარებელს ათი დღე ველოდეთ და მაშინაც კი, წინ დიდად ვერ წავიწიეთ.

და მაინც, ასეთი დღეები იშვიათად გვხვდებოდა. მეტწილად ფეხით მივდიოდით ან ვინმეს წაყვანას ვთხოვდით, რადგან ჩრდილოეთ კორეის 70 % მთებისგან შედგება და მცველებად დგანან იმ პატარა გასასვლელებში, რომლებიც ქვეყნის პატრულების, პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურის აგენტების მიერ არის დატოვებული.

უკან რომ ვიხედები, წარმოუდგენლად მეჩვენება, როგორ გადავრჩით. ისევ მიკვირს, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი. მთაში ტყეები ისეთი დაბურული და გაუვალი იყო, რომ ხშირად ცასაც ვერ ვხედავდით. ნელი და მტკივნეული ნაბიჯებით იმაზე უფრო ხშირად მივიწევდით მკერდამდე ცივ ნამქერებში, ვიდრე თქვენ (და დღეს უკვე მეც) წარმოგიდგენიათ. სხვა გამოსავალი არ გვქონდა, რადგან სხვა გზა არ არსებობდა – მათი გავლით უნდა გვეარა.

ჩემი ქმარი თან არ გვახლდა და არავინ იყო, ვისაც მე და ჩემი შვილები გასაჭირის დროს საშველად მოვუხმობდით, გარდა ღვთისა. დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი გვერდიდან არ გვშორდებოდა ამ უსასრულო დღეების განმავლობაში და ისევე რეალურად მოდიოდა, როგორც მე და ჩემი შვილები. ბიბლიაში ესაია წინასწარმეტყველმა შეჰყვირა: „იმანუელ!“ – ჩვენთან არს ღმერთი – და ღმერთი მართლაც ჩვენთან იყო და ჩვენთან ერთად

მოაბიჯებდა, თუმცა თითქმის ვერასდროს ვცნობდით, როგორც ქრისტე ვერ იცნეს ემაუსის გზაზე.

და მაინც, ჩვენ იმაზე მეტი მანძილი გავიარეთ, ვიდრე ემაუსამდე იყო და თან უფრო ძვირიც დაგვიჯდა. სანამ დღის სინათლე მიინავლებოდა, უახლოეს სოფელში ჩავდიოდით და ჩვენი აზრით, შედარებით უსაფრთხო სახლში ვრჩებოდით გარკვეული საზღაურის ფასად. სახლის პატრონს დახმარებას ვთხოვდით და ვეუბნებოდით, რომ დედამთილთან სტუმრად მივდიოდით, რომელიც საზღვართან ახლოს ცხოვრობდა, მაგრამ გზა აგვებნა, რაც გარკვეულწილად მართალიც იყო. ყოველ ასეთ ადგილას ღმერთი რომელიღაც ადამიანს ან ოჯახს გვახვედრებდა. ისინი ღამეს გვათევინებდნენ დოლარის საფასურად, რაც თავისთავად ყოველდღიურ სასწაულად გვეჩვენებოდა იმის გათვალისწინებით, თუ რა საშიში იყო ჩრდილოეთ კორეაში უცნობი ადამიანების სახლში შემოშვება.

არც ერთ ოჯახს არ ჰქონდა საკმარისი ფული, ხოლო ერთი დოლარით კილოგრამი ბრინჯის ყიდვა შეიძლებოდა, რაც ოჯახს ერთი დღე ეყოფოდა. ზოგჯერ ისინი თავად გვიმასპინძლდებოდნენ და იმაზე მეტ საჭმელს გვთავაზობდნენ, რის ჭამაც შეგვეძლო. ჩრდილოკორეელები ყოველთვის ახლოს ვართ შიმშილობასთან, მაგრამ დიდი უმრავლესობა მაინც ცდილობს ადამიანობის შენარჩუნებას და მზრუნველობისა და სტუმართმოყვარეობის გამოჩენას ნებისმიერ ფასად. ისინი ახალგაზრდობაში ნასწავლი ტრადიციების დაცვას ესწრაფვიან.

კარგი იყო, რომ ყველა ოჯახი ასეთი სტუმართმოყვარე გახლდათ, რადგან მაქსიმალური კვება გვჭირდებოდა, რის საშუალებასაც მოგვცემდნენ. იმ დროისთვის ჩემი გოგონა ორსულად იყო და როგორც კორეიდან ლტოლვილობისას ხდება, ქმრის დატოვება მოუხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმარს მთელი თავისი ოჯახიც უნდა წამოეყვანა, ხოლო ჩემი ჯანმრთელობა, მოგეხსენებათ, გამუდმებულ ტანჯვას მაყენებდა. რაც შეეხება ვაჟებს, ჩრდილოკორეელი ბიჭები სხვებისგან არაფრით განსხვავდებიან და ჭამა მათაც მუდამ სჭირდებათ.

ყოველ განთიადს მასპინძლებთან გამოთხოვება მოჰქონდა და კიდევ ერთი ძალ-ღონის გამომცლელი სიარული, მთებში ხეტიალი და მალვა იწყებოდა. მერვე დღეს მეცამეტე გამშვები პუნქტი გავიარეთ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით საზღვარს, ისინი უფრო მრავლდებოდა. თან მხოლოდ რამდენიმე ხელი გამოსაცვლელი ტანსაცმელი და ყველაზე საჭირო ნივთები გვქონდა, რაც საკმაოდ საეჭვო შეხედულებას გვაძლევდა. როცა ვინმე შეგვეკითხებოდა, თუ სად მივდიოდით, ვეუბნებოდით, რომ საზღვრის მახლობლად მცხოვრებ ქმრის მშობლებთან მივდიოდით. გავლილი საკონტროლო პუნქტების რაოდენობის მიუხედავად, არავის შევუმჩნევივართ და არც ჩვენი დოკუმენტები მოუთხოვიათ. იმანუელ.

დღის განმავლობაში ხშირად ვაჩერებდი ადამიანებს სწორი მიმართულების გასარკვევად. ღმერთი ყოველთვის ისე აწყობდა, რომ ისინი ზუსტად ჩვენი გზით მიდიოდნენ ხოლმე.

უდიდესი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ საზღვრის მიახლოებასთან ერთად მოგზაურობისგან გადაღლილობა უფრო მეტად გვეტყობოდა. ყოველთვის, როცა საგუშაგო პოსტი გამოჩნდებოდა, გამოკითხვის თავიდან ასაცილებლად ისე უნდა მოვქცეულიყავით, თითქოს ნათესავების მონახულება ძალიან გვაბეზრებდა და სიხარულით ვაჩვენებდით მგზავრობის ნებართვას, თუ გაგვაჩერებდნენ და მოგვთხოვდნენ. არ უნდა გვეჩვენებინა, რომ გადაქანცული მოხეტიალეები ვიყავით, რომლებმაც მკერდამდე თოვლიან ნამქერებში გაჭირვებით იარეს ხელისუფლების წარმომადგენლების გაწვრთნილი მზერისა და დეზერტირების ამოცნობის ინტუიციისგან დასამალად.

და მაინც, ღმერთს ყოველთვის ჰყავდა ვიღაც ჩვენს გასამხნევებლად და მზრუნველობის გასაწევად, როცა ყოველგვარი იმედი გვეწურებოდა. მისი მადლით ღვთის სიყვარულის გზაზე გავრცელებაც კი შევძელით. ერთხელ საშუალო ასაკის ქალის სახლში გავჩერდით, რომელსაც კუჭის პრობლემის გამო აუტანელი ტკივილები აწუხებდა. თან მქონდა ექიმის გამოწერილი მედიკამენტები, რომელსაც საკუთარი ავადმყოფობის

შესამსუბუქებლად ვსვამდი. ცოტა მასაც გავუნაწილე. წამლის დალევისთანავე მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა. მედიკამენტების მთელი მარაგი შევთავაზე და სამი დოლარის ეკვივალენტი ფული, თუ წამოგვყვებოდა და დაგვეხმარებოდა. ამის გაკეთებას ორი დღე დასჭირდებოდა. რასაკვირველია, მისთვის სარისკო იყო უცნობებთან ერთად ჩრდილოეთ კორეაში მგზავრობა, თანაც მოგზაურობის ნებართვის გარეშე. მისი თანხლება ნამდვილად მსხვერპლის გაღების ტოლფასი გახლდათ, განსაკუთრებით ავადმყოფობის ფონზე. მას ჩემი დის ნომერი მივეცი და დავარწმუნე, დაერეკა, თუ კიდევ გახდებოდა ავად. მართალია, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძოდით, მაგრამ ამავდროულად, ქრისტიანებიც გახლდით.

საშუალო ასაკის ქალის სახლში ჩვენი ძილი უშფოთველი და ღრმა იყო. ახლა რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, ღვთის უჩინარი ხელი ნაზად გვარწევდა თითოეულ ჩვენგანს. ღმერთმა იცოდა, რომ ქალს წამალი სჭირდებოდა და ის შეგვახვედრა, რომ სხვაგან არ დავრჩენილიყავით. ჩემს ფეხმძიმე გოგონასაც არ აწყენდა მოსვენება, ამიტომ ჩვენს გზაზე ის ქალი გამოჩნდა. ალბათ, მე ყველაზე მეტად მჭირდებოდა დასვენება, რომ აზრები მომეკრიბა ჩვენს წინ არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად: რაც უფრო ახლოს ვიყავით საზღვართან, მით უფრო მეტად იცვლებოდა სალაპარაკო დიალექტი და სხვისთვის დახმარების თხოვნა რთული და სარისკო ხდებოდა. ჯაშუშები და მცველები აქ უხვად იყვნენ.

ამ რეგიონში ხალხის გადასაყვანად სატვირთო მანქანებს იყენებდნენ და არა ავტობუსებს. სამწუხაროდ, შუა ხნის ასაკის ქალს აღარ შეეძლო ჩვენი თანხლება მგზავრობის ნებართვის გარეშე. ისევ საკუთარი თავის ანაბარა დავრჩით. არც ეს ტერიტორია ვიცოდით და აქცენტიც გვამხელდა, როგორც უცხოებს, რომლებიც მეტისმეტად შორს წამოვიდნენ თავიანთი სახლიდან.

პირველივე გამშვებ პუნქტთან სატვირთოს შესამოწმებლად მცველი მოგვიახლოვდა. ყველამ სუნთქვა შევიკარით და

შევეცადეთ, უზრუნველი გამომეტყველება მიგვეღო. ჩვენს გასაკვირად და შვების მოსაგვრელად, მცველმა ზერელე გადმოხედვის შემდეგ ხელი გაიქნია. მეორე პოსტთან, რომელიც სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული, სატვირთოდან ყველაფრის გადმოცლა. მოგვთხოვეს და გულდასმით შეამოწმეს. გული გამალებით გვიცემდა. ალბათ, ეს ადვილი შესამჩნევი იყო, რადგან ერთმა მოხუცმა ქალმა ჩემდა სანუგეშოდ გადმომიჩურჩლა, რომ მცველები სპილენძს ეძებდნენ და თუ ვერავის უპოვიდნენ, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. სპილენძი ჩინეთში ძვირად ფასობს, ისევე როგორც ვოლფრამი. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ჩრდილოეთ კორეის მთავრობა სატვირთოებსა და მგზავრებს გულმოდგინედ ამოწმებს ქვეყნიდან ამ ძვირფასი ლითონის გატანის აღსაკვეთად. საბედნიეროდ, სატვირთოს მგზავრთაგან სპილენძი არავის აღმოაჩნდა და მცველებმა ბოლოს წასვლის ნიშნად ხელი გაგვიქნიეს.

როგორც იქნა, იმ სოფელს მივაღწიეთ, სადაც ჩემი დედამთილი ცხოვრობდა. ალბათ, გახსოვთ, რომ უფალთან მან მომიყვანა და ჩვენზე ყოველმხრივ ზრუნავდა, როცა სტუმრად მოდიოდა. ის ერთადერთი გახლდათ, ვინც ბევრი რამ მასწავლა ჩვენი სამზარეულოს მაგიდასთან მრავალი ღამის განმავლობაში. შესაძლოა, ფიქრობთ, რომ დადგა ჟამი, როცა სახლის წინა კარი ფართოდ გაიღებოდა და თბილი, გულითადი შეხვედრით გავიხარებდით. იქნებოდა ბევრი ცრემლი და ლოცვა, ყოველ შემთხვევაში, თბილი ლოგინი და დიდი საოჯახო ვახშამი მაინც. არ დაივიწყოთ, სად ვიყავით და რა მოხდა სულ ახლახანს: ჩემი ქმარი ჩრდილოეთ კორეიდან გაიქცა და ახლა სახელმწიფოს მტრად ითვლებოდა. სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები მისი მშობლების სახლს ახლა გამუდმებით უთვალთვალებდნენ. დასახლების ირგვლივ მიწა ყინულივით მყარი იყო. ჩემი დედამთილის სახლშიც კი ყინავდა, ხოლო ჩვენ ემოციურად გაყინული ვიყავით – ჩვენ, ვისაც ერთმანეთისთვის იმდენი ცრემლი, გაკვეთილი და ლოცვა გაგვიზიარებია, მცირეოდენ

საუბარზე მეტი ვერ შევძელით. კარგად გვესმოდა, რომ ვიღაც უეჭველად გვითვალთვალებდა, გვისმენდა და ზემდგომებს ყველაფრის ანგარიშს აბარებდა.

ჩვენი შეხვედრა მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა. დავნაღვლიანდი, რომ ერთმანეთს უნდა დავმშვიდობებოდით; რომ შინაარსიანი და გულითადი საუბრით გახარების საშუალება არ იყო. დამაკლდა მისი ბოლო ლოცვა, გამხნევება და მითითებები ზეცის ამ მხარეს. და მაინც, სრულად ვაცნობიერებდი, რატომ არ შეიძლებოდა უფრო მეტხანს დარჩენა ან მეტის თქმა. ახლა ტირილის, ზეიმის ან ეჭვის აღძვრის დრო აღარ იყო. ზოგჯერ ადამიანისთვის თვალებში ჩახედვაც კი საკმარისია.

სწორედ ასე აღმოვჩნდით მე და ჩემი შვილები რკინიგზის სადგურის წინ და სასოწარკვეთით ვცდილობდით, როგორმე გავმთბარიყავით. იქ ერთი საათით დგომაც კი ეჭვს აღუძრავდა აგენტებს, ამიტომ ძალიან მალე სხვა არჩევანი არ მქონდა იმის გარდა, რომ კბილებაკაწკაწებული შვილები უკან წამომეყვანა. თან ჩემი გონება გამალებით ეძებდა გამოსავალს, თუ სად უნდა გაგვეთია ღამე.

ამაზე ზრუნვა არ მჭირდებოდა, რადგან ღმერთი ჩვენთან იყო და არანაირი პრობლემა არ ჰქონდა ჩვენს კიდევ ერთხელ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ერთ ქალს გადავაწყდით, რომელიც იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა, რომ გვაჩვენა, სად შეიძლებოდა დარჩენა. ეს მამაკაცის სახლი გამოდგა, რომლის კედელზე კიმ ირ სენის განსაკუთრებული პორტრეტი ეკიდა. თავი ცოტა უჩვეულოდ ვიგრძენი, რომ გაპარვას სწორედ დიდი ლიდერის მზერის თანხლებით ვაპირებდი, რომლის შესახებ ამდენს, ასე ერთგულად და ასე დიდხანს ვასწავლიდი.

აღმოჩნდა, რომ მასპინძლის ცოლიც გაპარულა სამხრეთ კორეაში. კაცი დაჟინებით იმეორებდა, რომ ურთიერთობაში პრობლემა არ ჰქონიათ, უბრალოდ, ქალი ფულის საშოვნელად წავიდა. ის ცოლის დაბრუნებას ელოდებოდა, მისი ხმის გაგონება სურდა და მეტად აღარ დაქორწინებულა. ვინაიდან მარტო ცხოვრობდა და ფული სჭირდებოდა, ხალხს მის სახლში

დარჩენის უფლებას აძლევდა. მან რაღაც ფაფა გაგვიკეთა, რადგან მოსახარში ბრინჯი აღარ ჰქონდა. ამან დიდად არ გამახარა, რადგან ფული გადავუხადეთ და შეეძლო, ეყიდა. მან თქვა, რომ ჩრდილოეთ კორეაში დარჩენა და კარგად ცხოვრება სურდა.

უნდა ითქვას, რომ კარგ ცხოვრებაზე ჩემი შეხედულება სრულიად განსხვავებული იყო და არ გულისხმობდა კიმ ირ სენის ღვთისდარი პორტრეტების კედელზე გამოფენას. მიუხედავად იმისა, რომ კაცმა უფრო მეტ ხანს დარჩენა შემოგვთავაზა, ვიცოდით, რომ წინსვლა უნდა გაგვეგრძელებინა არასასურველი ყურადღების თავიდან ასაცილებლად.

ღამის გასათევის კლებადი ვარიანტების პრობლემის გარდა კიდევ ერთი საზრუნავი გაგვიჩნდა: ჯიბეში ფული თანდათან იკლებდა. მართალია საზღვარს მივაღწიეთ, მაგრამ მდინარეზე გადასასვლელი თანხა არ გვქონდა, რითაც ჩინეთში უნდა გადავსულიყავით. არც იმ ფულის შოვნის იმედი არსებობდა, რომლითაც ჩინეთი უნდა გადაგვესერა რომელიმე მესამე ქვეყნამდე, სადაც კორეის საელჩოს ჩავბარდებოდით და მათი დახმარებით სამხრეთ კორეამდე ჩავიდოდით (ჩინეთში მდებარე სამხრეთ კორეის საელჩო ჩრდილოკორეელებს ჩინეთის მთავრობის შიშით არ იღებდა).

მდგომარეობის კიდევ უფრო გასართულებლად აღმოვაჩინეთ, რომ საზღვართან ღამის გასათევი წარმოუდგენლად ძვირი იყო. ბრინჯი, რომელიც ჩვენს მშობლიურ ქალაქში ორი ათასი ვონი ღირდა, აქ სამასი ათას ვონად იყიდებოდა, რაც ას ამერიკულ დოლარს აღემატებოდა! ის მცირე ვალუტა, რაც შემორჩენილი გვქონდა, ჩინურ იუანში გადავცვალეთ, ჩემი ვაჟის ტანსაცმლის ნაკერებში ჩავმალეთ და ზემოდან საკერებელი დავადეთ, რომ არავის აღმოეჩინა.

მე და ჩემმა ქალიშვილმა ავადმყოფების მოვლა დავიწყეთ, რომ ცოტა ფული გვეშოვა. თითოეული პაციენტიდან დოლარზე ცოტა ნაკლები მივიღეთ, რაც არა მარტო საზღვრის გადალახვისთვის არ კმაროდა, არამედ საკვებსა და თავშესაფარზეც არ გვყოფნიდა, რომ სამივენი ცოცხლები დავრჩენილიყავით. მივხვდი, რომ

მდინარე დაცვის ან დახმარებისთვის ფულის გადახდის გარეშე უნდა გადაგვეცურა. ეს გაქცევის უკიდურესად რადიკალური ფორმა გახლდათ, რასაც შეიძლება ლტოლვილთა დაჭერა ან დახვრეტა მოჰყოლოდა.

რამდენიმე დღე მდინარის ნაპირს მივუყვებოდით და გადასასვლელად შესაფერის ადგილს ვეძებდით. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ საუკეთესო მონაკვეთები, სადაც პოლიციის პოსტები ნაკლებად შეგვხვდებოდა, ყველაზე საშიში გახლდათ და ბუნებრივ ბარიერს თავად ქმნიდა.

ბოლოს, გადასასვლელი ადგილი შევარჩიეთ. ამ გადაწყვეტილებამ მეტისმეტად შემაფიქრიანა, რადგან ჩემი ქალიშვილი ფეხმძიმედ იყო. მდინარის გადასალახად ჯერ 3.5 მეტრის სიმაღლის კლდიდან დაბლა უნდა ჩავსულიყავით. ქალიშვილმა ჩემი მღელვარება შენიშნა და დამარწმუნა, რომ ღმერთს უნდა მივნდობოდი. რჩევის მიღება უფრო ადვილად შევძელი, როცა მახლობლად თოკი ვიპოვეთ - ეს ნამდვილად ღმერთმა გაითვალისწინა. ჩემი ვაჟი პირველი გადახტა. შემდეგ მე გადავხტი. ჩემი გოგონა სრულიად უშიშრად ჩამოცოცდა ძირს და ჩვენთან ერთად გადაეშვა ამ გიჟურ რბოლაში.

იმ მონაკვეთზე მდინარის სიგანე 150 მეტრს აღწევდა. გაცურვის გარდა სხვა გზა არ გვქონდა და თან ეს ისე სწრაფად უნდა მოგვეხერხებინა, რამდენადაც შესაძლებელი იყო გამყინავ ცივ წყალში. ამას შეეძლო ჩემი ქალიშვილის ფეხმძიმობაზეც ემოქმედა. ბოლოს ჩრდილოეთ კორეიდან ქალაქში მცხოვრები ხალხის ხმები გავიგონე: „დაიჭირეთ! დაიჭირეთ!“ შესაძლოა, ღმერთს მდინარე ჩვენთან ერთად არ გადმოუცურავს, მაგრამ ჩვენს მდევნელებს კი შეუშალა ხელი, სანამ მეორე მხარეს მშვიდობიანად არ გადავედით. ეს მართლაც გამოსვლა იყო.

როგორ შეიძლება დაგვავიწყდეს მზერა, რომელიც მიწას მოვავლეთ ჩრილოეთ კორეის ფარგლებს გარეთ? ჩინეთში საშობაო ნათება შემოგვეგება. შობა - კინაღამ დამავიწყდა! იმანუელის შობა; ჩვენთან არს ღმერთი: ის ნამდვილად ჩვენთან იყო.

და მაინც, აქ შეჩერების, დგომის, ფიქრის ან მისთვის მადლობის გადახდის დროც კი არ გვქონდა, რადგან მცველები მდინარის ორივე ნაპირიდან მოიწევდნენ.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელი იყო, თვალში არ გვცემოდა დიდი სხვაობა ჩინეთის მხარეს ლამპიონების სიმრავლესა და ჩრდილოეთ კორეის წყვდიადს შორის. იმ შორეულ ნაპირს მიღმა მცხოვრებ ადამიანებს შობაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ და რასაკვირველია, არც ღმერთს იცნობდნენ, რომელიც იმანუელი გახლავთ.

როცა მეორე ნაპირს მივაღწიეთ და თან წამოღებული ნივთები მოვაგროვეთ, იმ საკონტაქტო პირს დავურეკეთ, რომლის ნომერი ქმრისგან მივიღეთ. იმ ადამიანმა ერთ სახლში მიგვიყვანა. მეპატრონემ სუფთა ტანსაცმელი მოგვცა და გვითხრა, რომ ჯიბიდან ყველაფერი ამოგვეღო. ამის მიზეზი შემდეგი გახლდათ: თუ ქაღალდის ნაგლეჯს გიპოვიდნენ ჩრდილოკორეული ნაწერით, მაშინვე ჩინეთში არალეგალურად გადმოსულ ლტოლვილად მიგიჩნევდნენ. სწორედ ამიტომ გვჭირდებოდა ახალი ტანსაცმელი, რომ უფრო ჩინელი კორეელების გარეგნობა გვქონოდა, ვიდრე გამოქცეული ჩრდილოკორეელებისა. როგორც მივხვდი, არანაირი ახსნა-განმარტება საჭირო არ იყო. ძალიან გვახარებდა ჩინურ თბილ სახლში მშრალი ტანსაცმელებით ყოფნა. ჯიბეში სამოცი ცენტის ეკვივალენტური თანხა გვქონდა, რომელიც სულ მათ მივეცით, თუმცა ჩემი ვაჟის ტანსაცმელში ჩაკერებულ ფულზე არაფერი გვითქვამს.

სანამ ქალაქისკენ გავემართებოდით, დახმარების მოსურნე წინამძღოლებს საფუძვლიანად უნდა დავეკითხეთ ჩვენ და სხვა ჩრდილოკორეელი გამოქცეულები, რომლებმაც ჩინეთამდე მოაღწიეს. ისინი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ პოლიცია არ მოგვდევდა ან მოგზაურობისას რაიმე ეჭვი არ აღგვეძრა.

ჩვენ კი სულ სხვა გეგმა გვქონდა: პოლიციის მანქანის დაქირავება! ჩემმა ქმარმა იზრუნა ამაზე, რომ მანქანას ხუთი დღის შემდეგ წავეყვანეთ. მან ჭკვიანურად იფიქრა, რომ ჩვეულებრივ მანქანებს გამუდმებით აჩერებდნენ და

ამოწმებდნენ, რადგან ხშირად გამოიყენებოდა კორეიდან გამოქცეულების გადასაყვანად. მაგრამ პოლიციის მანქანა? ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი ავტომობილი ნარკოტიკების გადამტანების ისევ სიბნელეში დაბრუნების გარდა სხვა რამისთვისაც თუ გამოიყენებოდა. ეს ნამდვილად ღვთური სიბრძნე გახლდათ და ამ გეგმამ შესანიშნავად იმუშავა.

კორეული წარმოშობის ჩინელმა მასპინძლებმა გვითხრეს, რომ ღმერთი დაგვეხმარებოდა, თუმცა თვითონ მორწმუნეები არ იყვნენ. ბოლოს და ბოლოს, პოლიციის მანქანამ მოგვაკითხა. დამხვდურებმა გვირჩიეს, რომ საკონტროლო პუნქტების გავლისას თავი მოგვემძინარებინა. ისე მოხდა, რომ მანქანით მგზავრობამ ცუდად გამხადა და თავის მოკატუნებაც არ დამჭირვებია. მათ უპრობლემოდ გაგვატარეს.

პირველ ჩინურ ქალაქში ერთ მოხუც ქალბატონთან დავბინავდით. ახლა, როცა სამშვიდობოს ვიყავით, თავის შეკავება ვეღარ შევძელი. ამოვთქვი სურვილი, რომელიც დიდი ხანია გულზე მაწვა მას შემდეგ, რაც დედამთილისგან ქრისტიანთა დიდი ჯგუფების არსებობის შესახებ შევიტყვე. ისინი ერთად იკრიბებოდნენ, გალობდნენ, ლოცულობდნენ და თაყვანს სცემდნენ დღის სინათლეზე, არც მეტი, არც ნაკლები, ამ მიზნით აგებულ შენობებში. ვიკითხე, შეიძლებოდა თუ არა ეკლესიაში წასვლა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ძალზე დიდი კორეულ-ჩინური ეკლესიები არსებობს, რომელთა მრევლი ათასობით ადამიანს ითვლის. ეს ადგილები კარგად არის ცნობილი ჩრდილოკორეელების აღმოსაჩენად, რომელთაც ეუბნებიან, რომ ჯვრიან შენობამდე მისვლის შემთხვევაში დახმარებას მიიღებენ. მასპინძელმა მითხრა, რომ პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: ბევრ ჩრდილოკორეელს სწორედ ეკლესიაში იჭერენ, რადგან ხელისუფლებისთვის ცნობილია, რომ ისინი ყოველთვის ეკლესიამდე მისვლას ცდილობენ.

ჩემთვის გარისკვად მაინც ღირდა. დიდი ხანი ველოდე ღვთის ოჯახთან ერთად ღვთის სახლში მოხვედრას. ძნელი

წარმოსადგენი იყო, როგორი იქნებოდა „ეკლესია“, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმაზე მეტი ვიცოდი, ვიდრე მეგონა. ამაში ვგულისხმობ, რომ ეკლესია ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, რაც ჩრდილოეთ კორეაში ხდებოდა კიმ ირ სენის ან კიმ ჩენ ირის ჩამოსვლისას. ყველა ერთად იკრიბება და აქებენ, თაყვანს სცემენ და მათ წინაშე ლოცულობენ. და მაინც, ჩრდილოეთ კორეაში ღმერთი „ხილულია“, წინ ზის (ან პორტრეტის სახით ესწრება თვითკრიტიკის ყოველკვირეულ შეკრებებს).

ეკლესიაში წინ არავინ იჯდა. თვითკრიტიკის შეხვედრებისგან განსხვავებით აქ მშვიდობა, სიხარული, კომფორტი და ღვთიური სიწმიდე სუფევდა. იმ საღამოს ქადაგების სათაური გახლდათ წუთისოფლის დასასრულს ტკივილი მოვა“, რაც ჩვენი მოგზაურობის პროცესის ფონზე ჩემთვის სრულიად გასაგები გახლდათ. ეკლესია მეტისმეტად დიდი იყო და იქ მრავალი ადამიანი იმყოფებოდა. ყველგან შუქები ციმციმებდა. ხალხი ჰიმნების კრებულიდან გალობდა. სადიდებელი საგალობლები ხმამაღალი და მძლავრი იყო. სრული მოკრძალებით მოცული იმას ვიმეორებდი, რასაც სხვები აკეთებდნენ. მეჩვენებოდა, რომ ზეცაში ვიყავი.

ჩვენი მასპინძელი ქალი ქრისტიანული ოჯახის წევრი იყო. კორეული წარმოშობის ჩინელები ჩრდილოკორეელებს არ უნდა ეხმარებოდნენ – ფაქტობრივად, ეს სერიოზული დანაშაულია. ჩინეთის მთავრობა იქ მცხოვრებ კორეელებს ჯილდოს პირდება ჩრდილოკორეელების დასმენაში და დახმარებასაც უწევს მათ დაჭერაში. ყველგან ფლაერებია გამოკრული კანონის განმარტებით. მასპინძელმა ქალმა გამონაკლისი დაუშვა ჩვენთვის და ეს ერთ ღამეზე გაცილებით მეტ ხანს მოხდა. ბროკერი (დაქირავებული წინამძღოლი, რომელიც ჩრდილოეთ კორეიდან გამოქცეულებს ჩინეთის ტერიტორიის გავლასა და მესამე ქვეყნამდე მიყვანაში ეხმარება) მხოლოდ მაშინ იწყებდა მუშაობას, როცა გასამგზავრებლად, სულ მცირე, ათი კორეელი შეიკრიბებოდა. ახლა მხოლოდ სამნი ვიყავით – ჩემი ქალიშვილი, ვაჟი და მე. იქ ცხრამეტი დღე დავყავით. ეს ქრისტიანი ქალი არათუ

არ წუწუნებდა, ის და მისი ოჯახი გვიანობამდე არ იძინებდა, რომ ჩვენთვის ქრისტიანული ფილმები ეჩვენებინა. ერთხელ მე და ჩემი გოგონა ეკლესიაში თმის დასახვევადაც წაგვიყვანა. ამას ახლა იმიტომ გეუბნებით, რომ იმ ქალის ნახვა ისევ მინდა. მასზე უფრო მეტს ვფიქრობ, ვიდრე საკუთარ მშობლებზე.

მასპინძლის სახლში ყოფნის მეცხრამეტე დღეს, ჩემი ქმრის მითითებით ნავი დავიქირავეთ ჩინეთის სხვა ქალაქში წასასვლელად, სადაც ჩრდილოკორეელები საკმარისად იკრიბებოდნენ და ბროკერის აყვანა შეგვეძლო. როცა იქამდე მივაღწიეთ, ჯგუფი უკვე გასამგზავრებლად ემზადებოდა. ჩრდილოკორეელი ქალი ჩვენთვის თარგმნიდა. აგვიხსნეს, რომ გაჩხრეკას გვიპირებდნენ. როცა მითხრეს, რომ საფულიდან მთელი ფული ამომეღო, ასეც მოვიქეცი. იმის გამო, რომ დიდი თანხა არ იყო, ისვე უკან ჩამადებინეს.

ყველაფერი გაჩხრიკეს ჩვენი სხეულების ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ სხეულზე გვეხებოდნენ ამა თუ იმ საგნის მოძიების მიზეზით, ჩუმად ვიყავით და არ ვწუწუნებდით. გაგვაფრთხილეს, რომ ქალები ყოველთვის ერთად ვყოფილიყავით, რადგან ბროკერები (რომლებიც იშვიათად იყვნენ ქრისტიანები ან უარესი, მხოლოდ ქრისტიანის სახელით იწოდებოდნენ) გამოქცეულ ქალებს უხამსად ეპყრობოდნენ. რა თქმა უნდა, ამის გამო ჩემს ქალიშვილზე ვღელავდი. და მაინც, ისინი იყვნენ ერთადერთი ადამიანები, რომელთაც ვენდობოდით. მხოლოდ ისღა დაგვრჩენოდა, რომ ერთად შევჯგუფებულიყავით და უსაფრთხო მგზავრობისთვის გველოცა.

მათ მთელი ჩემოდანი მივეცი, მხოლოდ რამდენიმე გამოსაცვლელი დავიტოვე. ბროკერებმა მასში წამლები იპოვეს, რომლებიც ჩემმა ქალიშვილმა დაამზადა. ღმერთმა მას განკურნების ნიჭი მისცა. როცა ჩემი ქმარი საერთაშორისო ვაჭრობას ეწეოდა, მისთვის ბუნებრივი ინგრედიენტები ჩამოჰქონდა წამლების დასამზადებლად. მათ ყველაფერი წაიღეს: წყლის კამეჩების რქები, ოპიუმის ექსტრაქტი, აკუპუნქტურის ნემსები და ყველა სხვა ხელსაწყო. შესაძლოა,

დასავლეთის მცხოვრებთათვის ეს უჩვეულო წამლები იყოს, მაგრამ ჩრდილოეთ კორეაში დიდ განსხვავებას ქმნის სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. მაგალითად, ერთხელ ჩვენი მოგზაურობის დროს, სანამ წამლებს წაიღებდნენ, ოჯახში, რომელსაც დავუმეგობრდით, ერთი ახალგაზრდა კაცი იყო. მან ფეხი საშინლად დაიზიანა და ჩემმა ქალიშვილმა წამალი დაუმზადა. შამანმა მათ უთხრა, რომ მამა ადრე მოკვდებოდა, თუ ვაჟი დაზიანებისგან განიკურნებოდა. ამრიგად, დედამისმა წამლის გამოყენება აუკრძალა და ახალგაზრდა მოკვდა.

და მაინც, ამ წამლებს დიდი სარგებელი არ მოჰქონდა სამედიცინო წიგნის გარეშე. სამი წელი დაგვჭირდა მის შესადგენად, რადგან სხვებისგან გადმოცემულ ტრადიციებს ვაგროვებდით. ბოლოს ეს წიგნიც წაიღეს. ფაქტობრივად, სამხრეთ კორეაში ჩასვლის დროისთვის ჩვენი ძველი ცხოვრებიდან მხოლოდ ქმრის ნაყიდი საათი და რამდენიმე ხელი ტანსაცმელი დამრჩა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთლად კარგად არ გამოიყურება, მათგან მშობლიური ქალაქის სუნს მაინც ვგრძნობ.

სამწუხაროდ, მშობლიურ ქალაქში კინაღამ ჩინეთის გასწვრივ მოგზაურობის დაწყებამდე დავბრუნდით. ეს იმიტომ მოხდა, რომ მატარებელში ჩასხდომისას ერთი გამოქცეული გოგო ჩრდილოკორეულ დიალექტზე აწუწუნდა, რომ პური უნდოდა. ენა ჩვენს იდენტობას ააშკარავებდა და გამოქცეულობას ამხელდა. ვაგონში მყოფი ოცდაშვიდი ადამიანი მისკენ შებრუნდა. ჩემმა ვაჟმა მისთვის ლოცვა შემომთავაზა. ასეც მოვიქეცით. მას ჩაეძინა და ვაგონიც დაწყნარდა. როცა გაეღვიძა, ისევ დაიწყო ტირილი და ბოლოს შემოწმებამაც არ დააყოვნა. ქალმა გოგონა ზურგსუკან დამალა და მცველებს ჩინურად უთხრა, რომ ის კარგად ჯერ ვერ ლაპარაკობდა. ცოტაოდენი ფულიც გადაუხადა შეწუხებისთვის და ღვთის წყალობით, საფრთხემ გაიარა.

ჩვენ მატარებლის ზედა საძინებელებით ვმგზავრობდით. ორი დღის შემდეგ ბროკერმა, ბოლოს და ბოლოს, რაღაც საჭმელი

მოგვცა. ალბათ, შევებრალეთ ან მიხვდა, რომ ნაკლებად ხარჯიანი იქნებოდა საკვების მოცემა, ვიდრე ჩვენი წუწუნის გამო ქრთამების გადახდა. რაც შემეხება მე, საჭმელი კი მოგვიტანეს, მაგრამ გზის ავადმყოფობის გამო ჭამა არ შემეძლო, ამიტომ მატარებლიდან სატვირთოში გადამსვეს სხვა რამდენიმე ადამიანთან ერთად. სუფთა ჰაერმა ცოტა გამომაცოცხლა. ყველა იმ ძალისხმევის შემდეგ, რასაც ჩრდილოეთ კორეის ფეხით გადმოლახვა და ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორიის სატვირთო მანქანით გადასერვა მოითხოვდა, მგზავრობის გულისრევა გაცილებით ადვილად ასატანი გამოწვევა გახლდათ.

ბოლოს, მდინარე მეკონგს მივაღწიეთ, სადაც ჩინეთი ლაოსს ესაზღვრება. როცა იქამდე მივედით, წყლის ნაპირას გვამი დავინახეთ – უსიტყვო მოწმობა, რომ საფრთხე ჯერ კიდევ თან გვდევდა. ვინც მკვდარი სხეული შენიშნა, შიშმა აიტანა, მაგრამ საერთო განცდამ შეგვაკავშირა. გუნდი ერთსულოვნად მოქმედებდა და ერთმანეთის დახმარებას ცდილობდა – მარტოდ მოქმედება ძვირად დაგვიჯდებოდა და ამან ჩვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნავი ნაპირს მოადგა და ჩვენს ოჯახს გაყოფა მოუწია, რადგან ნაპირთან ყველაზე ბოლოს მივედით. მე და ჩემი ვაჟი ერთ ნავში შეგვრეკეს, ხოლო ჩემი ქალიშვილი – მეორეში. მხურვალედ ვლოცულობდით, რომ ღმერთს დავეცავით და მდინარის ტაილანდამდე გადალახვაში დაგვხმარებოდა, სადაც სამხრეთ კორეის საელჩოსთვის უნდა მიგვემართა.

მდინარეზე ექვსაათიანი ცურვის შემდეგ შევჩერდით, რომ დაგვესვენა, გვეჭამა და ჩინური ნავებიდან ლაოსურებზე გადავსულიყავით. ბოლოს, ტაილანდის პორტში დანიშნულების ადგილამდე მივედით. აღმოვაჩინე, რომ ცდაშვიდი გამოქცეულის დე ფაქტო ლიდერად ამირჩიეს, რომელსაც ყველას ერთად ყოფნაში დარწმუნების დავალება ეკისრებოდა. არ ვიცოდით, სად გვეპოვნა საელჩო. გადავწყვიტეთ, პოლიციაში წავსულიყავით და მათ ჩავბარებოდით. ჩინეთში რომ ვყოფილიყავით, ასეთ შემთხვევაში სამხრეთ კორეაში დაგვაბრუნებდნენ. აქ კი

დარწმუნებული ვიყავით, რომ ტაილანდი ციხეში ჩაგვსვამდა და შემდეგ სამხრეთ კორეის მზრუნველობას გადაგვცემდა.

ციხეში პირველ სამხრეთ კორეელს შევხვდით - მთავრობის წარმომადგენელს, რომელიც ჩვენს მისასალმებლად გამოგზავნეს. იმ დროისთვის ჯვრის ფორმის გულსაბნევი მეკეთა, რომელსაც ჩრდილოეთ კორეაში ვმალავდი და ახლა მისი ღიად ტარება ძალიან მახარებდა. სამხრეთ კორეელი თარჯიმანი ქრისტიანი აღმოჩნდა და სიხარულით მომესალმა. ჩრდილოკორეელების უმრავლესობა ქრისტეს გამოქცევის შემდეგ ხვდება. ჩემი გულსაბნევი მოწმობდა, რომ ქრისტიანი იქამდე გავხდი. მოგვიანებით გავიგეთ, რამდენად იშვიათი იყო ეს. ბევრმა სამხრეთ კორეელმა გვითხრა, რომ ჩვენს გარდა სხვა ჩრდილოკორეელებზე არ სმენოდათ, რომლებიც ქრისტიანულად ჩრდილოეთ კორეაშივე ცხოვრობდნენ, ჩინეთში გამოპარვამდე. ასე იმიტომ ხდება, რომ იქაური ქრისტიანების უმეტესობა საკონცენტრაციო ბანაკებში ან ციხეებში ხვდება ჩემი ქმრის მსგავსად. ეს კიდევ ერთი შეხსენება გახლდათ, რომ მხოლოდ ღმერთმა შეგვაძლებინა ამ მოგზაურობის წარმატებით დაგვირგვინება და ჩვენი გამოქცევისთვის მას გარკვეული მიზანი ჰქონდა.

ის ღამე ტაილანდის ციხეში გავატარეთ, რაც ყველა ჩრდილოკორეელი გამოქცეულისთვის სავალდებულოა. სამხრეთ კორეის მთავრობას დარწმუნება სჭირდებოდა, რომ ჩრდილოკორეელი ჯაშუშები არ მოგვყვებოდნენ. ისიც არ იყო გამორიცხული, რომ ჩინეთში მცხოვრებ კორეელებს თავი ჩრდილოეთიდან გამოქცეულებად წარმოედგინათ სამხრეთ კორეაში დასახლების მიზნით. ამრიგად, გამოძიების პროცესი საკმაოდ ინტენსიური და როგორც აღმოვაჩინე, ძვირიც იყო. ვიფიქრე, რომ ციხეში მხოლოდ ერთ ღამეს გავატარებდით. როცა სასამართლოს წინაშე წარვდექით, ტაილანდელმა პოლიციელმა დოკუმენტი მაჩვენა და მითხრა: „თქვენ ტაილანდში არალეგალურად იმყოფებით. გადაიხადეთ ჯარიმა.“ ამრიგად, თთოეულმა ასი დოლარი მოვამზადეთ. სამწუხაროდ,

ვერ გავიგეთ, როგორ, როდის და ვისთვის უნდა გადაგვეხადა „ჯარიმა“, ამიტომ ციხეში კიდევ ხუთ დღეს დავრჩით, რამაც ჯარიმა ერთ ადამიანზე ორასი დოლარით გაზარდა. და მაინც, ამაზე არ გვიწუწუნია. ციხეში კარგი გადასაფარებლები დაგვხვდა და ხარისხიანი იატაკი ეგო. შხაპის მიღებაც შევძელით სუფთა წყლით. რაც შეეხება საკვებს, მისი სუნი დიდად არ მოგვწონდა, ამიტომ საღამომდე არ ვჭამდით. მხოლოდ ამ დროს შეგვეძლო საჭმელზე წითელი წიწაკის პასტის დამატება ისე, რომ არავისთვის შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინა. ჩემმა ვაჟმა წონაშიც კი მოიმატა, რადგან კარგად ვიკვებებოდით. ჩრდილოკორეელებს რომ ჰკითხოთ, ასეთ ციხეში მთელ ცხოვრებას გაატარებდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, წინ კიდევ გველოდა სირთულეები. სხვა ციხეში გადაგვიყვანეს, რომელიც ნამდვილ ციხეს ჰგავდა. აშკარა იყო, რომ იქ შიმშილით ბევრი ჩრდილოკორეელი დაიხოცა ფულისა და დახმარების უქონლობის გამო. ჩვენამდე მოსულმა მზრუნველმა გაქცეულებმა კედლებზე წარწერები ამოკაწრეს, რომ ჩვენთვის შეეტყობინებინათ, თუ როგორ გადავრჩენილიყავით და ამ ადგილისთვის თავი როგორ დაგვეღწია - ვისთვის გადაგვეხადა, რამდენი, სად წავსულიყავით და სად არა. ჟრუანტელმა დაგვიარა, როცა ჩემმა ვაჟმა ჩემი ქმრის შეტყობინება იპოვა, რომელიც მის შემდეგ მომავლების, განსაკუთრებით კი, ჩვენს დასახმარებლად დატოვა. წარწერა გვეუბნებოდა: „მომდევნო ციხეში გადასვლისთვის საჭიროა ფული [.] ავტობუსით მგზავრობას 650 ვონი სჭირდება. თუ გადახდას ვერ შეძლებთ, შიმშილით მოკვდებით.“

იმის გამო, რომ ფული გვქონდა, იქ მხოლოდ ერთი დღე დავრჩით ბანგკოკში გაგზავნამდე. თუ ეს ყველაფერი ქარბორბალის უწესრიგო ტრიალს ჰგავს, მართლაც ასე იყო და არის ყველა ჩრდილოკორეელისთვის, რომელიც გაქცევას განიზრახავს. ერთ წუთს ბანგკოკის რესტორანში შეგვრეკავდნენ და საკმაოდ კარგი სადილით გვიმასპინძლდებოდნენ, ხოლო მეორე წუთს ჩრდილოკორეელების „ბანაკში“ გვიკრავდნენ თავს, სადაც

საშინელი მდგომარეობა სუფევდა. შემდეგ იზოლატორში გაგვაგზავნეს. იქ ყველა ჯურის უცხოელს მოეყარა თავი. შეხვდებოდით მათხოვრებსა და მოხუცებს, რომელთაც არაფერი ებადათ, მაგრამ გამუდმებით დაუყვებოდნენ მდინარე მეკონგის დელტას ბანგკოკისკენ რაღაცის ძიებაში. ადგილი მეტიმეტად გადაჭედილი გახლდათ და წარმოდგენა არ გვქონდა, სანამდე დავრჩებოდით აქ. საათები? დღეები?

როცა გამოქცეული ხარ, არავინ არის ვალდებული, რომ რამე გითხრას. მიდიხარ, საითკენაც მიგითითებენ; დგახარ, სადაც დაგაყენებენ; ყურადღებას არ აქცევ უკვე მერამდენე ჩხრეკას და იმანუელის წინაშე ლოცულობ, რომ შენს გვერდით იყოს და შენი ოჯახი არ დაიქსაქსოს. ლოცვა ცალ ფეხზე მდგომს გიწევს, რადგან საკანი გადავსებულია და მეორე ფეხის დადგმის საშუალება არ გაქვს. ბოლოს, დავნებდი და ორი დოლარი გადავიხადე, რომ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას გადავეყვანეთ, სადაც დაჯდომა შეიძლებოდა.

ბოლოს და ბოლოს, სამი საათის შემდეგ, სამხრეთ კორეის საელჩოს წარმომადგენელი მოვიდა და იმ ადგილას წაგვიყვანა, სადაც მხოლოდ ჩრდილოკორეელი გამოქცეულები რჩებოდნენ. იქ რიგებად დაგვამწკრივეს. სამხრეთკორეელი ხელმძღვანელი ქედმაღლურად გამოიყურებოდა. მან რეზიუმეს დაწერა მთხოვა. ასეც მოვიქეცი. ჩემი ქალიშვილი ორსულად იყო, ამიტომ მისთვის მეტი კომფორტის შექმნა მინდოდა, რომ კარგად დაესვენა. ამის გამო სხვებთან ცოტა უხეშობის გამოჩენაც მომიხდა მეტი ადგილის მოსაპოვებლად. იცით, დედა ყველგან დედაა, თუნდაც ციხეში.

გამიხარდა, რომ იქ სხვა ქრისტიანებიც ვიპოვე, რომლებმაც თაყვანისცემის მსახურება მოაწყვეს. მეც მათ შევუერთდი. ჩანდა, მიხვდნენ, რომ ახალმოქცეული ქრისტიანი არ ვიყავი და მსახურების გაძღოლა მთხოვეს. მე უარი ვთქვი და უბრალოდ, მონაწილეობა მივიღე. დღეები გადიოდა და დროს სწორედ ასე ვიყენებდით. ვინ უნდა ყოფილიყო ჩვენზე უფრო მადლიერი? ვის უტრიალებდა გონებაში უფრო მეტი - კერძოდ

ისინი, ვინც უკან დავტოვეთ და ისინი, ვისაც ხელახლა უნდა შევხვედროდით - ვიდრე ჩვენ?

ოცი დღის შემდეგ თვითმფრინავში ჩაგვსვეს. ეს მალე არ მომხდარა: ტაილანდში გამოქცეულებმა სწრაფად ისწავლეს, რომ წასვლა პირველებს უნდა მოეხერხებინათ. ჩვენ იმიტომ მოგვანიჭეს ამის საშუალება, რომ ჩემი ქალიშვილი ფეხმძიმედ იყო. იქ ყოფნის დროს, ვიღაცამ სხვა ორსულ ქალს მუცელში ჩასცხო, რამაც ნაყოფის სიკვდილი გამოიწვია. როგორც ჩანდა, იმ ადამიანსაც პირველს უნდოდა წასვლა.

გაგვაფრთხილეს, რომ არ უნდა გვეცრუა და მობილური არ წაგვეღო. ისე მოვიქეცით, როგორც გვითხრეს. თვითმფრინავში ადგილები დავიკავეთ და კისრები მოვატრიალეთ, რომ რამდენიმე ათასმილიანი მოგზაურობის შემდეგ ილუმინატორიდან ფრენას დავკვირვებოდით. მალე ახალ სამყაროში აღმოვჩნდებოდით, სულ მცირე მანძილზე იმ ადგილიდან, საიდანაც რამდენიმე თვის წინ კარი გამოვიხურეთ.

სამხრეთ კორეაში ჩასვლისას სხვაგვარი სახის დისორიენტაციას წავაწყდით, ვიდრე ჩინეთში ვნახეთ. ენა იდენტური არ იყო - ჩრდილოურ და სამხრეთულ დიალექტებს შორის განსხვავება 40 %-ს შეადგენდა, თუმცა ჩინურზე მეტად მაინც გვესმოდა. კორეული საჭმელი კი ყველგან კორეული იყო, ჩრდილოეთით თუ დემილიტარიზებული ზონის მიღმა. ყველაზე დიდი განსხვავება ამ ორ ქვეყანას შორის გახლავთ ავტომობილების რაოდენობა და ქალაქების გაცილებით მეტი სისუფთავე. გაგონილი მქონდა, რომ სამხრეთ კორეაში ცხოვრების დონე უკეთესი იყო, რაშიც საკუთარი თვალით დავრწმუნდი. როცა მანქანების მოძრაობა პირველად დავინახე, ვიფიქრე, რომ სადღაც კონფერენცია ტარდებოდა და ყველანი იქით მიიჩქაროდნენ. მალე აღმოვაჩინე, რომ სამხრეთ კორეელები იქ წავლენ, სადაც მოისურვებენ და როცა მოისურვებენ, რაც მკვეთრ განსხვავებას ქმნიდა ჩვენს ამასწინანდელ მდგომარეობასთან, როცა ჩრდილოეთ კორეის სამთავრობო ნებართვის გარეშე იძულებული ვიყავით, მთების გავლით გვევლო.

როცა აეროპორტში დავეშვით, სამხრეთ კორეაზე საუცხოო პირველი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რადგან არ მოგვთხოვეს დოკუმენტები და ნებართვები. ჩინეთიდან სამოგზაუროდ ჩამოსულებს ID ბარათის აღება სჭირდებოდათ, მაგრამ ჩვენ მოქალაქეები ვიყავით: ყველა ჩრდილოკორეელი თავისთავად სამხრეთ კორეის მოქალაქეებს წარმოადგენენ, რადგან კორეის ომი ფორმალურად არ დასრულებულა. ამიტომ არც დოკუმენტები და ნებართვები არ გვჭირდებოდა. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. ამას მხოლოდ სხვა ჩრდილო და სამხრეთ კორეელები ხვდებოდნენ, რამაც ძალიან გამახარა. ამისთვის ახლაც კი მადლიერი ვარ. საბაჟოში ყოფნისას ისეთივე მადლიერების გრძნობა გამიჩნდა, როგორც საშობაო განათების დანახვისას ჩინეთში.

ბევრი რამ გაგაკვირვებთ ან შეგაფიქრიანებთ, თუ როგორ წარუდგენენ ახალ ცხოვრებას ჩრდილოკორეელ ლტოლვილებს. მაგალითად, მამაკაცები და ქალები სხვადასხვა შენობებში ჰყავთ და ერთმანეთთან კონტაქტის საშუალებას არ აძლევენ - არც ცოლ-ქმარს და არც მშობლებსა და შვილებს. ასეთი სიფრთხილის ზომა დაკავშირებულია ცრუ ლტოლვილთა მზარდ ოდენობასთან, რომლებსაც ჩრდილოეთ კორეის მთავრობა სამხრეთ კორეის საზოგადოებაში ინფილტრაციისთვის იყენებს. ისევე როგორც ჩრდილოეთ კორეაში შეკრებილი სამი ადამიანიდან ერთი სავარაუდო ჯაშუშია, სამხრეთ კორეა დიდად არ განსხვავდება - ჯაშუშები აქაც მრავლად არიან. ამრიგად, ლტოლვილთა ყოველდღიური ცხოვრება თვეების მანძილზე გამოცდებისა და გამოძიებებისგან შედგება. გვამოწმებდნენ, გვიკვლევდნენ და სამხრეთ კორეის ცხოვრებას გვაცნობდნენ. პირველი სამი თვე ერთ სამთავრობო შენობაში ვიყავით, ხოლო მეორე სამი თვე - მეორეში. ჩემს ქალიშვილს უფრო ადრე წასვლის ნება დართეს ორსულობის გამო.

რაც შემეხება მე, ნატურალიზაციის შენობებში საეკლესიო მსახურებები იმართებოდა. ბევრი რამ უნდა მესწავლა და წინ გრძელი მოგზაურობა მელოდა აღსადგენად. აქ არიან ჩრდილოკორეელები, რომლებიც ჩინეთში არალეგალურად

იმყოფებოდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ სამხრეთ კორეის დამქანცველ გზას დაადგებოდნენ. ისინი რამდენჯერმე ქორწინდებოდნენ და მრავალი შვილი ჰყავდათ ხან აქ, ხან იქ. ზოგჯერ ისეთ რამეებს ჩადიოდნენ, რომ დასამალად ჰქონდათ საქმე და თავიდან ვერ იცილებდნენ ისეთ შეცდომებს, რომლებიც სამთავრობო გამომძიებლებს აინტერესებდათ. ჩვენ საკმაოდ მოსაწყენი ვიყავით მათთან შედარებით. სამხრეთკორეული შტატი კარგად გვექცეოდა, რადგან ჩინეთში მხოლოდ რამდენიმე კვირა გავატარეთ. და მაინც, ჩემი ვაჟის ან ქმრის ნახვას ვერ ვახერხებდი, რადგან მათაც უწევდათ დაკითხვების გავლა მამაკაცებისთვის განკუთვნილ შენობაში. მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ჩვენი შეხვედრა ამდენი ხნის შემდეგ. ისე გამოვიდა, რომ მასთან შეხვედრა იმ პირველს ჰგავდა, როცა მრავალი წლის წინ ჩრდილოეთ კორეის კოლეჯში ერთმანეთი გავიცანით.

ალბათ, გაიხსენებთ, როგორ დავშორდით ერთმანეთს რამდენიმე სიტყვის გაცვლის შემდეგ. ახლა, 2010 წლის თებერვლის ბოლოს ქმარს შემთხვევით გადავაწყდი, როცა ყველანი ექსკურსიაზე ვიყავით და სამხრეთკორეულ რესტორანში საჭმელს გეახლებოდით. იმ დროს ხელის ჩამორთმევაც კი გვეკრძალებოდა, მაგრამ ერთმანეთს თავის დაკვრით მივესალმეთ. ეს შეხვედრა გაცილებით რომანტიული გამოდგა, ვიდრე პირველი: როცა მე ზევით ავდიოდი, მან ხელებით გულის ნიშანი გამოსახა სიყვარულის გამოსახატავად. მეც იგივე გავაკეთე საპასუხოდ.

ბოლოს დაბოლოს, დავასრულეთ ნატურალიზაციისთვის განკუთვნილი დრო და სათითაოდ გავთავისუფლდით. როცა ჩემი ქმარი გამოვიდა, ჩვენი ქალიშვილი გარეთ ზურგზე მოკიდებული ახალშობილით ელოდა. როგორც კი შვილი დაინახა, არ გადახვევია სატელევიზიო სერიალების მსგავსად, არამედ ერთმანეთს მხარზე ხელი მოუთათუნეს და სახლისკენ ავტობუსით გაემართნენ. ზოგჯერ ხელის მოთათუნება და ავტობუსით მგზავრობა უკეთესი და ღრმა კავშირის მატარებელია, ვიდრე გადახვევა ან სატელევიზო შოუები.

როცა მე და ჩემი ვაჟი გადასახლების სამთავრობო ცენტრიდან გამოვედით, ჩემი ქალიშვილის სახლისკენ გავემართეთ. მგზავრობა მტკივნეული გამოდგა, რადგან გულისრევამ ისევ შემომიტია. როცა ადგილზე მივედით, ახლაც მახსენდება დანახული სურათი: ჩემი ქმარი, ქალიშვილი და შვილიშვილი ფანჯრიდან გადმოგვყურებდნენ. ეს არის შთამომავლობა...

საერთო სიხარულში ჩემმა ქმარმა კიბეებზე ჩამოირბინა მოსასალმებლად. ალბათ, გაინტერესებთ, რამდენი თბილი და რომანტიული სიტყვა მითხრა იმ დროს, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ის ამიხსნა, როგორ მუშაობს ლიფტი. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ არ დაგვემთავრებინა ჩვენი მოგზაურობა - ყველანი სადარბაზოში ვიდექით და ემოციები გვახრჩობდა. ის მზრუნველობას იჩენდა ამ გზის უკანასკნელ ნაბიჯამდე, როგორც თავიდან დაიწყო და ჩემი ქალიშვილის მისაღებ ოთახამდე მიგვაცილა. შეუძლებელია იმ ბედნიერების გამოხატვა, რასაც იმ დროს განვიცდიდი. მართალია, ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი პირველად მაშინ ვნახე, როცა ნატურალიზაციის შენობაში მეწვივნენ, მაგრამ მეორედ ნახვისას ცრემლებს ვერ ვიკავებდი. ვფიქრობ, ახლობლის ნახვის დიდი ბედნიერებისგან ცრემლებად უნდა დავიღვაროთ.

ერთმანეთისთვის ხელის მოთათუნება არ გვბეზრდებოდა და მთელი ღამე საუბარში გავატარეთ. ბოლოს და ბოლოს, ერთი წელი გახდა, რაც ერთად არ შევკრებილვართ. ჩემი ვაჟი ახლა ერთი წლით გაზრდილი და გასუქებული იყო! ჩემმა ქალიშვილმა ბავშვი გააჩინა. გავიგეთ, როგორ მოაღწია ჩემმა ქმარმა სამხრეთ კორეამდე. ცრემლების ნაკადს ვერაფერს ვუხერხებდი, როცა მის მონათხრობს ვიაზრებდი. დილის 5 საათამდე ვლაპარაკობდით, მაგრამ ამის შემდეგაც არ დაგვეძინა. მაცივარი ხორცით, თევზით და ხილით გავავსეთ. ჩემი ქმარი ისე ბედნიერი იყო, რომ გაიძახოდა: „ტელევიზია კარგად მუშაობს და წყალიც გვაქვს! მიიღეთ შხაპი, რამდენიც გინდათ!“

მთელი წიგნი დაიწერებოდა სამხრეთ კორეაში გატარებული დროის შესახებ - ყველა აღმოჩენასა და ხელახალ შეხვედრაზე,

შესანიშნავ მომენტებზე ეკლესიაში, სასურსათო მაღაზიებში, მთელი სამხრეთ კორეის ხალხის წინაშე და მის ფარგლებს გარეთ ლაპარაკზე, როცა მათ ჩრდილოეთ კორეაში ჩვენს ცხოვრებას ვაცნობდით. თუმცა ეს არ გახლავთ ის წიგნი, რომლის დაწერაც ღმერთმა გვიბრძანა.

უფალმა მიგვითითა, რომ წერა ბაბუას ამბის მოყოლით დაგვეწყო, რომელიც თითქმის საუკუნის წინ ხელებგაშლილი იდგა ერთი ჩინური ეკლესიის კარში. ახლა დროა ეს წიგნი ისე დავასრულოთ, როგორც დავიწყეთ. ეს ბეის ოჯახის შთამომავლობა გახლავთ და მათგან მიღებული და თქვენთვის გადმოცემული დამოწმება იმანუელის, ჩვენი გამოსვლის ღმერთის ამბავია. ეს თქვენი გამოსვლაცაა.

2011 წლის 9 იანვრის ღამის 1-ლ საათზე ჩემი ქმრის მშობლებს ჩვენგან დაქირავებული მანქანა უნდა დახვედროდა, რომ ჩინეთის საზღარზე გადაეყვანა, საიდანაც ისინი მთელ გზას გაივლიდნენ სამხრეთ კორეამდე. მოხუცები უკვე ოთხმოცს გადაცილებულები იყვნენ და გვინდოდა, ეს მოგზაურობა მათთვის უკიდურესად ადვილი ყოფილიყო.

დილის 5 საათი გახდა, მაგრამ ჩინეთის საზღვართან მდგარი ბროკერისგან არაფერი ისმოდა მათთან შეხვედრის შესახებ. ტელეფონზე დავურეკეთ. „ახალი არაფერია“, გვითხრა მან. ისინი არ მოვიდნენ.

როგორც ჩანს, არც არასოდეს მოვიდოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემმა ქმარმა მშობლების მეგობრებს დაურეკა. ტელეფონის მეორე ბოლოდან სწრაფი ჩურჩული გაისმა:

- შენი მშობლები დაიჭირეს. თუ რეკვას გააგრძელებ, მეც დამიჭერენ.

2011 წლის ივლისში გავიგეთ, რომ ჩემი დედამთილი და მამამთილი საკონცენტრაციო ბანაკში წაიყვანეს. ჩრდილოეთ კორეაში მახარებლობა, ადრე თუ გვიან, იქ სრულდება.

რაც უფრო მეტად ვაკვირდები ჩრდილოეთ კორეის ფარგლებს გარეთ არსებულ ვითარებას, ვფიქრობ, რომ სახარების

გავრცელებისთვის გაბედული ცხოვრება ყველგან გიქადით გასაჭირს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ. რეალურად, „ყველა, ვისაც სურს ღვთისმოსაობით იცხოვროს ქრისტე იესოში, დევნილი იქნება.“ ასე ეუბნება პავლე მოციქული ახალგაზრდა ტიმოთეს 2 ტიმ. 3:12-ში.

ჩრდილოეთ კორეის საკონცენტრაციო ბანაკები წარმოუდგენელი სიბნელის ადგილია. იქიდან თავს ვერავინ აღწევს და რასაკვირველია, არავის ათავისუფლებენ. ამის ნაცვლად, ყოველ პატიმარს სალაფავის მინიმალურ ულუფას აძლევენ, რომელიც მას იმდენ ხანს აცოცხლებს, სანამ სხვა პატიმარი არ ჩაენაცვლება. აი, სად გაგზავნეს ჩემი ქმრის მშობლები. ასეთ ადგილზე ცხოვრობენ და სიცოცხლის ბოლო წლებს ატარებენ. ოთხმოცს გადაშორებული ადამიანები უსახელო, უსახო ჭანჭიკებად იქცნენ საკონცენტრაციო ბანაკების უდიდეს ქსელში, რომელიც კი ოდესმე არსებულა კაცობრიობის ისტორიაში. მათთვის ყოველი დღე კატორღაში გატარებული კოშმარია.

ალბათ, დაღონდით და იმედი გაგიცრუვდათ, რომ წიგნი, რომლის დაწერის მითითებაც ღვთისგან მივიღეთ, ასე დასრულდა. თუ ასეა, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი რამ გაგიზიაროთ, რაც გაგამხნევებთ: შესაძლოა, წიგნი აქ სრულდება, მაგრამ შთამომავლობის ამბავი მანამ გაგრძელდება, სანამ იმანუელი დაბრუნდება.

როცა ჩემი ქმარი პატარა იყო, დედამისმა ბაბუას ჰკითხა: „მამა, მართლა გაიგონე ღვთის ხმა?“ როცა მან დადებითად უპასუხა, დედა ჩააცივდა, რომ ყველაფერი დეტალურად მოეყოლა. ბაბუამ უამბო, რაოდენ მკაფიოდ ესმოდა უზენაესის ხმა მარხვის, ლოცვის ან ძილის დროს. ჩემმა დედამთილმა ინატრა, რომ მასაც ისე კარგად გაეგონა ღვთის ხმა, როგორც მამამისს ესმოდა. მას აწუხებდა, რომ არ შეეძლო უფლის ხმის გაგონება და ილოცა მისნაირი ღრმა რწმენისთვის.

როცა ჩემი ქმარი ჯერ კიდევ ბიჭი იყო, მისი ოჯახი უნაყოფო სოფელში გადაასახლეს, რადგან დედამისმა თითქმის დამნაშავე

ადამიანი გაჭირვებაში არ მიატოვა. როცა ქმარი ახსენებდა, რომ სწორედ მისი სიკეთის გამო აღმოჩნდნენ ასეთ მდგომარეობაში, ქალი პასუხობდა: „ყოველთვის რწმენის შესაბამისად უნდა ვიცხოვროთ და არასოდეს შევყოყმანდეთ.“

როცა საქმეები კარგად არ მიდიოდა, ის ოჯახს კითხვას უსვამდა: „რატომ უნდა მეშინოდეს რაიმესი? ღმერთი ჩემ მხარესაა და გზას გაგვიკვალავს. რთულ დროსაც გადაჭრის ყველა ჩვენს პრობლემას. რატომ უნდა გავამახვილო ყურადღება სიძნელეებზე?“

დღეს ჩრდილოეთ კორეის რომელიღაც საკონცენტრაციო ბანაკში ერთ-ერთი პატიმარი პირველად ისმენს ამბებს ნოეს კიდობნის, სოდომისა და გომორას და კაცობრიობის შექმნის შესახებ. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ღმერთმა ძლიერ შეიყვარა ადამიანები და საკონცენტრაციო ბანაკში პატარა, მხრებში მოხრილი ოთხმოცი წლის მაცნე გაგზავნა სახარების მისატანად.

სინათლე სიბნელეშიც ანათებს და სიბნელე ვერ მოიცავს მას (იოან. 1:5).

თაობები მოდიან და ასე გაგრძელდება, ამიტომ ჩემი დედამთილის საუკეთესო მსახურება და ღრმა რწმენა, ისევე როგორც ჩემი და თქვენი, ჯერ კიდევ წინ არის.

ეპილოგი:

ლირსი ერიკ ფოლისგან

ას წელზე ცოტა მეტი ხნის წინ, ფიონგიანგი (ფხენიანი) - დღევანდელი ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი - ისეთი სულიერი გამოღვიძების მოწმე გახდა, რომ „აღმოსავლეთის იერსუალიმი“ უწოდეს.[19] ეს 1907 წლის იანვარში დაიწყო კორეის უდიდესი ეკლესიის ლოცვის შეკრებაზე, რომელსაც ფიონგიანგის პირველი ეკლესია ეწოდებოდა. იმ შეხვედრაზე მისიონერი უილიამ ბლერი იმყოფებოდა, რომელმაც მოვლენას „კორეული სულთმოფენობა“ უწოდა. მან თქვა: „ლოცვა ისე მესმოდა, როგორც მრავალი წყლის ხმა, ლოცვის ოკეანე, რომლის ზვირთები ღვთის ტახტს ეხეთქებოდა.“[20].

1907 წელს ფიონგიანგის დიდი გამოღვიძების ამბავი კარგად არის ცნობილი. თუმცა მეორე დღეს კიდევ მოხდა რაღაც ბუნდოვანებით მოცული. ეკლესიაში ყველა ხარობდა ღვთის სულის ამ სასწაულებრივი გადმოღვრის ამბავს, როცა ღმერთმა მომავალი მოვლენების შესახებ ძალმოსილი ნიშანი გამოგზავნა.

[პასტორი] ჩო... ერთ-ერთი პირველი კორეელი ლიდერი, პრესვიტერიანული კოლეჯისა და თეოლოგიური სემინარიის კურსდამთავრებული, მოგვიანებით ფიონგიანგის პირველი ეკლესიის პასტორი გახდა. მას ქადაგება სთხოვეს [გამოღვიძების მეორე დღეს]... პასტორმა, პირდაპირი მნიშვნელობით, თავი

---

19 George Thomas, *"The Pyongyang Revival 100 Years Later,"* CBN. com, June 29, 2007, http://www.cbn.com/CBNnews/188123.aspx.

20 C. Hope Flinchbaugh, *"A Century After North Korean Revival, Dreams of an Encore,"* Christianity Today, January 31, 2007, http://www. christianitytoday. com/ct/2007/januaryweb-only/105-32.0.html.

შეიბოჭა და გათავისუფლებას მთელი ძალით ლამობდა. მან თქვა: „აი, რას აკეთებს გამოღვიძება. იგი ცოდვის ბორკილებს ამსხვრევს და სრულიად გათავისუფლებს.“[21].

მოღვიძება მოვიდა და ხალხი ექსტაზში იყო. ისინი გაჰყვიროდნენ: „ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლება!“ თუმცა ღმერთს პასტორი ჩოს მეშვეობით თავისუფლების სრულიად ახლებური გაგების გადმოცემა სურდა: თავისუფლება არ არის ის, რასაც ქვეყნიერება გვთავაზობს ან როგორც მას ესმის. ეს გახლავთ ქრისტეს თავისუფლება, რომელსაც წუთისოფელი ბორკილებად მიიჩნევს. პასტორი ჩო ქადაგების დროს საკვრელებისგან სრულად არ გათავისუფლებულა. ამის ნაცვლად, შებორკილმა ერთგულად გამოავლინა გზა, რომელსაც ჩრდილოეთ კორეის ეკლესია თავისი არსებობის ასზე მეტი წლის განმავლობაში გაყვებოდა.

კიმ ირ სენი ქრისტიანებს სისტემატურად ანადგურებდა თავისი რეჟიმის დამყარების პირველი ოცი წლის განმავლობაში. ამ საქმეში იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ისტორიკოსებს მწირი ცნობები აქვთ ჩრდილოეთ კორეაში ქრისტიანების არსებობის შესახებ 1960-იანი წლებიდან 1990 წლების ჩათვლით. ბეის ოჯახის ამბავი 1 მეფ. 19:18-ის თელოგიური სწავლების ისტორიული დადასტურება გახლავთ: ღმერთი ყოველთვის იტოვებს ნატამალს, ვისი მუხლიც არ მოდრეკილა ცრუ ღმერთების წინაშე და მათთვის არ უკოცნია.

ალბათ, ჩრდილოეთ კორეა პირველი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, სადაც ეკლესია, ძირითადად, წამებულებზე აღმოცენდა. ამჟამად ჩრდილოეთ კორეის ასი ათასი მორწმუნე ქრისტემდე უამრავი ერთგული მოწამის სისხლის ფასად მოვიდა. ესენი იყვნენ სხვა ჩრდილოეთ კორეელები, რომელთაც ქრისტეს რწმენის აღიარება სიკვდილის ფასად დაუჯდათ.

დაახლოებით, ოცდაათი ათასი ჩრდილოეთ კორეელი ქრისტიანი, ბატონი ბეის დედ-მამის ჩათვლით, რწმენის გამო საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფება. ჩვენი პირველი

[21] Flinchbaugh, *“A Century After North Korean Revival.”*

ინსტინქტი მათი გათავისუფლებისთვის დაუღალავი შრომა გახლავთ. ამის შემდეგ მოდის სხვა აზრი, რომ ღმერთი თავისუფლებას ისე არ უყურებს, როგორც ჩვენ. მიახლოებით, ასორმოცდაათი ათასიდან ორასი ათასამდე ჩრდილოკორეელი ბანაკების ტყვეა.[22] ბევრი მათგანი სიცოცხლეს იქვე დაასრულებს. როგორ შეუძლია უსაზღვრო სიყვარულის მქონე ღმერთს, რომ პირადად არ მიწვდეს სანუგეშებლად იმ ადამიანებს და არ დაარწმუნოს, რომ დავიწყებულები არ არიან? და თუ მას იმ ხალხთან მისვლა სურს, რატომ არ გამოიყენებს გზას, რომლითაც ყოველთვის სარგებლობდა - სპეციალურად ამ დავალებისთვის მომზადებული ადამიანების გაგზავნას უნაყოფო მინდვრებსა და დროებით განდევნილობაში, რომლებთან ერთადაც ყოველდღე დადიოდა და რომელთაც მეგობრებივით ელაპარაკებოდა?

„გახსოვდეთ პატიმრები“, - გვარიგებს ებრ. 13:3, - „თითქოს თქვენც მათთან ერთად ხართ შებორკილნი“. თუ ყურადღებით არ ვიქნებით, ამ მუხლს შეცდომით წავიკითხავთ, როგორც ბატონი ბეის მშობლების მსგავსი ქრისტიანების შებრალების მოწოდებას. თუ ღრმად ჩავწვდებით, მათი მიბაძვის მოწოდებას ამოვიკითხავთ. ეს არ ნიშნავს, რომ სასწრაფოდ მივაშურებთ საკონცენტრაციო ბანაკის კარებს, დავაკაკუნებთ და მოვითხოვთ, რომ იმაზე უკეთ მიგვიღონ, ვიდრე ბეის ოჯახი ან პირველი ქრისტიანები მიიღეს. ეს ნიშნავს, რომ ბნელ ადგილებში მოხვედრის დროს გაქცევაზე ფიქრის ნაცვლად შევეცდებით, სინათლე მოვფინოთ გარშემო მყოფ ადამიანებს. როგორც ერთხელ ბატონი ბეის დედამ თქვა: „რატომ უნდა მეშინოდეს? ღმერთი ჩემ მხარეს არის და გზას გაგვიკვალავს. რთულ პერიოდებშიც კი გადაჭრის ჩვენს პრობლემებს. მაშ, რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება სიძნელეებზე?“

იგივე უთხრა აღმდგარმა იესომ პეტრე მოციქულს, როცა მასთან ერთად ზღვის ნაპირას მიაბიჯებდა: „სანამ ახალგაზრდა იყავი, შენ თვითონ შემოირტყამდი ხოლმე სარტყელს და

[22] Blaine Harden, *Escape from Camp 14: One Man's Remarkable Odyssey from North Korea to Freedom in the West* (New York: Viking, 2012), 4.

მიდიოდი, სადაც გსურდა; მაგრამ როცა მოხუცდები, გაშლი ხელებს, სხვა შემოგარტყამს სარტყელს და იქ წაგიყვანს, სადაც არ გსურს" (იოან. 21:18).

როცა იქ აღმოჩნდებით, შეგიძლიათ დაამატოთ, „წარმოაჩინეთ სინათლე".

უფალმა უპასუხა ბატონი ბეის დედის ლოცვას, რომ მამამისივით ღრმა რწმენა მიეცა. ასეთ ადგილებში ცოტაა კარგად განათებული და კომფორტული ბილიკები. დაე, ბეის ოჯახის ყოვლისშემძლე ღმერთმა აკურთხოს ისინი ერთგული მსახურებით ყველა თაობაში, სანამ მეორედ არ მოვა. ჩვენც მივბაძოთ მათ, როგორც ისინი ბაძავენ ღმერთს დედამიწის ყველაზე ბნელი ქვეყნის ყველაზე ბნელ ადგილას.

“წამებულთა ხმის შესახებ“

ლუკა 9:23, უფალი იესო ამბობს: „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს საკუთარი თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს.“ ეს შესაძლოა სამწუხაროდ ჟღერს და გამაღიზიანებლად ეჩვენებათ იმ ქრისტიანებს, რომლებიც ამქვეყნიური გზით ცხოვრობენ. ასეთი ქრისტიანები ხშირად სიმპათიით არიან გამსჭვალულნი მათ მიმართ რომლებიც ეწამებიან საკუთარი რწმენის გამო. მათ იმედი აქვთ, რომ წარმატებას მიაღწევენ ცხოვრებაში ტკივილის გარეშე თვითონაც და სხვებიც.

თუმცა, არსებობს „მოწმეთა ღრუბელი“ (ებრ. 12-1) რომელმაც იცის საუკეთესო გზა. ესენი არიან ის ქალები და კაცები მთელი მსოფლიოს გარშემო და ჩვენივე ქვეყნიდან, წარსულიდან და აწმყოდან, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს უფალს სწირავენ მყისიერად ან წლების განმავლობაში გამოხატავენ სიყვარულის შესაწირავს. ისინი გვასწავლიან, რომ ღვთის სიყვარული იმსახურებს ჩვენს მიერ ადამიანური ტკივილის გადატანას, და იმას, რომ ამ დედამიწაზე არანაირ ტკივილს, სიკვდილის ჩათვლით, არ ძალუძს მისი შეჩერება. მათი გზა არის ერთადერთი გზა, რომ გააღრმაო და შეიძინო სამუდამო სიხარული. ეს არის ნორმალური ქრისტიანული ცხოვრება.

წამებულთა ხმა შეიქმნა მთელი მსოფლიოს გარშემო და-ძმების დახმარების მიზნით, რათა გვახსოვდეს ეს გზა და ერთად გავიაროთ. რასაც იესოს ხმის ფრთხილად მოსმენით ვაკეთებთ, ისევე როგორც წამებულ ქრისტიანებს, რომლებიც იესოს მიყვებიან რაც არ უნდა მოხდეს. ჩვენ ვთანამშრომლობთ და ურთიერთობას ვამყარებთ მათთან, რომლებიც იტანჯებიან ქრისტეს სახელის გამო, არა სიბრალულის ან თანადგომის, ან მათი დახსნის სურვილის გამო, არამედ იმ რწმენიდან გამომდინარე, რომ ქრისტეს სიყვარულის შესაწირავი არის

უდიდესი საგანძური, რომლის მიღებაც შეუძლია ადამიანის მოდგმას და რასაც გამოავლენენ თავიანთ ცხოვრებაში.

წამებულთა ხმა დაარსდა 1967 წელს, ხუცეს, რიჩარდ ვურმბრანდის მიერ, ვინც 14 წელი გაატარა კომუნისტური რუმინეთის ციხეში იესო ქრისტეს რწმენის გამო. მისმა მეუღლემ, საბინამ, სამი წელი გაატარა შრომა-გასწორების კოლონიაში. 1965 წელს, რიჩარდი და მისი ოჯახი რუმინეთიდან გამოიყვანეს, და მათ დაარსეს მსოფლიო მნიშვნელობის სამისიონერო ქსელი, რომელიც დღემდე ემსახურება დევნილი ქრისტეს სხეულს.

ხედვა/მისია

სეული აშშ-ს ხედვა გულისხმობს, რომ ჩრდილოკორეული ეკლესია სულიერი კვლევის, მონანიებისა და განახლების კატალიზატორი გახდეს აზიურ და დასავლურ ქრისტიანობაში, ხოლო ჩრდილოეთ კორეიდან გამოქცეულებმა მთელ მსოფლიოში წინამძღოლ სვეტებს შორის იშრომონ.

ჩვენს მისიას სურს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის, აზიისა და დასავლეთის რიგითი ქრისტიანების შეკრების მექანიზმად იქცეს, რომ ქრისტეში სრულად გაიზარდონ სიტყვის ერთობლივი მოსმენისა და შესრულების მეშვეობით და თან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, თუ რას ამბობს სიტყვა ჩრდილოეთ კორეის შესახებ ჩვენს დროში. ამ საქმეს ქრისტიანული მისიონერული ორგანიზაციების, ასევე ეკლესიების მხარდაჭერით და პარტნიორობით ვახერხებთ, რომლებიც პრიორიტეტს პროექტის ყველა მონაწილის დამოწაფებას ანიჭებენ და სჯერათ, რომ თითოეული მათგანი მოწოდებულია სხვებისგან მიიღოს და თავადაც გასცეს სულიერი ნიჭები

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

1. ბაბუა: ნამდვილი ჩრდილოკორეელი „იესოს ფანატიკოსი“ 15

2. ვაჟი: კარტოფილის ქურდი ქრისტიანი 33

3. დედა: სიცოცხლის პურის მომწოდებელი 65

4. ცოლი: სულ სხვაგვარი ტიპის დესანტი. 77

5. ოჯახი: იმანუელი 102

ეპილოგი 127

“წამებულთა ხმის შესახებ“. 131

ხედვა/მისია 133

ეს არის შთამომავლობა

1907 წელს ფიონგიანგის გამოღვიძებამ ჩრდილოეთ კორეაში ქრისტიანობის დიდი აღმავლობა მოიტანა. მისიონერი უილიამ ბლერი ამას „ღვთის ტახტთან ლოცვის დიდი ოკეანის ზვირთცემას უწოდებდა.“ ორმოცდაათი წლის შემდეგ ოკეანე აორთქლდა ქვეყანაში დაწყებული სასტიკი დევნის გამო, მაგრამ რამდენიმე ნაკადმა მაინც გაიკვლია გზა. წიგნში გადმოცემულია ამბავი, თუ როგორ მიიღო სახარება ერთმა ჩრდილოკორეულმა ოჯახმა და თაობიდან თაობას გადასცა საკონცენტრაციო ბანაკების, ციხეების, დაკითხვებისა და ყოველგვარი სხვა გამოწვევების ფონზე, რომლებიც ამ ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.

„ამაღელვებელი მონათხრობი ჩრდილოეთ კორეის მტკიცე გადაწყვეტილებაზე, რომ სახარებისგან თავისი ხალხის სრული იზოლაცია მოეხდინა. ღმერთმა სასწაულებრივად გამოიყენა ბეის ოჯახის თაობები, რომ სახარების მბჟუტავი პატრუქი ჩრილოეთ კორეის სინათლედ აეგიზგიზებინა.“

ჯიმ დოუ, პრეზიდენტი,
„წამებულთა ხმა“

„იშვიათი, თაობების მომცველი მოგზაურობა რწმენის გზაზე, რომელიც ქრისტიანობის ისტორიისა და ტანჯული ეკლესიის ყველა სერიოზულმა მკვლევარმა უნდა წაიკითხოს!“

გერი ლოუნი, CBN ნიუსის მთავარი
საერთაშორისო კორესპონდენტი

„ყველა საკვირაო სკოლის, ახალგაზრდული, ლოცვის ჯგუფებისა და მისიონერული კომიტეტების სავალდებულო საკითხავი.“

ჰიუნ ს. სონგი, დირექტორთა საბჭო,
„ჩრდილოეთ კორეის ლტოლვილები აშშ-ში“